ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

თამარ კობერიძე

# საზოგადოებრივი ორგანიზაციების არასახელმწიფო დაფინანსების მექანიზმებისა და მათი გამოყენების პრაქტიკის საერთაშორისო გამოცდილება

## ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა
GEORGIAN CIVIL SOCIETY SUSTAINABILITY INITIATIVE (CSSIGE)

# საზოგადოებრივი ორგანიზაციების არასახელმწიფო დაფინანსების მექანიზმებისა და მათი გამოყენების პრაქტიკის საერთაშორისო გამოცდილება

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე

თამარ კობერიძე

კვლევა ჩატარდა 2017 წლის ოქტომბერში
და გამოიცა 2019 წელს

2019

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ეს კვლევა გამოიცა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

KONRAD ADENAUER STIFTUNG
CSI CSI
Civil Society Institute
CSRDG
ctc Empowering People for Change
EDEC

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
ტელეფონი: (+995 32) 2 39 90 19
ელექტრონული ფოსტა: office@csrdg.ge
www.csrdg.ge

წინამდებარე კვლევა – „საზოგადოებრივი ორგანიზაციების არასახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები და მათი გამოყენების პრაქტიკის საერთაშორისო გამოცდილება“ – ჩატარდა ევროკავშირის პროექტის – “სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა” – ფარგლებში. კვლევის მიზანი იყო საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლა, არასახელმწიფო დაფინანსების მექანიზმების საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა, არსებული პრაქტიკის საუკეთესო მაგალითების ქართულ რეალობაში დანერგვა და შესაბამისი რეკომენდაციების გაწევა.

მოცემულ დოკუმენტში განხილული „არასახელმწიფო მექანიზმების“ გარკვეული ნაწილი (იხ. ქვეთავი „სახელმწიფო დაფინანსების არაპირდაპირი სახელმწიფო მექანიზმები“) წარმოადგენს სახელმწიფო მიდგომას, მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლის ან მოგების ნაწილის მიმართვა-არმიმართვა დამოკიდებულია არა სახელმწიფოზე, არამედ სამოქალაქო სექტორზე – გამცემი პირისა თუ ორგანიზაციის კეთილ ნებაზე. განხილული სხვადასხვა მექანიზმი ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალურ ფილანტროპიას, ასევე სოციალური ინოვაციების სხვა ფორმების განვითარებას და, შესაბამისად, განიხილება სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ ან წამახალისებელ არასახელმწიფო მექანიზმებად.

კვლევაში წარმოდგენილი რეკომენდაციები ასახავს 2017 წლის მდგომარეობას. საგადასახადო კუთხით რეკომენდაციების უფრო სრული ვერსია ხელმისაწვდომია კვლევაში – „საზოგადოებრივი ორგანიზაციების არასახელმწიფო დაფინანსება საქართველოში“ (ვ. ნაცვლიშვილი 2019)

# შინაარსი


საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების
არა-სახელმწიფო ფორმები ..... 6

შესავალი ..... 6

1. დაფინანსების არასახელმწიფო მექანიზმები..... 9
1.1 გრანტი 9
1.2 სოციალური ინოვაცია, როგორც დაფინანსების
არასახელმწიფო მექანიზმი 10
1.2.1 სექტორთაშორისი პარტნიორობა 11
1.2.2 გავლენის მქონე ინვესტიცია 11
1.2.3 ვენჩურული კაპიტალი/ინვესტიცია vs
ვენჩურული ფილანტროპია 13
1.2.4 სოციალური ზეგავლენის ობლიგაცია
(Social Impact Bond) 14
1.2.5 სოციალური საწარმო 15
1.2.6 კოოპერატივი 16
1.2.7 სათემო ფონდი 16
1.2.8 თვითდაფინანსება 17
1.2.9 მოხალისეობა 18
1.2.10 კორპორაციული მოხალისეობა 19

2 სახელმწიფო დაფინანსების
არაპირდაპირი სახელმწიფო მექანიზმები ..... 21
2.1 საპროცენტო მექანიზმი 21
2.2 საზოგადოებრივი სარგებლიანობის სტატუსი 22

3 ქვეყნების მაგალითები..... 24
უნგრეთი 24
პოლონეთი 31
სლოვაკეთი 38
ესტონეთი 45
გერმანია 53
ნიდერლანდები 61

დასკვნა და რეკომენდაციები ..... 70
სახელმწიფო პოლიტიკა ინდივიდუალური და
კორპორაციული გაცემის წასახალისებლად 71
საერთაშირისო პარტნიორებისა და
საზოგადოებრივი სექტორის როლი 73

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია..... 75

# საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების არასახელმწიფო ფორმები

## შესავალი

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, მასში მონაწილეობა, ბიზნესსა და სახელმწიფოსთან თანამშრომლობა, ასევე არსებული სამართლებრივი ჩარჩო დიდადაა განპირობებული კონკრეტული ქვეყნის ისტორიული და კულტურული ფაქტორებით, როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ კონტექსტში. ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი იზიარებენ პოსტსაბჭოთა შეხედულებას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სრული მომსახურება (როგორც ეს ხდებოდა სოციალიზმის დროს). საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბების (ან აღდგენის) საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ საერთაშორისო დონორებსა და განვითარების სააგენტოებს. სწორედ მათი დახმარებით ხდებოდა, როგორც ამ სექტორის დაფინანსება, ისე ფინანსური მდგრადობისათვის ახალი მექანიზმების შერჩევა.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მეტადაა გავრცელებული გარემოს დაცვის, განვითარების, ადვოკატირების, ადამიანთა უფლებები დაცვისა და მსგავსი მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო ნაკლებად – საჯარო მომსახურების მიმწოდებლების. დასავლეთ ევროპაში კი არამომგებიანი ორგანიზაციების საქმიანობაში დომინირებს სოციალური კეთილდღეობის მომსახურების საკითხები. შესაბამისად, არამომგებიანი ორგანიზაციების თანამშრომელთა საშუალოდ სამი მეოთხედი მუშაობს განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ორგანიზაციებში. გვხვდება კულტურის, რეკრეაციის, გარემოსდაცვის, ადვოკატირების, ასევე ბიზნესის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა მათი წილი არამომგებიანი ორგანიზაციების დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში გაცილებით ნაკლებია. გერმანიასა და ნიდერლანდებში სუბსიდირების (დელეგირების) პრინციპი, კერძო ინიციატივების მძლავრი ტრადიცია, სექტორის წამახალისებელი შედარებით მარტივი სამართლებრივი რეგულაციები საუკუნეების განმავლობაში ბუნებრივად ვითარდებოდა. საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების დღეს არსებული მექანიზმები ამ ქვეყნების განვითარებისა და კულტურის ბუნებრივი შედეგია. ამასთან, გერმანიასა და ნიდერლანდებში არამომგებიანი ორგანიზაციები იმდენად ბუნებრივად და მარტივადაა აღქმული საზოგადოების მიერ, რომ ხშირად მათი სხვა ორგანიზაციებისგან გამიჯვნა რთულდება. ექსპერტების აზრით, დროთა განმავლობაში ეს კიდევ უფრო გართულდება, რადგან ბოლო ათწლეულის მანძილზე, ერთი მხრივ, სამთავრობო პოლიტიკა ორიენტირებულია საჯარო სამსახურის დამოუკიდებელი სამართლებრივი ერთეულების შექმნაზე, მეორე მხრივ კი – სახეზეა არამომგებიანი სექტორის კომერციალიზაცია.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ბიზნესი ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალაა, ხოლო ქველმოქმედება – ბიძგს აძლევს სოციალურ კეთილდღეობას და იცავს გარემოს. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბიზნესი და ქველმოქმედება მოქმედებდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, რაც ბოლო წლებში ნელ-ნელა იცვლება.

განვითარებულ ქვეყნებში იშვიათი აღარაა „ეკონომიკურისა“ და „სოციალურის“ ერთმანეთთან დაკავშირება. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების თვალსაზრისით, პირველ ეტაპზე, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დონორთა დახმარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დღესდღეობით ყველა ზემოხსენებული ქვეყანა ევროკავშირის წევრია, რაც გულისხმობს, რომ საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტები არიან არა დონორები, არამედ მათი სტრატეგიული და საინვესტიციო პარტნიორები სხვადასხვა მასშტაბითა და ფორმით. ამავე დროს, დასავლეთ ევროპაში საუბრობენ საზოგადოებრივი სექტორის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების შემცირებაზე. შესაბამისად, მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი სექტორის მიერ ბიზნესსტრატეგიების გამოყენებას, მეორე მხრივ კი – კერძო ინსტიტუციონალიზებული და კორპორაციული, ასევე ინდივიდუალური გაცემის ახალი მექანიზმების შექმნას[1], რაშიც სახელმწიფო მიდგომას საგულისხმო ადგილი უჭირავს.

წარმოდგენილი კვლევა განიხილავს საზოგადოებრივი სექტორის არასახელმწიფო დაფინანსების მოდელებსა და მექანიზმებს. მიუხედავად ამ განსაზღვრებისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსა და არასახელმწიფო მექანიზმებს შორის საზღვარი ხშირად ბუნდოვანია, რადგან ა) სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი ჩარჩო და ფინანსური მექანიზმები ზეგავლენას ახდენს და ხშირად განაპირობებს საზოგადოების ქცევას; ბ) ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო მექანიზმი ხშირად გამოიყენება ინდივიდუალური ან კორპორაციული კონტრიბუციის საზოგადოებრივი სექტორისთვის გადასაცემად.

მოცემულ კვლევაში განიხილება როგორც კორპორაციული, ისე ინდივიდუალური გაცემის ფორმები და მექანიზმები, ევროპის ქვეყნებში არსებული პრაქტიკა, სადაც სახელმწიფო მიდგომებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კვლევა გამოყოფს იმ მექანიზმებს, რომლებიც უფრო მისაღები იქნება ქართული საზოგადოებისთვის.

## საზოგადოებრივი ორგანიზაციები

მოცემული კვლევა ეხება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მათ მრავალფეროვნებას, რომელთა აღმნიშვნელი ტერმინი („საზოგადოებრივი ორგანიზაცია“, „არამომგებიანი ორგანიზაცია“ ან „არასამთავრობო ორგანიზაცია“) განპირობებულია გამოკვლეული ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ:

**საზოგადოებრივი ორგანიზაციები (civil organizations).** მათი შექმნის ან/და გაერთიანების უპირველესი მიზანი საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფაა.საზოგადოებრივი კეთილდღეობა მოიცავს მრავალ მიმართულებას განათ-

1 კერძო ინსტიტუციონალიზებული გაცემა გულისხმობს სხვადასხვა ფონდების დაფუძნებას, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა ბენეფიციარების მხარდასაჭერად, ხოლო კორპორატიული გაცემა გულისხმობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური და არა-ფინანსური დახმარების ფართო სპექტრს, სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის სხვა ფორმების ჩათვლით.

ლებისა და ქველმოქმედების ჩათვლით. ამ ტიპის ორგანიზაციებს არ ეკრძალებათ შემოსავლის გენერირება, თუმცა იგი ექსკლუზიურად უნდა მოხმარდეს ქველმოქმედებას, განათლებას, რეკრეაციულ ან სხვა სოციალურ მიზნებს. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამუშაო ძალა, ხშირ შემთხვევაში, მოხალისეობრივია, თუმცა ეს არ გამორიცხავს ანაზღაურებადი თანამშრომლობის არსებობას. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოიცავენ არამომგებიან და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე (რიგ შემთხვევაში) კოოპერატივებსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებს (შპს) – ჩვენს მიერ კვლევაში განხილული კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე.

**არამომგებიანი ორგანიზაციები (non-for-profit organizations)** – განიხილებიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, რადგან მათი შექმნის მიზანია საზოგადოებრივი ან საერთო სარგებელი, რაც საპირისპიროა პირადი სარგებლის ან მოგების. ქვეყნის საკანონმდებლო სპეციფიკიდან გამომდინარე, არამომგებიანი ორგანიზაციები შესაძლებელია ფუნქციონირებდნენ ასოციაციების, ფონდების, სოციალური კეთილდღეობისა და ადვოკატირების ჯგუფების, ასევე პროფესიული ასოციაციებისა და რელიგიური ორგანიზაციების ფორმით ან/და სტატუსით. ზოგიერთ ქვეყანაში არამომგებიან ორგანიზაციად შესაძლებელია განხილული იყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოც (შპს), თუკი ეს უკანასკნელი შექმნილია საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და მოგება მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანას.

**არასამთავრობო ორგანიზაცია (non-governmental organization)** – წარმოადგენს (საზოგადოებრივ) არამომგებიან ორგანიზაციას, რომელიც ავტონომიურია და მოქმედებს სახელმწიფოსა და ბიზნესისგან დამოუკიდებლად, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეებზე. ამ ტიპის ორგანიზაციები ემსახურებიან სპეციფიკურ სოციალურ ან პოლიტიკურ მიზნებს. სახელმწიფოსა და ბიზნესისგან დამოუკიდებლობა (ავტონომია) გულისხმობს კონტროლისგან თავისუფლებას და არა დაფინანსების მიუღებლობას.

# 1. დაფინანსების არასახელმწიფო მექანიზმები

## 1.1 გრანტი

გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომელიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. გრანტის გამცემი სუბიექტი შესაძლებელია იყოს სახელმწიფო, ასევე – კერძო პირი ან ინსტიტუცია. გამომდინარე კვლევის მიზნებიდან, ნაშრომი არ ფოკუსირდება საერთაშორისო განვითარების პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ საგრანტო პროექტებზე. თუმცა, დღესდღეობით ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი სექტორისთვის ხელმისაწვდომია, როგორც ევროკავშირის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები, ასევე ე.წ. EEA/Norway გრანტები. ეს გრანტები წარმოადგენს ისლანდიის, ლიხტენშტეინისა და ნორვეგიის შენატანს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად ცენტრალური და სამხრეთ ევროპის, ასევე ბალტიის ქვეყნებში ორმხრივი ურთიერთობების გასამყარებლად. გრანტი, როგორც ინსტიტუციონალიზებული კერძო გაცემის ერთ-ერთი მექანიზმი, ფართოდ გამოიყენება ევროპის კერძო სექტორის მიერ. დასავლეთის ქვეყნებში მდიდარი ფონდები 50 წელზე მეტია იყენებენ კლასიკური საგრანტო მოდელის სქემებს. კერძო სექტორისგან მიღებული გრანტი განიმარტება, როგორც „ფულის, საქონლის ან მომსახურების უსასყიდლო გადაცემა“. კერძო სექტორი შედგება კერძო კორპორაციებისგან, ოჯახური მეურნეობებისგან, სათემო ფონდებისა და არასამთავრობო ინსტიტუციებისგან, რომლებიც ემსახურებიან ოჯახებსა და ინდივიდებს (OECD n/d). უკანასკნელ წლებში კერძო სექტორისგან დაფინანსებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა: კერძო ფონდები (ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები და მომგებიანი ორგანიზაციები) საგრანტო მექანიზმის გამოყენებით აფინანსებენ ამა თუ იმ სექტორის განვითარებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გრანტი, როგორც დონაცია, რომელიც არ ვარაუდობს ფულადი ერთეულის მოგებას, განიხილება, როგორც სოციალური მისიის მატარებელ ორგანიზაციაზე „ზეგავლენის სტრატეგია“ და არა თავად მდგრადი სოციალური ცვლილების ბერკეტი. მიუხედავად ამისა, განვითარებულ ქვეყნებში გრანტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამოქალაქო ორგანიზაციის განვითარების საწყის ეტაპზე დასახმარებლად და მათი სამომავლო (სხვა ალტერნატიული საშულებებით) ფინანსური მდგრადობის ხელშესაწყობად.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ზემოთქმულისა, ეკონომიკური დაღმავლობისა და სამთავრობო ბიუჯეტების შემცირების ფონზე ფონდები და ინდივიდუალური ფილანტროპები ცდიან დაფინანსების ახალ მოდელებს, რაც, ერთი მხრივ, სოცი-

ალური თვალსაზრისით, დადებით ზეგავლენას იქონიებს, ხოლო, მეორე მხრივ, მოიტანს ფინანსურ მოგებას.

## 1.2. სოციალური ინოვაცია, როგორც დაფინანსების არასახელმწიფო მექანიზმი

21-ე საუკუნის დასაწყისიდანვე მრავალი განვითარებული ქვეყნის არამომგებიანმა ორგანიზაციებმა გააცნობიერეს, რომ, პრაქტიკულად, მიაღწიეს საკუთარი ეფექტურობის ზღვარს (Quak 2014). დონორის „უპირობო" დაფინანსების ან სახელმწიფოს სუბსიდიების შემცირებასთან ერთად ევროპის ქვეყნებმა მეტი ყურადღება დაუთმეს **სოციალურ ინოვაციებს**, ხოლო არამომგებიანი ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა წამოიწყო **ბაზარზე დამკვიდრებული** მიდგომების ძიება, რაც მისცემდა მათ სოციალური მისიის ზეგავლენის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

სტენფორდის ბიზნესის სკოლის განმარტებით, **სოციალური ინოვაცია** წარმოადგენს „სოციალური საჭიროებებისა და პრობლემების მოსაგვარებლად ინოვაციური მიდგომების შექმნისა და ამისთვის მხარდაჭერის მოპოვების პროცესს". ამასთან, სოციალური ინოვაციები ის გზაა, რომელიც „არღვევს ბარიერებს და ხელს უწყობს დიალოგს საზოგადოებას, კერძო სექტორსა და არამომგებიან სექტორებს შორის" (Phills et al 2008). ნაგულისხმებია, რომ სოციალური ინოვაცია მოქმედებაა, რომელიც ორიენტირებულია არა მარტო სოციალურ შედეგზე, არამედ თავად პროცესზეც. აუცილებელია ეს მეთოდები მოიცავდეს ახალ იდეებს (პროდუქტებს, მომსახურებასა და მოდელებს), რაც შეესაბამება სოციალურ საჭიროებებს და ქმნიდეს ახალ სოციალურ ურთიერთობებს. (Murray et al 2010). ხშირად სოციალური ინოვაციების კონცეფციას უკავშირებენ კომერციულ ორგანიზაციებს და მათ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას. მიუხედავად ამისა, სოციალური ინოვაციები მეტად ეხმიანება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის „კორპორაციული სტრატეგიული ფილანტროპიის" მიმართულებას და ნაკლებად – „სპონსორობას" ან „მარკეტინგს". გერმანელი სოციალური მეწარმე Norbert Kunz სოციალურ ინოვაციებს განსაზღვრავს, როგორც სოციალური პრობლემების სისტემურ გადაწყვეტას (სოციალურ ცვლილებას), რომლის დროსაც ფინანსური მდგრადობა სასურველია, თუმცა მოგება არ წარმოადგენს ძირითად მიზანს (Ngo& Kunz 2016).

სოციალური ინოვაცია არ წარმოადგენს რაიმე მოწყობის ან სამართლებრივი სტატუსის მქონე ორგანიზაციის პრეროგატივას. ის მოითხოვს აქტიურ თანამშრომლობას დაინტერესებულ მხარეებს, მთავრობას, ბიზნესსა და არამომგებიან ორგანიზაციებს შორის. სოციალური ინოვაციების განხორციელება შესაძლებელია დაფინანსების განსხვავებული წყაროდან და ფორმით და სხვადასხვა ინსტრუმენტის საშუალებით. შესაბამისად, არსებობს თანამშრომლობის ფორმების ფართო სპექტრი:

**კორპორაციული და ვენჩურული ფილანტროპია, ზეგავლენის მქონე ინვესტიცია, სექტორთაშორისი თანამშრომლობა, სოციალური ობლიგაცია, კორპორაცი-**

**ული მოხალისეობა და სხვ.** და ისეთი ინსტიტუციები, როგორებიცაა: **სოციალური საწარმო, არამომგებიანი კოოპერატივი** და სხვ. – სოციალური ინოვაციების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ.

### 1.2.1 სექტორთაშორისი პარტნიორობა

ბაზარზე დაფუძნებული მიდგომის ერთ-ერთი მოდელია **სექტორთაშორისი პარტნიორობა,** რაც არამომგებიანი ორგანიზაციისა და ბიზნესის (ასევე, შესაძლებელია, სახელმწიფო სტრუქტურების) ერთობლივ ძალისხმევას გულისხმობს საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

სტრატეგიული თანამშრომლობა განსხვავებულ ორგანიზაციებს – მომგებიან, არამომგებიან, საჯარო და კერძო სექტორს შორის 21-ე საუკუნის მნიშვნელოვან სტანდარტად ყალიბდება, რომელიც მიზნად ისახავს კომპლექსური სოციალური პრობლემების მოგვარებას, მაშინ როცა, ცალკეულ ორგანიზაციებს არ ხელეწიფება ადეკვატური გზის ან მიდგომის გამოძებნა (Van Tulder et al 2016).

სექტორთაშორისი სტრატეგიული თანამშრომლობის ან პარტნიორობის ჩამოყალიბება სირთულეებთანაა დაკავშირებული, გამომდინარე იქიდან, რომ პოტენციური პარტნიორები წარსულში იყვნენ ფინანსური კონკურენტები ან პოლიტიკური მოწინააღმდეგეები (იმავე სექტორში მომუშავე ორგანიზაციები, ხელისუფლების მაკონტროლებელი ორგანიზაცია, ხელისუფლება და სხვა), ან ჰქონდათ განსხვავებული მიზნები (არამომგებიანი და მომგებიანი ორგანიზაციები).

სექტორთაშორისი პარტნიორობა კორპორაციებსა და სახელმწიფოსთან ნებაყოფლობითია, თუმცა, გარკვეულწილად, წახალისებულია ორი მიზეზით:

ა) სექტორთაშორისი თანამშრომლობა პრინციპული გახდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კონტექსტში;

ბ) ევროპის მრავალ ქვეყანაში სამთავრობო დაფინანსების პირობები შეიცვალა – საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გამოყოფილი ფული შემცირდა, თუმცა მთავრობებმა დაიწყეს ინოვაციური სექტორთაშორისი პროექტების (განსაკუთრებით ბიზნესპარტნიორის მონაწილეობით) დაფინანსება.

### 1.2.2 გავლენის მქონე ინვესტიცია

**ე.წ. „გავლენის მქონე ინვესტიცია“ (impact investment),** ანუ „შედეგებზე ორიენტირებული ინვესტიცია“ წარმოადგენს კომპანიებში, ორგანიზაციებსა და ფონდებში გაკეთებულ ინვესტიციას (კაპიტალდაბანდებას), რაც ფინანსურ მოგებასთან ერთად, მიზნად ისახავს დადებითი ზეგავლენის მოახდენას სოციალური და გარემოსდაცვითი კუთხით (GIIN, n/d). გავლენის მქონე ინვესტიცია ეჭვის ქვეშ აყენებს დამკვიდრებულ შეხედულებას, რომ სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები უნდა მოგვარდეს მხოლოდ ფილანტროპული დონაციით, ხოლო საბაზრო ინვესტიცია მხოლოდ ფინანსურ მოგებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ბოლო წლებში ევროპის მრავალი და განსხვავებული ტიპის ინვესტორი (ბანკები, საპენსიო ფონდები, სოციალური მომსახურების სააგენტოები, ინსტიტუციური და ოჯახური ფონდები, სამთავრობო ინვესტორები, განვითარების ფინანსური ინსტიტუციები და სხვ.)

შეუერთდა გავლენის მქონე ინვესტიციის ბაზარს. გავლენის მქონე ინვესტიციას ინვესტორები ხშირად ისეთი დარგებისკენ მიმართავენ, როგორებიცაა: მდგრადი სოფლის მეურნეობა, ხელმისაწვდომი საცხოვრებელი, ჯანდაცვა, ენერგეტიკა, სუფთა ტექნოლოგიები, ღარიბთათვის სხვადასხვა დახმარება და სხვ.

**ჩართული მხარეები:**

**გავლენის მქონე ინვესტორი** შეიძლება იყოს როგორც მომგებიანი, ასევე არა-მომგებიანი ორგანიზაცია და მდიდარი ინდივიდი. კაპიტალის მოზიდვა, ძირითა-დად, ხორციელდება ბანკებიდან, საპენსიო ფონდებიდან და მსხვილი და მიკრო-საფინანსო ინსტიტუტებიდან. ზეგავლენიანი ინვესტიციის განხორციელების კუთ-ხით მსოფლიოში ცნობილია ისეთი ფონდები, როგორებიცაა: Bill & Melinda Gates Foundation და Gatsby Charitable Foundation. გავლენის მქონე ინვესტიცია ხორ-ციელდება, აგრეთვე, საპენსიო და შესაწირი ფონდების, სადაზღვევო კომპანიების, კომერციული ბანკების, ჰეჩფონდებისა და სხვა ინსტიტუციური ინვესტორების[2] (მაგ. JP Morgan, South Africa PIC) მიერ. არსებობენ მცირე ინვესტორებიც, რომ-ლებიც ინვესტიციას პირდაპირ სოციალურ საწარმოსა და ზეგავლენის ინვესტი-რების ფონდში დებენ (მაგ. Acumen Fund, Bridges Ventures, Elevar Equity, Ariya Capital).

**ინვესტირებული (კაპიტალის მიმღები)** შესაძლებელია იყოს როგორც არამომგე-ბიანი (თუკი შეუძლია უზრუნველყოს ფინანსური მოგება), ასევე მომგებიანი (თუკი მომგებიან ბიზნესთან ერთად შეუძლია დადებითი ზეგავლენა იქონიოს სოციალურ მდგომარეობასა და გარემოზე) ორგანიზაცია. კაპიტალის მიმღები შეიძლება იყოს სოციალური საწარმო, მიკროსაფინანსო ინსტიტუცია, მცირე და საშუალო ბიზნე-სი, კოოპერატივი და სხვ.

გავლენის მქონე ინვესტორსა და ინვესტირებულს შორის შესაძლებელია იყოს სხვადასხვა ტიპის **შუამავალი**, როგორიცაა დამაკავშირებელი ინვესტორი ან სხვა ინსტიტუცია, რომელიც მორგებულია დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე. შუამავლებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სტრუქტურირებული დაფინანსების ემისიას და ზეგავლენის ინვესტიციის ღირებულების შემცირებას. საჭიროების შემთხვევაში გასცენ ფონდების მართვასთან დაკავშირებული რჩევა, გაუწიონ კონსულტაცია, ჩაატარონ კვლევა, განახორციელონ ფანდრაიზინგი, სერტიფიცირება, გასწიონ იურიდიული დახმარება, განსაზღვრონ ზეგავლენა, მოაწყონ ბიზნესინკუბატორი და სხვ. შუამავალი შეიძლება იყოს კომერციული ბანკი, საინვესტიციო ბანკი, და-მოუკიდებელი ფინანსური მრჩეველი, ბროკერი, დილერი, საერთაშორისო ორგანი-ზაცია, საკონსულტაციო ფირმა და სხვ.

გავლენის მქონე ინვესტიციისთვის აუცილებელია **ხელშემწყობი გარემო,** რასაც უზრუნველყოფენ ქვეყნის მთავრობები და საფინანსო ინსტიტუტები. გავლენის მქონე ინვესტირების ხელშესაწყობად ხელისუფლება უზრუნველყოფს შესაბამის მარეგულირებელ გარემოს და ქმნის პირდაპირ ან არაპირდაპირ მასტიმულირებელ მექანიზმებს. კაპიტალის ღირებულება შესაძლებელია შემცირდეს გადასახადის-

2 ინსტიტუციურ ინვესტორს უწოდებენ ორგანიზაციას, რომელიც აკეთებს ინვესტიციას ორგანიზა-ციის წევრების სახელით (მაგ., საპენსიო ფონდი, სადაზღვევო კომპანია და სხვ.)

გან განთავისუფლებით ან/და შეღავათებით, ასევე სახელმწიფო პროგრამებისა და პრიორიტეტების შესაბამისი სახელმწიფო გარანტიებითა და სუბსიდიებით. ამასთან, აუცილებელია იმ რეგულაციების ამოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს ზეგავლენის ინვესტორების აღიარებას, გამჭვირვალობას, ინფორმაციის საჯაროობას და სხვ.

გავლენის მქონე ინვესტირების ბენეფიციარია ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც იღებს სარგებელს ინვესტიციიდან გაუმჯობესებული გარემოსა და სოციალური პირობების საშუალებით.

### 1.2.3 ვენჩურული კაპიტალი/ინვესტიცია vs ვენჩურული ფილანტროპია

**ვენჩურული კაპიტალი** წარმოადგენს ინვესტორების მიერ დამწყები კომპანიებისა და მცირე ბიზნესების დაფინანსებას, რომელთაც, სავარაუდოდ, აქვთ გრძელვადიანი ზრდის პოტენციალი. დამწყები ბიზნესისთვის, რომლის საოპერაციო გამოცდილება მწირია, სესხები და სხვა საკრედიტო ინსტრუმენტები ძნელადაა ხელმისაწვდომი, ვენჩურული კაპიტალი ფულის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ინვესტორებისთვის ეს საკმაოდ რისკიანი საქმეა, თუმცა ვენჩურულ ინვესტორებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ დამწყები კომპანიების გადაწყვეტილებებში (რაც ხშირად ნეგატიურ კონტექსტში განიხილება). ვენჩურული კაპიტალის ინვესტირება შესაძლებელია არა მარტო მონეტარული, არამედ ტექნიკური ან მმართველობითი მექანიზმის ფორმით. ვენჩურული კაპიტალი, ჩვეულებრივ, მოდის მდიდარი ინვესტორებისგან, საინვესტიციო ბანკებიდან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან, რომლებიც ამყარებენ ამგვარ პარტნიორობას ან ახორციელებენ ინვესტიციას.

ზემოხსენებულისგან განსხვავებით, **ვენჩურული ფილანტროპია** *ინვესტიციის* ფორმაა, რომელსაც ახორციელებენ „სოციალური ინვესტორები“ (social venture capitalists) ან ე.წ. „ზეგავლენის ინვესტორების“ ჯგუფები. ამ ტიპის ინვესტიცია გულისხმობს მოგებაზე ორიენტირებულ სოციალურ საწარმოში სასტარტო კაპიტალის ინვესტირებას, რასაც შედეგად მოაქვს, როგორც ფინანსური მოგება, ისე – მნიშვნელოვანი დადებითი სოციალური ზეგავლენა. ვენჩურული ფილანტროპიის პირველი მაგალითი წარმოდგენილი იქნა 1990-იანების შუა წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში[3], როდესაც მეწარმეებმა წამოჭრეს ფილანტროპიის ახალი მოდელების საჭიროების საკითხი, ფონდებმა გადაწყვიტეს მათ მიერ გაცემული გრანტების ეფექტურობის გაზრდა.

ვენჩურული ფილანტროპიის მიზნების მიხედვით ხდება მიდგომის შერჩევა. გამომდინარე იქიდან, რომ ვენჩურული ფილანტროპი შეიძლება იყოს როგორც ფონდი, ასევე საინვესტიციო ფირმა, გამოიყენება როგორც **საგრანტო,** ასევე **სოციალური ინვესტირების** პრაქტიკა. მომგებიანი და არამომგებიანი ვენჩურული ფილანტროპები ხშირად იყენებენ **მარტივი ვენჩურული კაპიტალის** სტრატეგიის მოდელებს, რათა დააფინანსონ არამომგებიანი ღონისძიება, სოციალური საწარმო

3 ტერმინი „ვენჩურული ფილანტროპია“ პირველად გამოიყენა ჯონ დ. როკფელერ III-მ 1969 წელს არაპოპულარული სოციალური მიზეზების დაფინანსების სათავგადასავლო მიდგომის“ აღსაწერად (http://www.socialinnovator.info).

ან მაღალი სოციალური ზეგავლენის მქონე საქმიანობა. არსებობენ ასევე „რეგიონული ფოკუსის“ (როგორც მომგებიანი, ასევე არამომგებიანი) ორგანიზაციები, რომლებიც მოღვაწეობენ კონკრეტულ რეგიონში, ადგილობრივი თემის/საზოგადოების სოციალური საჭიროების ხელშესაწყობად.

ტრადიციული ვენჩურული ინვესტორებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ ფინანსურ მოგებაზე არიან ორიენტირებულნი, სოციალური ვენჩურულ ფილანტროპებს სწამთ, რომ „ფინანსური წარმატების მიღწევა შესაძლებელია მსოფლიოში დადებითი სოციალური ზეგავლენის მოხდენით“ (NVCA n/d). როგორც ვენჩურული ინვესტორები, ასევე ვენჩურული ფილანტროპები მხარს უჭერენ მაღალი რისკისა და მაღალი პოტენციალის მქონე დამწყებ ორგანიზაციებს. პოტენციური ორგანიზაციის შესარჩევად ვენჩურული ფილანტროპიის ფონდები აწესებენ შესაბამის კრიტერიუმებს. მაგალითად, Venture Philanthropy Partners-ის კრიტერიუმია მაღალი ეფექტურობა, რასაც უწოდებენ „მძლავრ სოციალურ ზეგავლენას“, „ფინანსური ანგარიშგების უნარს“, „საუკეთესო გამოცდილება/პრაქტიკას“, „ზეგავლენის პოტენციურ მასშტაბს“, „განსხვავებულ მიდგომას“ და სხვა (NVCA n/d). სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ვენჩურული ფილანტროპიისთვის დამახასიათებელია გარკვეული დროის შუალედი, საშუალოდ 5-7 წლიანი ჩარჩო, რომლის განმავლობაში ხდება ინვესტიციის მიმღების ფინანსური და არაფინანსური (ადამიანური კაპიტალი, შესაძლებლობების ზრდა და სხვ.) დახმარება.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ვენჩურული ფილანტროპია სოციალური მიზნების ორგანიზაციის დაფინანსების ერთ-ერთ საუკეთესო მოდელს წარმოადგენს (Balbo et al 2010). ზეგავლენის ინვესტიციების მიდგომებს შორის ვენჩურული ფილანტროპიის კაპიტალს დიდი ადგილი უჭირავს სოციალური საწარმოს შექმნაში. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქმიანობის წამოწყების ადრეულ ეტაპზე გამოსაცდელად და მომგებიანი ბიზნესმოდელის შესამუშავებლად, რათა ორგანიზაცია უფრო მეტად გახდეს მომზიდველი არაფილანტროპიული ინვესტორებისთვის.

### 1.2.4 სოციალური ზეგავლენის ობლიგაცია (Social Impact Bond)

**სოციალური ზეგავლენის ობლიგაცია (Social Impact Bond)** წარმოადგენს მრავალმხრივ სექტორთაშორის პარტნიორობას (ასევე მოიხსენიებენ, როგორც კერძოსაჯარო პარტნიორობას), კერძო ინვესტორების მიერ (ხელისუფლების ნაცვლად) სოციალური მომსახურების ორგანიზაციის სასტარტო დაფინანსების უზრუნველსაყოფად. ინვესტირების ეს ინოვაციური მოდელი მიზნად ისახავს სოციალური პრობლემების მოგვარების ეფექტურობის გაზრდას. მოდელი იძლევა საშუალებას გამოიცადოს ახალი მიდგომები, რაც, წარმატების შემთხვევაში, ჩაანაცვლებს ხელისუფლების მიერ გაწეულ მომსახურებას, რითაც გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს და დაზოგავს სახელმწიფო ბიუჯეტს.

ტიპური მოდელი: ხელისუფლება დებს ხელშეკრულებას შუამავალთან (ან პროექტის სპონსორთან) სოციალური/გარემოსდაცვითი პროექტის განსახორციელებლად – იმ სამომავლო ანაზღაურებით, რაც შესაძლებელი გახდება პროექტის განხორციელების შედეგად. შუამავალი აგროვებს კაპიტალს პროექტისთვის

კომერციული ან/და ფილანტროპი ინვესტორებისგან. შემდეგ იგი ხელშეკრულებას უდებს მომსახურების მიმწოდებელს პროექტის განსახორციელებლად. თუკი პროექტი წარუმატებელია, მთავრობა არ უხდის ინვესტორს და ინვესტორი კარგავს კაპიტალს (სრულად ან ნაწილობრივ). თუკი პროექტი წარმატებულია, მთავრობა უხდის შუამავალს და ინვესტორს.

პროექტის წარმატების შემთხვევაში, ხელისუფლება უბრუნებს ფულს ინვესტორს (კაპიტალს პლუს პროცენტი). შედეგი ასეთია: წარმატება იწვევს ბენეფიციართა რიცხვის გაზრდას, სოციალური პრობლემის შემცირებას, ინვესტორისთვის მომგებიან ინვესტიციას და არამომგებიანი ორგანიზაციისთვის გაზრდილ კაპიტალს (Good Deed Foundation n/d).

ამ მექანიზმს ასევე უწოდებენ „დაფინანსებას წარმატებისთვის". კერძო-საჯარო პარტნიორობის სხვა მოდელებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში:ა) დაფინანსება უზრუნველყოფილია წინასწარ და არა შედეგის დადგომის შემდეგ, ბ) დაფინანსებული პროექტების შემსრულებლებმა უნდა ჩააბარონ ანგარიში არა მიღებულ პროდუქტზე, არამედ განხორციელებულ სამუშაოზე (output vs outcome), გ) ტრადიციული ობლიგაციებისგან განსხვავებით, სოციალური ობლიგაცია მიზნად ისახავს მომსახურების მიწოდებას და არა ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას (მაგ. უსახლკაროთა ან პატიმართა დახმარების სერვისები, ბავშვთა მოვლა, ეკოსისტემის კონსერვაცია და სხვ.) (UNDP n/d).

პირველი სოციალური ობლიგაციის პროექტი განხორციელდა 2010 წელს დიდ ბრიტანეთში, ყოფილი პატიმრების რეაბილიტაციისთვის და რეციდივის შესამცირებლად. შუამავალმა ორგანიზაციამ/სპონსორმა Social Finance-მა შეაგროვა დაახლოებით 8 მილიონი აშშ დოლარი 17 ინვესტორისგან, რომლებმაც ინვესტიცია გააკეთეს პატიმართა რეინტეგრაციის პროგრამაში. პროგრამა ფოკუსირებული იყო პატიმრებისა და ოჯახების პირველად საჭიროებებზე ციხიდან განთავისუფლებამდე და განთავისუფლების შემდეგ, საცხოვრებლის, სამედიცინო მომსახურების, ოჯახური დახმარების, ტრენინგისა და დასაქმების, ასევე ფინანსური კონსულტაციის ჩათვლით. შეთანხმების შესაბამისად, თუკი რეაბილიტაციის პროგრამა შეამცირებდა რეციდივს 7.5 %-ით, ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტრო და ლატარიის ფონდი ინვესტორებს დაუბრუნებდა ინვესტიციას და პროცენტს (2.5-13%). პატიმრების პირველ ნაკადთან პროგრამის განხორციელების შედეგად განმეორებითი გასამართლება შემცირდა 8.4%-ით (Social Finance Limited 2014).

### 1.2.5 სოციალური საწარმო

**სოციალური საწარმო** ევროპაში განისაზღვრება, როგორც სოციალური ეკონომიკის ოპერატორი, რომლის ძირითადი ამოცანაა სოციალური ზეგავლენა და არა მფლობელებისთვის ან მეწილეებისთვის მოგების მიღება. სოციალური საწარმო უზრუნველყოფს ბაზრისთვის საქონელსა და მომსახურებას სამეწარმეო და ინოვაციური მიდგომით და მოგებას, უპირველესად, იყენებს სოციალური მიზნების მისაღწევად. სოციალური საწარმო გამოირჩევა მმართველობისა და საქმიანობის გამჭვირვალობით და საქმიანობაში აბამს ყველა იმ დაინტერესებულ პირს (თანამშ-

რომლები, მომხმარებლები, ბენეფიციარები), რომლებზეც ახდენს ზეგავლენას კომერციული საქმიანობით.

### 1.2.6 კოოპერატივი

გაეროს განმარტებით, **კოოპერატივი** წარმოადგენს იმ ადამიანების ჯგუფის „ავტონომიურ ასოციაციას“, რომლებიც ნებაყოფლობით გაერთიანდნენ მათი საერთო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საჭიროებებისათვის, რაც მიიღწევა ერთობლივ მფლობელობაში არსებული და დემოკრატიულად კონტროლირებადი საწარმოს საშულებით“ (International Labour Organization n/d). ხშირად კოოპერატივები განიმარტება, როგორც „ბენეფიციარების მფლობელობაში არსებული ბიზნესი“, რომელიც იქმნება საერთო მიზნებისა და სექტორული ინტერესების ირგვლივ. კოოპერატივში გასაწევრიანებლად მომავალი წევრი ყიდულობს წილს/აქციებს ან დონაციის სახით გადასცემს რესურსებს. როგორც წესი, კოოპერატივი იმართება მეწილეთა უმრავლესობით. კოოპერატივი აკეთებს საერთო რესურსების ინვესტირებას და შემდგომ მოგებას უბრუნებს წევრებს, ნაწილი შეაქვს კოოპერატივის რეზერვებში შემდგომი ინვესტირებისთვის. კოოპერატივები თავიანთი მრავალფეროვნებით (მაგ. სასოფლო-სამეურნეო, მომხმარებელთა, დასახლების, ფინანსური მომსახურების, სოციალური და სხვა) აღიარებულია, როგორც ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების ფორმა შეზღუდული რესურსების მქონე პირთათვის, მოწყვლადი და მარგინალური ჯგუფების ჩათვლით. მიუხედავად იმისა, ასრულებს თუ არა კოოპერატივი სოციალურ მისიას, იგი განსხვავდება არამომგებიანი ორგანიზაციისაგან, პირველ რიგში, სამიზნე ბენეფიციართა ჯგუფით. არამომგებიანი ორგანიზაციისგან განსხვავებით, კოოპერატივი ბენეფიციარად აღიარებს საკუთარ წევრებს და მიზნად ისახავს საკუთარი წევრების დასაქმებას, მომსახურებას და შემოსავლის ზრდას. ევროპის სხვადასხვა ქვეყნები განსხვავებულად უდგებიან კოოპერატივების დაფინანსებასა და სამართლებრივ სტატუსს გადასახადებისა და საზოგადოებრივ სარგებლიანობასთან მიმართებაში. ევროპის მრავალ ქვეყანაში კოოპერატივი შეიძლება მოქმედებდეს სოციალური საწარმოს მსგავსად და იქნეს აღიარებული, როგორც „საზოგადოებრივი სარგებლის“ ორგანიზაცია, რაც იწვევს გარკვეული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობას. გარდა ამისა, არსებობს ქვეყნები (მაგ. სლოვაკეთი), სადაც კოოპერატივის სამართლებრივი სტატუსით მოქმედი ორგანიზაცია ვერ იქნება საზოგადოებრივ სარგებელზე მიმართული ერთეული და ვერ ისარგებლებს საგადასახადო შეღავათებით.

### 1.2.7 სათემო ფონდი

**სათემო ფონდი** წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ინსტრუმენტს საგრანტო და საინვესტიციო ფონდის შესაქმნელად, რაც, უპირველესად, გამიზნულია სოციალურ გაუმჯობესებაზე მოცემულ გეოგრაფიულ ადგილას.პირველი სათემო ფონდი შეიქმნა 1914 წელს აშშ-ში (Šimčík n/d). დღეს სათემო ფონდის ბიზნესმოდელი ფართოდ აგრძელებს გავრცელებას მთელ მსოფლიოში, მათ შორის ევროპაში. 2010 წლის მონაცემით მსოფლიოში ცნობილი იყო 2000-მდე სათემო ფონდი

და აქედან 240 ევროპაშია (Wings 2010). სათემო ფონდების რესურსები გროვდება როგორც საჯარო, ასევე კერძო დონორებისგან, ასევე მოცემული თემის წარმომადგენლების ფილანტროპიული კონტრიბუციებიდან. მიუხედავად ამისა, სათემო ფონდების რესურსის დიდ ნაწილს ბიზნესკომპანიებისგან მიღებული დონაცია წარმოადგენს, რაც ორჯერ აღემატება სათემო ფონდის მიერ ფიზიკური პირებისგან, საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და ხელისუფლებისგან მიღებულ თანხებს.

სხვა მრავალი მექანიზმის მსგავსად, სათემო ფონდები უკეთ ვითარდება ხელსაყრელ სამართლებრივ და ფინანსურ გარემოში, რაც Wings- ის შეფასებით, ევროპის ქვეყნებში საშუალოდ ხელსაყრელია (2010[4]). ოჯახები, ინდივიდები, ბიზნესები და არამომგებიანი ჯგუფები ინსტიტუციის ბაზაზე ქმნიან ფონდს, რომელშიც კონტრიბუციის სახით შეაქვთ მრავალფეროვანი რესურსები საქველმოქმედო მიზნებისთვის. ევროპის მრავალ ქვეყანაში, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დონორები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით.

სათემო ფონდის, როგორც საზოგადოებრივი საქველმოქმედო ორგანიზაციის, უპირატესობაა ის, რომ იგი იყენებს თემში უკვე არსებულ მატერიალურ რესურსებს და მიმართავს საზოგადოებრივი სარგებლისაკენ. სათემო ფონდი თემისთვის ხელმისაწვდომს ხდის რესურსებს, რომელთაც იგი ასევე აკონტროლებს. სათემო ფონდი, ჩვეულებრივ, ფოკუსირებას ახდენს მოქალაქეთა ჩართულობაზე, თემის შიგნით კავშირების გაბმასადა რესურსების იმ საქმისთვის გამოყენებაზე, რომელიც თემს მიაჩნია საჭიროდ. დონორისა და სათემო ფონდის თანამშრომლობა, ჩვეულებრივ, ჰგავს დონორისა და ნებისმიერი სხვა ბენეფიციარის თანამშრომლობას. მიუხედავად ამისა, სათემო ფონდები ცდილობენ მეტად ჩართონ დონორი თავიანთ საქმიანობაში და წაახალისონ გაცემის კულტურის ახალი გზები.

ფონდების შემქმნელ ადამიანებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ გასწიონ რეკომენდაცია, რომ არამომგებიან ორგანიზაციაზე გრანტი გაიცეს ფონდის სახელით ან იყოს ანონიმური. ამასთან, არსებული ფულის ინვესტირებისას დონორს აქვს უფლება აირჩიოს საინვესტიციო პროდუქტი.

საგრანტო სქემებთან ერთად სათემო ფონდები უზრუნველყოფენ ტექნიკურ დახმარებას, აკეთებენ ფანდრაიზინგს იმ პროგრამებისთვის, რომლებიც ესაჭიროება და რისი სურვილიც აქვს თემს, ასევე სათავეში უდგანან ისეთ ინიციატივებს, როგორებიცაა: ეკონომიკური განვითარება და გარემოს კონსერვაცია.

### 1.2.8 თვითდაფინანსება

როგორც წესი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების თვითდაფინანსებაზე საუბრისას, პირველ რიგში, გულისხმობენ დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას (მომსახურების გაწევა, მომსახურებისა და საქონლის გაყიდვა, ფართის გაქირავება, ინვესტიცია და სხვ.) ან სამეწარმეო საქმიანობას (სოციალური საწარმო, სოციალური კოოპერატივი) (იხ. შესაბამისი თავები). ამასთან ერთად, ევროპაში თვითდაფინანსების წყაროებს წარმოადგენს საწევრო გადასახადი (მხოლოდ ასოციაციის შემთხვევაში) და თანხის მასობრივი მობილიზების მექანიზმი, ე.წ. ქრაუდფანდინგი.

4 მეტად ხელსაყრელი გარემოა სათემო ფონდისთვის აშშ-სა და კანადაში.

ქრაუდფანდინგი წარმოადგენს მცირე რაოდენობის კაპიტალის შეგროვებას ბევრი ადამიანისაგან (ასევე კორპორაციებისგან) ახალი ბიზნესის დასაწყებად ან სოციალური მისიის აღსასრულებლად. პრაქტიკულად, ეს ღია მოწვევაა ისეთი რესურსების შესაგროვებლად, როგორებიცაა: ფული, ფონდები, საქონელი და მოხალისეობრივი დრო. მიუხედავად იმისა, რომ ქრაუდფანდინგის საბაზისო იდეა არაა ახალი და დღემდე გამოიყენება ისეთი ფორმები, როგორებიცაა აქციებისა და საქველმოქმედო ღონისძიებების საშუალებით თანხების შეგროვება, ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებასთან ერთად მეტი ყურადღება დაეთმო ინტერნეტპლატფორმების გამოყენებას. ევროპარლამენტის საინფორმაციო ფურცლის მიხედვით, თანამედროვე ქრაუდფანდინგი ევროპაში დაფინანსების შედარებით ახალი ფორმაა და ძირითადად 2006-2009 წლებში განვითარდა. ქრადუფანდიგის კამპანიის შედეგად შესაძლებელია რესურსების მოზიდვა, როგორც არამომგებიანი, ასევე მომგებიანი ორგანიზაციისთვის. ევროპარლამენტი განასხვავებს კამპანიის 4 ძირითად კატეგორიას: ა) დონაციაზე დაფუძნებულს, საიდანაც კონტრიბუტორი არაფერს იღებს სანაცვლოდ (თუმცა, გამომდინარე პროექტიდან და იურისდიქციიდან, შესაძლებელია ისარგებლოს საგადასახადო შემცირებით), ბ) ჯილდოზე დაფუძნებულს, საიდანაც ხალხი იღებს საქონელს ან მომსახურებას კონტრიბუციის სანაცვლოდ, გ) კრედიტზე დაფუძნებულს, საიდანაც მოგებაზე ორიენტირებულ პროექტში კონტრიბუციისთვის კონტრიბუტორი იღებს მოგებას. დ) აქციებზე დაფუძნებულს, საიდანაც კონტრიბუციის სანაცვლოდ კონტრიბუტორი ხდება ორგანიზაციის აქციონერი. International Organization of Securities Commissions (IOSCO) პირველ ორ კატეგორიას განიხილავს „ქრაუდ-სპონსორობად“, ხოლო ბოლო ორს – „ქრაუდ-ინვესტირებად“ (Delivorias 2017).

ქრაუდფანდინგის აშკარა უპირატესობებთან ერთად, ანალიტიკოსები საუბრობენ ასევე რისკებზე, როგორებიცაა ბევრ ხალხზე გადანაწილებული ფინანსური რისკები, კაპიტალის მაღალი ღირებულება, სავარაუდო „ჯოგური მენტალიტეტი“, რამაც შესაძლებელია დაფინანსების გარეშე დატოვოს პოტენციურად უკეთესი პროექტი, ინვესტორების მაღალი რისკი პროექტის მფლობელების მხრიდან (პოტენციური) არაკომპეტენტურობის ან თაღლითობის გამო და სხვ. აღნიშნავენ, ასევე, ბევრ ქვეყანაში რეგულაციების არარსებობას ან მათ ბუნდოვანებასთან დაკავშირებულ რისკებს.

ევროპაში ქრაუდფანდინგი კონცენტრირებულია რამდენიმე ქვეყანაში (დიდი ბრიტანეთი, ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ნიდერლანდები), რომლებმაც რისკების შესამცირებლად შეიმუშავეს ქვეყანაზე მორგებული ქრაუდფანდინგის ადგილობრივი მექანიზმები, თუმცა გერმანია, ნიდერლანდები და ბელგია შემოიფარგლნენ სახელმძღვანელოს შემუშავებით, ხოლო იტალიაში, ბრიტანეთსა და საფრანგეთში გამოიცა შესაბამისი კანონები.

### 1.2.9 მოხალისეობა

**მოხალისეობა** არის დროისა და ენერგიის დონაციის პრინციპი სხვა ადამიანთა და თემის სასარგებლოდ, რაც (ფინანსური ანაზღაურების საპირისპიროდ) მეტად მნიშვნელოვან სოციალურ პასუხისმგებლობას წარმოადგენს და ფართოდაა გავ-

რცელებული ევროპის ქვეყნებში. 2010 წლის მონაცემით, ევროკავშირში მცხოვრები დაახლოებით 92-94 ზრდასრული ადამიანი ჩართულია მოხალისეობრივ საქმიანობაში (22-23%). მოხალისეობრივი ჩართულობა განსხვავებულია წევრ ქვეყნებს შორის, რაც განპირობებულია მოხალისეობის ტრადიციისა და მოხალისეობრივი სექტორის განვითარების დონით. მოხალისეობის ეროვნული კვლევების მიხედვით, მოხალისეობის ძალიან მაღალი დონეა ნიდერლანდებში, ავსტრიაში, დიდი ბრიტანეთსა და შვედეთში (ზრდასრული მოსახლეობის 40%-ზე მეტი); საკმაოდ მაღალია გერმანიაში, ესტონეთში, ფინეთსა და ლატვიაში (ზრდასრული მოსახლეობის 20-29%). ევროკავშირის დანარჩენ ქვეყანაში მოხალისეობა შედარებით დაბალია (10-19%) (GHK 2010). ამასთან, ბოლო 10 წლის განმავლობაში მოხალისეობრივი საქმიანობის ტენდენცია ევროპის ქვეყნებში (განსაკუთრებით ახალ წევრ ქვეყნებში) იზრდება, რაც ანალიტიკოსების მიერ აიხსნება სოციალური და გარემოსდაცვითი საჭიროებების შესახებ საზოგადოების შემეცნების ზრდით. მოხალისეობის ხელშესაწყობად სახელმწიფო ინიციატივების წამოწყებით/გაძლიერებით, მოხალისეობრივი ორგანიზაციების რაოდენობისა და მოხალისეობაზე მოთხოვნის გაზრდით.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არც თუ ბევრ ქვეყნებს აქვს შემუშავებული მოხალისეობის ეროვნული სტრატეგია. კიდევ უფრო ნაკლებ ქვეყანას აქვს იდენტიფიცირებული მიზნები და შესაბამისი ინდიკატორები. ასევე არაა ერთიანი მიდგომა სამართლებრივ ჩარჩოსთან მიმართებით. მარეგულირებელი გარემოს მიხედვით წევრი ქვეყნები პირობითად იყოფიან სამ კატეგორიად: ქვეყნები, რომლებსაც აქვს დადგენილი მოხალისეობასთან დაკავშირებული სპეციალური სამართლებრივი ჩარჩო (მაგ. უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, იტალია), ქვეყნები, რომლებშიც არ არსებობს სპეციალური კანონმდებლობა, მაგრამ მოხალისეობა რეგულირდება სხვა არსებული კანონების დახმარებით (მაგ. ესტონეთი, დანია, ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, სლოვაკეთი) და ქვეყენები, რომლებშიც ამჟამად მუშავდება მოხალისეობის სამართლებრივი ჩარჩო (ბულგარეთი, სლოვენია) (GHK 2010).

### 1.2.10 კორპორაციული მოხალისეობა

**კორპორაციული მოხალისეობა** ლიტერატურაში აღწერილია, როგორც „კომპანიის მოხალისეობრივი პროგრამა“ ან „თანამშრომელთა ჩართულობის ხელშეწყობა“, რითაც ნაგულისხმევია კომპანიის ადამიანური რესურსების გამოყენება არა-მომგებიანი მიზნებისთვის, რაც სცდება ბიზნესის ძირითად საქმიანობას. „კორპორაციული მოქალაქეობის“ (ე.ი. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესის) ეს შედარებით ახალი ინსტრუმენტი, ერთი მხრივ, გულისხმობს თანამშრომელთა დასაქმებას კომპანიის არამომგებიანი პროექტებში და, მეორე მხრივ, თანამშრომელთა არსებული მოხალისეობრივი სწრაფვების წახალისებას (Backhaus-Maul 2004). კორპორაციული პასუხისმგებლობის ეს მოდელი გამოიყენება კომპანიის ფასეულობებისა და კულტურის განსავითარებლად, ორგანიზაციული განვითარების გასაუმჯობესებლად ან, პერსონალური განვითარების ფარგლებში, თანამშრომელთა დასატრენინგებლად. ამასთან,

კომპანიები იღებენ მარკეტინგულ უპირატესობებს, რადგან იზრდება კომპანიის რეპუტაცია, როგორც თანამშრომლის, ასევე საზოგადოების თვალში. დროის ან გამოცდილების დონაცია კომპანიების ხელმძღვანელებისა და დაქირავებული თანამშრომლების მხრიდან ფართო სპექტრისაა. შესაძლებელია ეს იყოს ერთჯერადი რამდენიმე ინიციატივა (მაგალითად, „სოციალური დღეები“), როგორებიცაა სკოლის საკლასო ოთახების შეღებვა ან სპორტული მოედნის შერემონტება, რაც ხელით სამუშაოს გულისხმობს. ამასთან, შესაძლებელია ხანმოკლე (მაგ. იურიდიული დახმარება, ვებტექნოლოგიების აწყობა) ან ხანგრძლივი კვალიფიცირებული დახმარება (დროებითი სამსახური არამომგებიან ორგანიზაციაში, მენტორობა), რაც კომპანიის ხელმძღვანელისგან ან თანამშრომლებისგან უსასყიდლო დახმარებას გულისხმობს.

# 2. სახელმწიფო დაფინანსების არაპირდაპირი სახელმწიფო მექანიზმები

## 2.1 საპროცენტო მექანიზმი

პროცენტის დესიგნაციის მექანიზმს განმარტავენ, როგორც სახელმწიფო დახმარების არაპირდაპირ ფორმას. ამ მექანიზმის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ (და ზოგიერთ ქვეყანაში ასევე კორპორაციულ) პირებს აქვთ მინიჭებული უფლება გადაწყვიტონ როგორ იქნას გამოყენებული მათი გადასახადის გარკვეული პროცენტი. გამომდინარე იქიდან, რომ ევროპის მრავალ ქვეყანაში ამ მექანიზმის წყალობით გაკეთებული დესიგნაციის შინაარსზე არჩევანს კონკრეტული ქვეყნის მოქალაქე აკეთებს, მექანიზმი განიხილება როგორც მოქალაქეთა ინდივიდუალური გაცემის საშუალება, რასაც არეგულირებს სახელმწიფო. მექანიზმი მიზნად ისახავს: ა) გაზარდოს არასამთავრობო სექტორის[5] რესურსები, ბ) გადასახადის გადამხდელებში განავითაროს ფილანტროპიის კულტურა.

მექანიზმი გავრცელებულია მხოლოდ ევროპის ახალ წევრ ქვეყნებში. მექანიზმი პირველად იქნა მიღებული უნგრეთში 1996 წელს. უნგრეთის მაგალითზე კანონი მოგვიანებით ამოქმედდა სლოვენიაში, ლიტვაში, პოლონეთში, სლოვაკეთსა და რუმინეთში[6]. იმ ქვეყნებში, პოლონეთის გარდა, სადაც საპროცენტო განაკვეთი 2%-ს შეადგენს, შესაძლებელია გადასახადების 1%-ის დესიგნება. ყველა აღნიშნულ ქვეყანაში მექანიზმი მხოლოდ ფიზიკური პირის უპირატესობაა, გარდა სლოვაკეთისა, სადაც, 2004 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, საპროცენტო მექანიზმის გამოყენება შეუძლია ასევე კორპორაციას (Brighidin 2013).

გავრცელებული პროცედურის შესაბამისად, გადასახადების გადახდისას, გადამხდელი სპეციალურ ფორმაზე მიუთითებს კონკრეტულ ორგანიზაციას, რომელსაც სურს დაეხმაროს. საპროცენტო განაკვეთი დადგენილია (საგადასახადო ან სხვა) კანონით. ინდივიდუალური გადამხდელის ანონიმურობა დაცულია. საგადასახადო ორგანოები რიცხავენ თანხას მას შემდეგ, რაც მიმღები ორგანიზაცია დაამტკიცებს თავის უფლებამოსილებას. თუკი გადასახადის გადამხდელი გადაწყვეტს არ მიმართოს თანხები რომელიმე ბენეფიციარის სასარგებლოდ, თანხა გადაირიცხება საერთო სახელმწიფო ბიუჯეტში და გამოიყენებენ პარლამენტის მიერ დამტკიცებული ქვეყნის წლიური ბიუჯეტის შესაბამისად.

როგორც პოლიტიკის შემქმნელებს, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს შორის არსებობენ სკეპტიკოსები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ საპროცენტო მექანიზმის ეფექტურობას. კერძოდ: ა) პოტენციურ „დონორთა“ ჯგუფი მოიცავს მხოლოდ გადასახადის გადამხდელებს, ბ) საშუალებაა მხოლოდ ფიქსირებული ოდენობის დონაცია და გამორიცხავს არა-

5 ზოგ შემთხვევაში, ასევე რელიგიური და სხვა ორგანიზაციის

6 საპროცენტო მექანიზმის კონცეფცია იყო განხილული და გაანალიზებული ასევე ბულგარეთში, საქართველოში, ესტონეთსა და მაკედონიაში. მიუხედავად ამისა, მექანიზმის პოტენციური ზეგავლენის სიღრმისეული შეფასების შედეგად მექანიზმი არ იქნა მიღებული (Brighidin 2013).

სამთავრობოს წილის გაზრდას (Hadzi-Miceva 2007). სხვა ნაკლოვანებებს შორის სახელდება ორგანიზაციის პოპულარიზაციის საქმეში მარკეტინგის როლი (მაგ. ვინც უკეთ აწარმოებს მარკეტინგულ კამპანიას, მეტადაა ცნობილი და იღებს მეტ დაფინანსებას) (Bauer 2004). სხვა ტიპის დონაციების პოტენციური შემცირება (გადასახადის გადამხდელის მხრიდან პასუხისმგებლობის დაკმაყოფილება/მოხსნა) და სხვ. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ჯამური თანხის მისაღებად მექანიზმი მეტად სარგებლიანია, დიდ და პოპულარულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის (მაგ. ბავშვებთა საკითხები ან ცხოველთა დაცვა), ეს მექანიზმი წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს ადგილობრივი და მცირე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც, რადგან მათთვის გაცილებით მარტივია ადგილობრივი მხარდაჭერის მობილიზება. მექანიზმი, ასევე, უწყობს ხელს ორგანიზაციებს შორის კონკურენციის შექმნას, რაც ამაღლებს პროფესიონალიზმს, აუმჯობესებს კომუნიკაციას და იმიჯს. მაგალითად, უნგრეთში ჩატარებული კვლევის შესაბამისად, არასამთავრობო სექტორი აღიარებს, რომ 1%-იანი მექანიზმის შემოღებამ გააუმჯობესა მისი ურთიერთობა და კომუნიკაცია „მომხმარებელთან". მექანიზმის უპირატესობად განიხილება ასევე გადასახადის გადამხდელის მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა – თვითონ განსაზღვროს რაზე დაიხარჯოს მისი გადასახადის გარკვეული პროცენტი (დეცენტრალიზაციისა და გადაწყვეტილებების დეპოლიტიზების კონტექსტში), სამოქალაქო საზოგადოების აუცილებლობის შესახებ შემეცნების ამაღლება და საჭირბოროტო საკითხების შესახებ ხელისუფლებისათვის „სიგნალის" გაგზავნა (Hadzi-Miceva 2007).

## 2.2 საზოგადოებრივი სარგებლიანობის სტატუსი

ევროპის ქვეყნებში არასამთავრობო და არამომგებიანი ორგანიზაციების სამართლებრივი ჩარჩო იძლევა საშუალებას ორგანიზაცია დაფუძნდეს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით და ორიენტირებული იყოს ნებისმიერ ლეგიტიმურ მიზანზე, ურთიერთსარგებლისა და საზოგადოებრივი სარგებლის ჩათვლით. ამასთან, <u>ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფოს არ სურს საშეღავათო პირობები შეუქმნას არასამთავრობო ორგანიზაციებს. სახელმწიფო საშეღავათო პირობებს უქმნის ორგანიზაციებს გამომდინარე მათი მიზნებიდან და საქმიანობიდან</u>. საშეღავათო პირობების უზრუნველყოფით სახელმწიფოს სურს ხელი შეუწყოს გარკვეულ საზოგადოებრივ სარგებელზე მიმართულ საქმიანობას. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებრივ სარგებელზე ორიენტირებულ საქმიანობას, ხშირად მოიხსენებენ „ქველმოქმედებად" ან „საზოგადოებრივი სარგებლის ორგანიზაციად".

ევროპაში აღიარებულია საზოგადოებრივი სარგებლიანობის რეგულირების აუცილებლობა, თუმცა არ არსებობს ერთიანი უნიკალური მიდგომა.

ევროპის ზოგიერთი ქვეყანა (მაგალითად, პოლონეთი, უნგრეთი, ბოსნია, რუმინეთი და სხვ.) სამართლებრივად განსაზღვრავს და ორგანიზაციებს ანიჭებს საზოგადოებრივი სარგებლიანობის სტატუსს („საზოგადოებრივი სარგებლიანობის ორგანიზაცია"). ზოგიერთი კი (მაგ. გერმანია, ნიდერლანდები) ასეთ სტატუსს არ

განსაზღვრავს, თუმცა საგადასახადო კანონმდებლობა მოიცავს საზოგადოებრივი სარგებლის აქტივობებს და აწესებს ფისკალურ პრივილეგიებს ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ამ აქტივობებს (Moore et al 2008). არსებობს განსხვავებული მიდგომებიც. მაგალითად, ესტონეთში განისაზღვრება საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლე სტატუსი, ხოლო სლოვაკეთში მოქმედებს საპროცენტო მექანიზმი, რომელიც ამცირებს საგადასახადო ბაზას, თუკი დონაცია გაკეთდა ოფიციალურ სიაში მოხვედრილი არამომგებიანი ორგანიზაციის სასარგებლოდ.

ცხადია, რომ საზოგადოებრივი სარგებლიანობა (როგორც სტატუსი, ისე ცალკეული საქმიანობა), <u>პირველ რიგში, ფისკალური რეგულაციის საკითხია. საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობის ხელშესაწყობად საქმიანობა ექცევა სამართლებრივ ჩარჩოში, რომელიც დაკავშირებულია პრეფერენციულ საგადასახადო სისტემასთან ან ხელისუფლების მხრიდან სხვა ფორმის დახმარებასთან. საზოგადოებრივი სარგებლიანობის ორგანიზაციები ექვემდებარებიან დამატებით ზედამხედველობას სახელმწიფოს მხრიდან, რათა მათი აქტივების გამოიყენება მოხდეს მიზნობრივად – საზოგადოებრივი სიკეთისთვის.</u>

საზოგადოებრივი სარგებლიანობის სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეიძლება მიენიჭოს არასამთავრობო ორგანიზაციას პირდაპირი გზით (შესაბამის ჩარჩო-კანონმდებლობის ფარგლებში ან საზოგადოებრივი სარგებლის შესახებ დამოუკიდებელი კანონმდებლობით) ან არაპირდაპირი გზით (სხვადასხვა კანონის მეშვეობით, რაც საზოგადოებრივი სარგებლიანობის შესახებ კანონმდებლობის ნორმების პირდაპირი ეკვივალენტია). საზოგადოებრივი სარგებლის ბუნებისა და აქტივობებისთვის არაა მნიშვნელოვანი ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი ან მისი ეკონომიკური საქმიანობა.

# 3. ქვეყნების მაგალითები

## უნგრეთი

### საზოგადოებრივი სექტორი

უნგრეთის საზოგადოებრივი სექტორი, ორგანიზაციული ფორმის მიხედვით, შედგება, როგორც „კლასიკური“ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან (კერძო ფონდები, ასოციაციები, ფედერაციები), ისე არამომგებიანი ბიზნესკომპანიებისაგან (ე.წ. არამომგებიანი საწარმო), ინტერესთა ადვოკატირების ჯგუფებისგან (სავაჭრო კავშირები, პროფესიული ორგანიზაციები) და კვაზი არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან (ხელისუფლების მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციები). ეს უკანასკნელი, ძირითადად, ასრულებს საჯარო ვალდებულებებს.

2009 წლის მონაცემით, უნგრეთში რეგისტრირებული იყო 66 145 არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელთა დაახლოებით 87% (57 546) წარმოადგენდა კლასიკური ტიპის სამოქალაქო ორგანიზაციას. ამასთან, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) 2016 წლის ინდექსის მიხედვით, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ისე მათი თანამშრომლების რიცხვი 2013-15 წლებში შემცირდა (USAID 2017). უნგრეთის სტატისტიკურ ოფისზე დაყრდნობით, 2015 წელს სო-ების რაოდენობა შეადგენდა 62 000-ს (ამათგან კლასიკური ტიპის- 54 000) (Statistical Reflections 2017).

სექტორის რეგულარული სტატისტიკური მონიტორინგი უნგრეთში 1993 წლიდან ხორციელდება. ამ მონაცემების მიხედვით, აქტიური ორგანიზაციების რიცხვი, შემოსავლების რეალური ღირებულება და თანამშრომელთა რაოდენობა სტაბილურად იზრდებოდა 2008 წლამდე. შემდგომ, ეკონომიკური კრიზისის დაწყებასთან ერთად ზრდა, შენელდა (გარდა დასაქმებისა). 2012 წელს პირველად სამივე მაჩვენებელმა დაღმავლობა განიცადა, რაც დღემდე გრძელდება (USAID 2017, Statistical Reflections 2017).

### საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსი

უნგრეთის ასოციაციებს, ფონდებსა და არამომგებიან კომპანიებს შესაძლებელია მიენიჭოთ PBO სტატუსი. PBO სტატუსი განისაზღვრა უნგრეთის არამომგებიანი ორგანიზაციების შესახებ აქტით, 1997 წელს. საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსი გულისხმობდა მეტ გამჭვირვალობას და წლიური ანგარიშების გამოქვეყნებას (OSCE 2010). იმ პერიოდში, პრაქტიკულად, ნებისმიერ სო-ს შეეძლო რეგისტრაცია გაევლო და მიეღო სერტიფიცირება განუსაზღვრელი ვადით. 2011 წელს კანონში მიღებული ცვლილებების შედეგად, უვადო სერტიფიცირება შეიცვალა პირველადი (საეტაპო) სერტიფიცირებით და გარკვეული ვადით (ორწლიანი ფინანსური ვადა) მიება საზოგადოებრივ ფუნქციებს. 2011 წლის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუკი სამოქალაქო ორგანიზაცია

ვერ წარადგენს სავალდებულო წლიურ ფინანსურ ანგარიშს, სასამართლოს აქვს უფლება შეაჩეროს ან გააუქმოს ორგანიზაცია (KSH 2017). ამასთან, იმავე კანონის მიხედვით, გრანტის გამცემმა ორგანიზაციამ უნდა გაარკვიოს წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაცია არა-სამთავრობო თუ საზოგადოებრივი სარგებლიანობის ორგანიზაციას. შესაბამისად, პრაქტიკული მიზნებისთვის, პოტენციური გრანტის მიმღები უნდა იყოს: ა) ასოციაცია, ბ) ფონდი ან გ) არამომგებიანი ორგანიზაცია და, როგორც ითქვა, ამ ორგანიზაციებს შესაძლებელია ჰქონდეთ, ასევე, PBO სტატუსი.

2013 წელს საზოგადოებრივი სექტორის 55% ატარებდა PBO სტატუსს, ხოლო 2015 წლის ბოლოს ეს რაოდენობა 20%-მდე შემცირდა.

**ფინანსური მდგომარეობა**

Statistical Reflections-ის მიხედვით, 2015 წელს სო-ის მხოლოდ 3.9%-ს არ განუხორციელებია არანაირი ფინანსური ოპერაცია. ორგანიზაციების 91%-მა აჩვენა ბრუნვა, 1,5%-მა – მხოლოდ შემოსავალი და 3.3%-მა – მხოლოდ ხარჯები. 2015 წ.-ს საერთო მოგებამ შეადგინა 1,543 უნგრულ ფორინტ მილიარდზე მეტი (დაახლოებით 5 მლნ. ევრო), რაც წინა წელთან შედარებით 4.9%-ით მეტია. 500,000 ფორინტზე (დაახლ. 1500 ევრო) ნაკლები შემოსავლიანი ორგანიზაციების რიცხვი (ორგანიზაციების საერთო რიცხვიდან) წინა წელთან შედარებით შემცირდა 41%-დან 39%-მდე. დაბალი შემოსავალი უფრო მეტად აღინიშნება კლასიკური ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციებში (KSH 2017).

უნგრეთში, ტრადიციულად, საზოგადოებრივი ორგანიზაციები შემოსავალს უმეტესწილად იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მაგალითად, 2015 წლის მონაცემით, სახელმწიფო სუბსიდიების პროპორცია სექტორის დაფინანსებაში გაიზარდა 4.2%-ით. სხვა ფაქტორებთან ერთად ეს განაპირობა მოგების გადასახადიდან სპორტისა და კულტურის დასაფინანსებლად გაწეული დონაციის სახელმწიფო დახმარებად კლასიფიცირებამ (2015 წლამდე ამგვარი შემთხვევა განიხილებოდა კერძო დონაციად).

საერთო ჯამში, საზოგადოებრივი სექტორის შემოსავლის ერთი მესამედი (33%) მომდინარეობს სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტიდან. მაგალითად, 2015 წელს 14000 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, საგრანტო აპლიკაციების საშუალებით, დაფინანსდა 196 მილიარდი ფორინტით (KSH 2017). ამასთან, საერთო შემოსავლის დაახლოებით 40% მომდინარეობს შემოსავლის გენერირებაზე მიმართულ მისიასთან დაკავშირებული (მაგ. ადვოკატირების ტრენინგი), ასევე დამხმარე[7] (მაგ. ოფისის ფართის გაქირავება) საქმიანობიდან. აღსანიშნავია, რომ სიმბოლურ ხასიათს ატარებს საწევრო გადასახადი და (პროფესიული კავშირების გარდა) პრაქტიკულად არ გროვდება. (იხ. სურათი 1: არასამთავრობო ორგანიზაციების შემოსავლის განაწილება 2015).

7 KSH-ის მიხედვით, „შემოსავლების მართვა“ (revenue management) მოიცავს ანალიზს, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს მომხმარებლის ქცევას მიკრობაზრის დონეზე და ოპტიმიზაციას უკეთებს პროდუქტის ხელმისაწვდომობას შემოსავლის ზრდის მაქსიმიზაციისთვის.




**(სურათი 1) არასამთავრობო ორგანიზაციების შემოსავლის განაწილება 2015 (წყარო KSH 2017)**

## ეკონომიკური საქმიანობა

უნგრეთის საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ასოციაციის ან ფონდის არასამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი განთავისუფლებულია კორპორაციული საშემოსავლო გადასახადისგან (მოგების გადასახადი). არასამეწარმეო საქმიანობა მოიცავს: ა) დონაციების მიღებას, ბ) მისიის აღსრულებასთან დაკავშირებულ საქმიანობას (საზოგადოებრივი სარგებლიანობის ჩათვლით), გ) ფულის დაბანდებას დეპოზიტებში, ფასიან ქაღალდებში ან კომპანიების აქციებში, დ) კერძო საკუთრების შეძენას, გამოყენებას ან გადაცემას.

როგორც წესი, უნგრეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ უფლება ჩაერთონ ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობაში, რაც არ დააზარალებს ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული მისიის აღსრულებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. შესაბამისად, ორგანიზაციამ შეიძლება აწარმოოს შემოსავლის გენერირებაზე მიმართული ნებისმიერი საქმიანობა (მაგ. ინვესტიცია, ვაჭრობა და სხვ.) საკუთარი საქმიანობის დასაფინანსებლად. საზოგადოებრივ ორგანიზაციას აქვს საშუალება ჩაერთოს ეკონომიკურ საქმიანობაში უშუალოდ ან ცალკე დაფუძნებული კომპანიის საშუალებით. საზოგადოებრივი ორგანიზაცია უპირველესად სამეწარმეო საქმიანობის დაფუძნებულ ორგანიზაციად ითვლება, თუკი კონკრეტული სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი უდრის ან აღემატება ორგანიზაციის საერთო შემოსავლის 60%-ს. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო კოდექსი მკაცრ რეგულაციებს აყენებს ასოციაციისა და ფონდისათვის, რომელთა მიხედვით, ასოციაციისა და ფონდის დაფუძნება ეკონომიკური (სამეწარმეო) საქმიანობისთვის აკრძალულია. დაშვებულია, მხოლოდ იმ ეკონომიკურ საქმი-

ანობაში ჩაბმა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ორგანიზაციის მიზნების აღსრულებასთან.

ამასთან, სამეწარმეო საქმიანობით მიღებულ შემოსავალზე დაწესებულია გადასახადებისგან გათავისუფლების ზღვარი. PBO სტატუსის არმქონე ასოციაციები, ფონდები, სახელმწიფო ფონდები და სახელმწიფო პალატები არ იხდიან მოგების გადასახადს, თუკი მათი მეწარმეობის შედეგად მიღებული შემოსავალი არ აღემატება 10 მლნ. უნგრულ ფორინტს (დაახლოებით 33,000 ევრო) და საერთო შემოსავლის 10%-ს. PBO-ს შემთხვევაში, საგადასახადო შეღავათი ვრცელდება ორგანიზაციის საერთო შემოსავლის 15%-ზე (El-Sadany2017). აღსანიშნავია, რომ PBO-ს შემოსავალი არ იბეგრება, თუკი მომდინარეობს საზოგადოებრივ სარგებელზე მიმართული საქმიანობისგან, რაც უზრუნველყოფილია ადგილობრივ ხელისუფლებასთან ან სხვა ინსტიტუციასთან დადებული კონტრაქტით, რომელშიც ამგვარი საქმიანობა გათვალისწინებულია წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით.

ზემოხსენებული დიფერენცირება არ ვრცელდება არამომგებიან საწარმოებზე, შესაბამისად, მათი ეკონომიკური საქმიანობა ექვემდებარება გადასახადებს.

ყველა ორგანიზაცია, რომელიც დაკავებულია ეკონომიკური საქმიანობით, ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) (სტანდარტული ოდენობა -27%, ზოგიერთ საქონელსა და მომსახურებაზე -18% ან 5%). მიუხედავად ამისა, არსებობს „საზოგადოებრივი ინტერესის საქმიანობის“ ჩამონათვალი, რომელშიც შედის დღგ-სგან განთავისუფლებული ორგანიზაციები, თუკი ეს საქმიანობა უზრუნველყოფილია საჯარო მომსახურების მიმწოდებლებისგან (მაგ. საბიუჯეტო ორგანიზაციები, ასოციაციები, სამოქალაქო ჯგუფები, ალიანსები, პალატები, ეროვნული სპორტული ფედერაციები, საჯარო ფონდები, ეკლესიები, არამომგებიანი ორგანიზაციები და სხვ.), რომლებმაც მოიპოვეს PBO სტატუსი ან საქმიანობენ სოციალური უზრუნველყოფის (ან ბიუჯეტით გათვალისწინებული) სხვა მიმართულებით ბენეფიციარების სასარგებლოდ. ამასთან, ორგანიზაცია შესაძლებელია განხილული იქნას საზოგადოებრივი მომსახურების მომწოდებლად, თუკი დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: 1) ორგანიზაცია სისტემატურად არ არის მიზანმიმართული სარგებელზე, მოგებას იყენებს საკუთარი საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობის შესანარჩუნებლად და გასაფართოვებლად; 2) ორგანიზაციის აღმასრულებლები (გამგეობის ჩათვლით) მუშაობენ მოხალისეობრივ საწყისებზე; 3) ორგანიზაციის საქონლის ან მომსახურების მიწოდების ფასი შესაბამისობაშია უნგრეთის Act on Price Control Regulations-თან ან ფასი დაბალია ბაზარზე არსებული იმავე საქონლის ან მომსახურების მიწოდების ფასზე. დღგ-სგან განთავისუფლებული მომსახურება, სხვებთან ერთად, შეიძლება მოიცავდეს ჯანდაცვას, სოციალურ მომსახურებას, საჯარო განათლებას, ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვას, დღის მომვლელის მომსახურებას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ფოლკლორულ მიმდინარეობებს, ასევე სპორტთან დაკავშირებულ მომსახურებას.

PBO-ს მიერ შესყიდული ქონება (აქტივები) ასევე განთავისუფლებულია დღგ-საგან გადასახადისგან, თუკი იგი გამოიყენება მხოლოდ ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მიზნებისთვის ევროკავშირის გარეთ.

### გაცემის ზემოქმედი ფაქტორები

საქველმოქმედო შენატანისთვის ორგანიზაციები სარგებლობენ გარკვეული შეღავათებით. კერძოდ, PBO სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი დონაცია იწვევს დასაბეგრი ბაზის შემცირებას: 1) დონაციის 20%-ით, თუკი დონაცია გაცემულია საზოგადოებრივ სარგებლიანობის საქმიანობაზე ან საზოგადოებრივი სარგებლიანობის ორგანიზაციაზე; 2) დონაციის 40%-ით, თუკი მიმართულია PBO-ზე დახმარების გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე[8]; 3) 50%-ით, თუკი დონაცია განხორციელებულია Hungarian Relief Fund-ის , National Cultural Fund-ის, ან Damage Mitigation Fund-ის სასარგებლოდ; 4) 50%-ით, თუკი დონაცია განხორციელებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასარგებლოდ, საგრანტო შეთანხმების ფარგლებში. შეღავათის მოსათხოვად, კომპანიას უნდა ჰქონდეს, ბენეფიციარი ორგანიზაციის მიერ გაცემული შესაბამისი საგადასახადო სერთიფიკატი. PBO-ს მიერ გაცემული დონაცია საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობისთვის ასევე განთავისუფლებულია დღგ-საგან, თუკი დონორს აქვს შესაბამისი სერტიფიკატი ბენეფიციარისგან.

საქველმოქმედო შენატანები ფიზიკურ პირებს არ ანიჭებს რაიმე საგადასახადო შეღავათს. ფანდრაიზინგის ტრადიციული მექანიზმები არაა რეგლამენტირებული, თუმცა მონაცემების შესახებ ინფორმაცია მკაცრადაა დაცული. ასევე, სახეზეა ინდივიდუალური გაცემის ტექნიკური ბარიერები, რომელთაგან ერთ-ერთია კერძო საბანკო ჩეკების არარსებობა (რაც ფართოდ გამოიყენება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში). აღსანიშნავია, რომ ტექსტური შეტყობინების მეშვეობით გაკეთებული დონაციის 50%-ზე მეტი ხმარდება გადასახადებსა და მობილურ ოპერატორს და სხვ.

უნგრეთში მოქმედებს საპროცენტო მექანიზმი, რომლის შესაბამისად, უნგრეთში მცხოვრებ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირს აქვს საშუალება საკუთარი საშემოსავლო გადასახადის 1% მიმართოს კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციის და კიდევ 1% სხვა ინსტიტუციის მხარდასაჭერად[9]. უნგრეთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც შემოიღო საპროცენტო მექანიზმი 1996 წელს, რაც განისაზღვრა აქტით „პირადი საშემოსავლო გადასახადის განსაზღვრული ნაწილის გამოყენების შესახებ“. მექანიზმი შემოღებული იქნა ორი ძირითადი მოსაზრებით: ა) უნგრული არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა უცხოური დონორების მხრიდან პროპორციულად ნაკლები იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის; ბ) არასამთავრობო სექტორისადმი სახელმწიფო დაფინანსება ზედმეტად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა (Hadzi-Miceva 2007).

8 მაგ: PBO-სა და დონორს შორის შეთანხმების საფუძველზე გაცემული ფულადი კონტრიბუცია, რომლითაც დონორი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს დახმარება მიმდინარე წელს და მინიმუმ წელიწადში ერთხელ, მინიმუმ სამი მომდევნო წლის განმავლობაში იმავე ან მეტი ოდენობითუპირობოდ.

9 1% -ის პოტენციურ მომხმარებელთა სია მოიცავს ეკლესიას და საბიუჯეტო ორგანიზაციებს. ასევე ყოველწლიურად სიაში შეტანილია კონკრეტული წლის საბიუჯეტო პრიორიტეტების ამოცანები.

## გაცემის პრაქტიკა და სოციალური ინოვაციები

### საერთაშორისო დონორები

რეგიონის ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, უნგრეთში საერთაშორისო დონორებმა არ დააფუძნეს საკუთარი ფილიალები. ამის სანაცვლოდ, დონორთა ფულის გასაცემად შეარჩიეს არსებული ფონდები ან დააფუძნეს უნგრული ფონდები. 90-იან წლებში უნგრეთში ასეთი 10-ზე მეტი ფონდი საქმიანობდა, რომელთა ნახევარზე მეტმა, პირველადი დონორის რეგიონიდან გასვლასთან ერთად, დახურა ან მნიშვნელოვნად შეამცირა საგრანტო პროგრამები. ამგვარი ფონდები, მეტწილად, გამოიყენებოდა სოციალური ინოვაციებისთვის, ინოვაციური მომსახურების პილოტირებისა და დანერგვისთვის, ბენეფიციართა სეგმენტირებული ჯგუფების დახმარებისთვის და საზოგადოებრივი სექტორის შესაძლებლობისა და პროფესიონალიზმის ზრდისთვის (OSCE 2010). ამ ტიპის კერძო ფონდების დონაცია არასოდეს აღემატებოდა არასამთავრობო სექტორის მთლიანი შემოსავლის 7%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დონაციებმა ორგანიზაციებს მისცა უნარების განვითარების შესაძლებლობა და ხელი შეუწყო ხელისუფლებასა და ბიზნესთან თანამშრომლობას, ანალიტიკოსების აზრით, დღესდღეობით ამგვარი დაფინანსების ნაკლებობა იწვევს სირთულეებს სტარტაპებისა და მომსახურების მიწოდებაში საჭირო თანხების ვერმოზიდვის გამო (OSCE 2010).

უნგრეთში დღემდე საქმიანობს საერთაშირისო საქველმოქმედო ორგანიზაცია NESst-ი, რომელიც გრანტების (ასევე კაპიტალური ინვესტიციის, სესხის, საგარანტიო დახმარების, ტექნიკური დახმარებისა და კონსულტაციის) საშუალებით ხელს უწყობს სოციალური საწარმოების განვითარებას.

უნგრეთში გარკვეული შეფერხებით, თუმცა მაინც ხელმისაწვდომია EEA/NORWAY გრანტები საზოგადოებრივი სექტორისთვის.

### კორპორაციული გაცემა და კონტრიბუციები

უნგრეთში ბოლო წლებში ნელ-ნელა იზრდება ადგილობრივი კერძო გრანტების გამცემი ფონდებისა და ასევე სათემო ფონდების რაოდენობა. აღნიშნავენ, რომ ფილანტროპი ადამიანების მიერ შექმნილი ფონდები უფრო მეტად არიან ორიენტირებული თანამედროვე ხელოვნებასა და ღარიბ ბავშვებზე, ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციებზე; ხოლო სათემო ფონდები (2017 წლის მონაცემით სულ 5 სათემო ფონდია) დღემდე წახალისებულია საერთაშორისო დონორთა მიერ. მიუხედავად ამისა, სტატისტიკური ოფისის 2009 წლის მონაცემით, საზოგადოებრივი სექტორისადმი კორპორაციული მხარდაჭერა 2007 წლიდან 20%-ით გაიზარდა, სახელდობრ, კორპორაციულმა გაცემამ შეადგინა 52,5 მილიარდი ფორინტი (187 მილიონ ევროზე მეტი), რითიც ისარგებლა არასამთავრობო ორგანიზაციათა დაახლოებით 19 %-მა (12 447 სო). ამასთან, 2009 წლის მონაცემით, ადგილობრივმა ფონდებმა უზრუნველყვეს მთლიანი სექტორის შემოსავლის 2.1% (23,5 მილიარდი ფორინტი – დაახლოებით 84 მილიონი ევრო), რითიც ისარგებლა არასამთავრობოების 26%-ზე მეტმა (17 397 ორგანიზაცია).

უნგრეთის სახელმწიფო სისტემის მიერ წახალისებულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების გრძელვადიანი მხარდაჭერა, თუმცა კორპორაციული გაცემა ძირითადად ფოკუსირდება PR-სა და ბრენდირებაზე. მიუხედავად ამისა, არსებობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რამდენიმე წარმატებული მაგალითი, როგორებიცაა, მაგალითად, MagNet Bank Ltd-ს ქეისი (დეცენტრალიზებული გადაწყვეტილებების მიღება), რომლის მიხედვითაც ბანკის კლიენტები თავად წყვეტენ დაფინანსდეს თუ არა კონკრეტული საზოგადოებრივი ორგანიზაცია ბანკის მოგების 10%-დან (OSCE 2010).

საერთო ჯამში, შემფასებლების აზრით, ***სოციალური დაფინანსების*** ბაზარი უნგრეთში პატარაა და მხოლოდ რამდენიმე ზეგავლენის (შედეგზე ორიენტირებული) ინვესტორია (Jaska 2011). DemNet Foundation-ის მიხედვით, კლასიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ნაწილი ფოკუსირდება პროექტზე მიბმულ გრანტზე. ამასთან, ორგანიზაციების უმეტესობა იღებს მოკლევადიან („დამაკავშირებელ“) კრედიტებს (ე.წ. შემნახველი კოოპერატივებიდან), რათა გრანტებს შორის პერიოდში უზრუნველყოს თანხების ბრუნვა. შესაბამისად, მცირემასშტაბიანი კაპიტალური ინვესტიციის ბაზარი პრაქტიკულად არ არსებობს (DemNet Foundation n/d). სოციალური (შედეგებზე ორიენტირებული) ინვესტიციის მიმართულებით უნგრეთში მხოლოდ 3 ძირითადი მოთამაშეა NESsT-ი, MagNet Bank Ltd-ი., Microcredit Ltd-ი. გარკვეული კერძო დაფინანსება ხელმისაწვდომია უნგრულ სოციალურ საწარმოთათვის. ისეთი საერთაშორისო ბანკები, როგორებიცაა Citibank, Raiffeisen-ი და Erste, კერძო სააქციო საზოგადოებები Hungarian Private Equity-ი, Venture Capital Association-ი და EEA/Norway NGO Fund-ი მხარს უჭერენ სოციალური ეკონომიკის მცირერიცხოვან პროექტებს.

ექსპერტების მიხედვით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და სხვა სოციალური ინოვაციების მექანიზმები უნგრეთში ძირითადად თვითრეგულირებად ხასიათს ატარებენ, რაც უმეტესად უკავშირდება კორპორაციის იმიჯს. შესაბამისად, ექსპერტების მოსაზრებით, კორპორაციული გაცემის ტემპის ზრდა დაკავშირებულია მომხმარებლის შეგნების დონის ამაღლებაზე, რაც უდავოდ იქონიებს დადებით გავლენას კომპანიების პასუხისმგებლობიან პრაქტიკაზე.

### ინდივიდუალური გაცემა და კონტრიბუციები

2007-15 წლების მონაცემით, უნგრეთის გადასახადის გადამხდელთა დაახლოებით 35% იყენებს საპროცენტო მექანიზმს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მექანიზმის შედეგად მიღებული შემოსავალი საზოგადოებრივი სექტორის სრული შემოსავლის ერთ პროცენტზე ნაკლებია, სექტორის დაახლოებით 39% სარგებლობს ამ გზით მიღებული შემოსავლით.

2007-2010 წ.წ. საზოგადოებრივი სექტორის მიერ ინდივიდუალური დონაციების შედეგად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა წელიწადში საშუალოდ 20,2 მილიარდი ფორინტი (72.4 მილიონი ევრო), რითიც ისარგებლა არასამთავრობო ორგანიზაციების 13%-ზე მეტმა და რაც 6-7-ჯერ აღემატება იმავე წლებში 1%-იანი მექანიზმის შედეგად

მიღებულ შემოსავალს. ამასთან, ბოლო წლებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ე.წ. ქრაუდსორსინგი Adhat.hu საიტის მეშვეობით. 2016 წელს საიტის საშუალებით, ერთ-ერთი კამპანიის ფარგლებში, რომელიც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო პოლიტიკას დევნილებთან მიმართებით 100,000 აშშ დოლარზე მეტი შეგროვდა.

## პოლონეთი

### საზოგადოებრივი სექტორი

2016 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, პოლონეთში დარეგისტრირებულია 20,000 ფონდი და 106,000 ასოციაცია (ეს მონაცემი არ მოიცავს დაახლოებით 16,000 მოხალისეთა სახანძრო ბრიგადებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, სოფლებში ფუნქციონირებენ (Central Statistical Office of Poland, Local Data Bank (BDL) 2017). რეგისტრირებული ორგანიზაციების ¼ არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, დღესდღეობით პოლონეთში მოქმედებს დაახლოებით 90,000 საზოგადოებრივი ორგანიზაცია (USAID 2017, EU-Russia CSF 2016).

Klon/Jawor Association-ის კვლევის მიხედვით (Adamiak et al. 2016 ციტ. EU-Russia CSF 2016, USAID 2017), სამოქალაქო ორგანიზაციების 45%-ს არ ჰყავს ანაზღაურებადი თანამშრომლები და მთლიანად არის დამოკიდებული მოხალისეებზე. 1 ან 2 მუდმივი თანამშრომელი (რომელიც მუშაობს მინიმუმ კვირაში ერთხელ) ჰყავს ასოციაციებისა და ფონდების დაახლოებით 35%-ს. ორგანიზაციების 20%-ს აქვს მუდმივი ანაზღაურებადი შტატი, თუმცა ამ ორგანიზაციებში მინიმუმ ერთი თანამშრომელი აყვანილია კონტრაქტის საფუძველზე. ორგანიზაციების საერთო რაოდენობის 20% (რომელსაც არ ჰყავს არც ერთი მუდმივი თანამშრომელი) წელიწადში რამდენჯერმე ქირაობს თანამშრომლებს. მოხალისეთა გამოყენების პრაქტიკა სტაბილურად იზრდება: 2015 წელს სამოქალაქო ორგანიზაციების 61%-მა ისარგებლა ამ საშუალებით. ბოლო წლებში ზრდასრულ რესპონდენტებს შორის დაახლოებით 20% ამბობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში „ჩაერთო მოხალისეობრივ ან არაანაზღაურებად საქმიანობაში ადგილობრივი თემის, სამეზობლოს, სოფლის, ქალაქის ან ხალხის სასარგებლოდ“ (Boguszewski 2016, ციტ. EU-Russia CSF 2016). იმავე კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 19-20% ამბობს, რომ ჩართულნი არიან „სოციალური ორგანიზაციის ან არაფორმალური ჯგუფის არა-ანაზღაურებად საქმიანობაში“.

### საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსი

პოლონეთის საზოგადოებრივი სექტორის საქმიანობა ძირითადად რეგულირდება 1997 წელს მიღებული კონსტიტუციით. მიუხედავად ამისა, ე.წ. თანხმლები კანონმდებლობა, როგორიცაა, მაგალითად, „კანონი საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობასა და მოხალისეობაზე“, „კანონი ფონდების შესახებ“, „კანონი ასოციაციების შესახებ“ და სხვ. მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ სექტორის საქმიანობაზე.

„კანონი ასოციაციების შესახებ“ განასხვავებს ასოციაციების ორ ტიპს: რეგულარულ და რეგისტრირებულ ასოციაციებს. რეგულარული ასოციაცია წარმოადგენს მინიმუმ 3 ადამიანის მიერ დაფუძნებულ მცირე ერთეულს. დამფუძნებლებმა უნდა ჩამოაყალიბონ ასოციაციის საქმიანობის წესები და მოითხოვონ ახალი ორგანიზაციის აღრიცხვა ასოციაციების რეესტრში. 2016 წლიდან რეგულარულ ასოციაციებს ნება დაერთოთ დააფინანსონ საკუთარი საქმიანობა არა მარტო საწევრო გადასახადებით, არამედ გრანტების (მათ შორის საჯარო ინსტიტუციებიდან) საშუალებით. ამ ტიპის ორგანიზაციებს არ აქვთ უფლება ჰქონდეთ ეკონომიკური აქტივობა.

რეგისტრირებულ ასოციაციებს ევალებათ მინიმუმ 7 ადამიანის წევრობა და დარეგისტრირება სპეციალურ სასამართლოში. ამ ტიპის ორგანიზაციები მეტად ფორმალიზებული არიან და ჰყავთ ოფიციალური მმართველი ერთეული, აქვთ პროფესიული საბუღალტრო სისტემა, სამართლებრივი იდენტობა და, სახელმწიფო და კერძო საგრანტო პროგრამებში მონაწილეობასთან ერთად, აქვთ უფლება ჰქონდეთ ეკონომიკური აქტივობა.

კანონი ფონდების შესახებ მიღებული იქნა 1984 წელს და არეგულირებს ფონდების საქმიანობას, რაც დაკავშირებულია განსაზღვრული რაოდენობის ფულის მოზიდვასთან სოციალურად ან ეკონომიკურად სასარგებლო მიზნებისთვის. რეგისტრირებული ასოციაციების მსგავსად, ფონდები ასევე მოღვაწეობენ ფორმალიზებული ფორმით. ფონდებს აქვთ, როგორც გრანტის გაცემის, ისე ოპერაციული საქმიანობის უფლება, თუმცა პოლონეთის ფონდების უმეტესობა ოპერაციული ხასიათისაა, რაც მათ ხდის ასოციაციების კონკურენტებად.არამომგებიანი საქმიანობის უფლება აქვთ ასევე კომპანიებს (შპს და სააქციო საზოგადოება), თუკი ამგვარი საქმიანობა განსაზღვრულია მათი წესდებით. კანონის შესაბამისად, კომპანიებისგან განსხვავებით, პარტნიორული კომპანიები ვერ იქნება აღიარებული არამომგებიან ორგანიზაციად.

ყველა ზემოხსენებულ არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია პარალელურად მოიპოვოს PBO სტატუსი და ისარგებლოს გარკვეული საგადასახადო შეღავათით. გამომდინარე იქიდან, რომ PBO სტატუსი ერთადერთი სამართლებრივი ფორმაა, რაც აღიარებულია საგადასახადო სისტემის მიერ და დაკავშირებულია ქველმოქმედებასთან, მისი არსებობა ორგანიზაციებს აქცევს ადგილობრივი ან ცენტრალური ადმინისტრაციის ზედამხედველობის ქვეშ. PBO ორგანიზაცია ვალდებულია სრული მოგება მიმართოს საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობაზე. ამასთან, ნებისმიერი საქმიანობა (უსასყიდლოს ჩათვლით) ვერ იქნება კვალიფიცირებული, როგორც საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობა, თუკი მისი შემსრულებელი თანამშრომლის ანაზღაურება სამჯერ აღემატება ბიზნესსექტორში მომუშავე ადამიანის საშუალო ხელფასს (ცენტრალური სტატისტიკური ოფისის წინა კალენდარული წლის ინფორმაციაზე დაყრდნობით) (El-Sadani 2017).

2017 მარტის მდგომარეობით, დაახლოებით 8,700 პოლონური საზოგადოებრივი ორგანიზაცია ატარებს PBO სტატუსს (Ministry of Family, Labor, and Social Policy n/d).

### ფინანსური მდგომარეობა

2016 წლის მონაცემით, პოლონეთის საზოგადოებრივი სექტორის დაფინანსების წყაროები ფართო სპექტრისაა. კერძოდ, ორგანიზაციების 60% სარგებლობს საწევრო გადასახადით, 55%- ადგილობრივი ადმინისტრაციის ფონდებით, 45% – კერძო დონაციებით, 35%- ინსტიტუციური და ბიზნესდონაციებით, 23%- 1%-ანი საგადასახადო მექანიზმით, 18%- ცენტრალური მთავრობის სახსრებით და 18%- ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დახმარებითა და სხვა საშუალებებით (Klon/Jawor Association 2016). ამასთან, სექტორის სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ საერთო შემოსავალში ყველაზე დიდი წილი მოდის ევროკავშირის დახმარებასა და სახელმწიფო დაფინანსებაზე (იხ. სურათი 2)




**(სურათი 2) პოლონეთის არასამთავრობო ორგანიზაციების შემოსავლის განაწილება 2016 (წყარო Klon/Jawor Association 2016)**

### ეკონომიკური საქმიანობა

პოლონეთის საგადასახადო კოდექსის მიხედვით, PBO სტატუსის მატარებელი ორგანიზაციები განთავისუფლებული არიან კორპორაციული (მოგების) გადასახადისგან, (ასევე, ქონების გადასახადისგან, საგერბო მოსაკრებლისგან, სამოქალაქო დავების ბაჟისა და სასამართლო მოსაკრებლისგან), თუკი შემოსავალი პირდაპირ უკავშირდება წესდებით განსაზღვრულ მიზნებს.

ასოციაციები და ფონდები, რომლებიც არ /ან ვერ მოიპოვებენ PBO სტატუსს, ასევე განთავისუფლებულნი არიან კორპორაციული გადასახადისგან, თუკი წესდებით გათვალისწინებული მათი საქმიანობა ფარავს კონკრეტულ დარგებს, როგორებიცაა: მეცნიერება, განათლება, კულტურა, სპორტი, გარემოს დაცვა, სოფლად ტექნიკური ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა, ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება, ქველმოქმედება, რელიგია.

თუკი არამომგებიანი ორგანიზაცია არ კვალიფიცირდება როგორც ასოციაცია, ფონდი, PBO ან არ მოღვაწეობს რომელიმე ზემოხსენებულ დარგში, იგი ვალდებულია გადაიხადოს კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი, მათ შორის, გრანტების საშულებით მიღებულ შემოსავალზე. შესაბამისად, გრანტების დაბეგვრა-არდაბეგვრის საკითხი განპირობებულია იმით, თუ რაზე იხარჯება. ის განთავისუფლებულია მოგების გადასახადისგან ფონდების მიერ განხორციელებული ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში, აქციებში ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში, თუკი ინვესტირება ხორციელდება პროფესიონალი საინვესტიციო კომპანიის მიერ და მიღებული მოგება გამოიყენება საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობისათვის.

როგორც ასოციაციებს, ასევე ფონდებსა და PBO ორგანიზაციებს აქვს უფლება ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში, თუკი ამგვარი საქმიანობა გათვალისწინებულია მათი წესდებით, მაგრამ თუ ეს არაა განსაზღვრული წესდებით, გარემოს დასაცავად შექმნილი ფონდი ვერ გაყიდის ამ თემაზე წიგნებს ვერ დააწესებს ამ საკითხზე გამართული სემინარის საფასურს, ან თუნდაც, ვერ გააფორმებს ხელშეკრულებას ხელისუფლებასთან გარემოს დასუფთავებაზე. ორივე შემთხვევაში, ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე, ორგანიზაცია უნდა დარეგისტრირდეს ბიზნესრეესტრში. თეორიულად, ასოციაციის დაფუძნების პირველადი მიზანი შესაძლებელია იყოს ეკონომიკური საქმიანობა, თუმცა გადამეტებული ეკონომიკური საქმიანობა შეუძლებელს გახდის PBO სტატუსის მიღებას (Majdańska 2011, El-Sadani 2017). ეკონომიკური საქმიანობისგან მიღებული მოგება უნდა იქნას გამოყენებული ორგანიზაციის მიზნებისთვის.

პოლონეთის კანონმდებლობა განსაზღვრავს „ანაზღაურებად საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობას“ (payable public benefit activities), რაც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად როგორც ფონდის, ასევე ასოციაციის შემთხვევაში (მიუხედავად PBO სტატუსისა), თუკი ამგვარი საქმიანობა გათვალისწინებულია ორგანიზაციის წესდებით. გარკვეული საფასურის ნაცვლად გაწეული საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, ისეთი საქონლის ან მომსახურების გაყიდვას, რაც წარმოებულია ან უზრუნველყოფილია თავად უშუალო ბენეფიციარების მიერ (მაგ. შშმ პირის მიერ დამზადებული საქონელი) ან ხალხის სასარგებლოდ საქველმოქმედოდ გადმოცემული საქონლის გაყიდვა. ანაზღაურებადი საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობის შედეგად

მიღებული შემოსავალი ექსკლუზიურად უნდა იქნას გამოყენებული საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

ანაზღაურებადი საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობა კლასიფიცირებულია ეკონომიკურ საქმიანობად, თუკი: ა) საქმიანობისთვის დაწესებული გადასახადი აღემატება ამ საქმიანობის უზრუნველყოფის ღირებულებას, ან ბ) ანაზღაურებადი საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობისთვის დაქირავებული ადამიანის საშუალო თვიური ანაზღაურება სამჯერ აღემატება ინდუსტრიულ სექტორში მომუშავე ადამიანის საშუალო თვიურ საზღაურს (ცენტრალური სტატისტიკური ოფისის წინა კალენდარული წლის ინფორმაციაზე დაყრდნობით) (El-Sadani 2017).

ანაზღაურებადი საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობა ექვემდებარება დღგ-ს. ზოგადად, დღგ-სგან განთავისუფლება არ ვრცელდება რომელიმე სპეციფიკურ ფიზიკურ პირზე ან ორგანიზაციაზე. მიუხედავად ამისა, გარკვეული საქონელი ან მომსახურება (მაგ. კვლევისა და განვითარების მომსახურება, მომსახურება განათლების, ჯანდაცვის ან სოცუზრუნველყოფის დარგში, წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციების მიერ გაწეულ მომსახურება) განთავისუფლებულია დღგ-სგან.

Klon/Jawor Association-ის 2016 წლის მონაცემით, ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულია პოლონეთის საზოგადოებრივი სექტორის დაახლოებით 11% (ყიდიან პროდუქტს ან მომსახურებას). ამასთან, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნახევარზე მეტი ეწევა ფასიან მომსახურებას, რის შედეგად მიღებული შემოსავალი ხმარდება წესდების მიერ გათვალისწინებულ საქმიანობას (Klon / Jawor Association n/d, www.ngo.pl n/d) ამგვარი ორგანიზაციების რიცხვი 2012 წლიდან 10%-ით გაიზარდა (USAID 2017).

2008 წელს სოციალური საწარმოები შეადგენდნენ პოლონეთის დასაქმების ბაზრის 5,9%-ს[10] (www.ekonomiaspoleczna.pl 2012). სექტორი მოიცავს ინსტიტუციების ფართო სპექტრს, რომელთა ნაწილი წარმოიშვა ტრადიციული არასამთავრობო სექტორისგან, ხოლო ნაწილი მეტადაა ასოცირებული კერძო სექტორთან. დღესდღეობით პოლონეთში ფუნქციონირებს დაახლოებით 16,000 სხვადასხვა მიმართულების კოოპერატივი (დასახლების, სამედიცნო მომსახურების, მომხმარებლის და სხვა). ფუნქციონირებს ასევე 60-ზე მეტი სოციალური ინტეგრაციის ცენტრი (CIS), რომლებიც ასაქმებენ ადამიანებს სოციალურად მარგინალიზებული ჯგუფებიდან (განსაკუთრებით ხანგრძლივად დაუსაქმებელ და უსახლკარო ადამიანებს, ასევე ყოფილ პატიმრებს). პროფესიული სწავლების დაახლოებით 60 ცენტრში (ZAZ) დასაქმებული არიან ფიზიკური და სულიერი შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები.

### გაცემაზე ზემოქმედი ფაქტორები

პოლონეთის კანონმდებლობა არ განსაზღვრავს შემოწირულობას, თუმცა საგადასახადო კოდექსი ანიჭებს გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს, როგორც ინდივიდუალურ, ისე კორპორაციულ დონორებს. ორივე შემთხვევაში საგადასახადო ბაზის შემცირება შესაძლებელია, თუკი მიმღები ორგანიზაცია აწარმოებს (კანონის

10 საფრანგეთში 8,3%-ს, ნიდერლანდებში 9,5%-ს, ირლანდიაში 9%-ს(www.ekonomiaspoleczna.pl 2012)

მიერ განსაზღვრულ) საზოგადოებისთვის სარგებლიან საქმიანობას, მიუხედავად იმისა, ფლობს თუ არა იგი PBO სტატუსს[11]. ფიზიკური პირისთვის საგადასახადო ბაზა მცირდება 6%-ით, ხოლო კორპორაციისთვის – 10%-ით. დონაციის მიმღები ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ეს ინფორმაცია საჯარო გახადონ, დონორის ვინაობის ჩათვლით, თუკი თითო დონაცია აღემატება 15,000 პოლონურ ზლოტს (დაახლოებით 3500 ევრო), ან თუკი წლის განმავლობაში დაგროვილმა დონაციამ გადააჭარბა 35,000 ზლოტს (დაახლოებით 8,000 ევრო). ამასთან, მეწარმეებს აქვთ შესაძლებლობა საგადასახადო შემცირების კლასიფიკაცია გაუკეთონ იმ ხარჯებს, რომლებიც გამომდინარეობს საზოგადოებრივი სარგებლიანობის ორგანიზაციისთვის გადაცემული საკვები პროდუქტის წარმოებისგან ან შესყიდვისგან (მიმღები ორგანიზაციის საქველმოქმედო მიზნებისთვის).

გრანტი, ჩვეულებრივ, განთავისუფლებულია დღგ-სგან, რადგან გაცემულია არამომგებიანი ორგანიზაციის მისიის აღსასრულებლად. ამასთან, თუკი დღგ-ს გადამხდელი ორგანიზაცია ახორციელებს არაფულად დონაციას, დონაცია ექვემდებარება დამატებითი ღირებულების გადასახადს (გამონაკლისია გარკვეული საკვები და პროდუქტი, მათ შორის ის, რაც უზრუნველყოფილია მწარმოებლის მიერ).

2003 წლიდან პოლონეთში მოქმედებს საპროცენტო მექანიზმი. შესაბამისად, პოლონელ გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირს აქვს შესაძლებლობა ფისკალური წლის შემოსავლის 1% მიმართოს რომელიმე ერთი კონკრეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციის სასარგებლოდ.

## გაცემის პრაქტიკა და სოციალური ინოვაციები

### საერთაშორისო დონორები

პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, პოლონეთის საზოგადოებრივი სექტორის განვითარებას მხარს უჭერდნენ საერთაშორისო დონორები. უნდა აღინიშნოს, რომ თუკი 1990-იან წლებში ეს დახმარება ძირითადად აშშ-დან მოდიოდა, ევროკავშირის წევრობასთან მიახლოებასთან ერთად შეერთებული შტატების დახმარება მკვეთრად შემცირდა. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლებს ხელმისაწვდომი გაუხდათ ევროკავშირის სტრუქტურული ფონდებისა და განვითარების პროგრამები (EEA/Norway Grants-ის ჩათვლით) შრომითი ბაზრის, ადამიანური რესურსების, მეცნიერების, კულტურის და სხვა დარგების განსავითარებლად (Gasior-Niemiec & Glinski 2006).

### კორპორაციული გაცემა და კონტრიბუციები

პოლონეთში ოპერირებს 100-ზე მეტი კერძო ფონდი, რომელთა უმრავლესობა დაფუძნებულია დიდი კორპორაციების მიერ. უმეტესობა ფონდებისა ფოკუსირდე-

11 საგადასახადო შემცირება არ ვრცელდება იმ დონაციებზე, რომლებიც გაცემულია ფიზიკურ პირზე. ასევე გამონაკლისებშია ალკოჰოლის, საწვავის, თამბაქოს, ელექტრონული საქონლისა და ძვირფასი მეტალების მწარმოებელი ან გამყიდველი.

ბა ადამიანთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაზე, ასევე ჯანდაცვასა და განათლებაზე. ამ ფონდების 75% გასცემს გრანტებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სხვა ინსტიტუციებზე (USAID 2017).

პოლონეთში ფუნქციონირებს 26 სათემო ფონდი (ფონდის ან ასოციაციის სტატუსით), რომლებიც ძირითადად სოფლებში ფუნქციონირებენ და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არიან. პირველი სათემო ფონდი – „პოლონეთის ფილანტროპიის განვითარების აკადემია“ (The Academy for the Development of Philanthropy in Poland). დაფუძნდა 1998 წელს, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორს, ადგილობრივ ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის (www.ffl.org.pl 2011). მოგვიანებით, ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების ნაწილი გამოიყო სექტორთაშორისი თანამშრომლობისთვის და წაახალისა სათემო ფონდების განვითარება (www.ekonomiaspoleczna.pl). დღესდღეობით „აკადემია“ თავად აძლევს ბიძგს სხვა სათემო ფონდების დაფუძნებას – ახალგაზრდების, ხანდაზმულების, შშმ პირების, ადგილობრივი თემებისა და სხვათა დასახმარებლად. ორგანიზაციების შემოსავლები გროვდება, როგორც ფიზიკური პირებისგან (საქველმოქმედო აქციები, 1%-ანი მექანიზმი, მემორიალური ფონდები), ისე ადგილობრივი და ეროვნული კომპანიებისგან (დონაციები, მემორიალური ფონდები, კორპორაციული საგრანტო პროგრამები), ადგილობრივი ხელისუფლებისგან (ღია საგრანტო პროგრამები სათემო ფონდებისთვის), სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან (მაგ., აკადემიისა და Stefan Batory Foundation- ის საგრანტო და სასტიპენდიო პროგრამები), სამთავრობო პროგრამებიდან და ევროკავშირის ფონდებიდან. ზოგიერთი სათემო ფონდის შემოწირულობა თითქმის 1 მილიონი ზლოტია (დაახლ. 238,000 ევრო). სათემო ფონდების საერთო შემოწირულობა შეადგენს 6 მილიონ ზლოტს (დაახლ.1 425,000 ევრო). ამ ორგანიზაციების მიერ გაცემული სტიპენდიებისა და გრანტების ოდენობა ყოველწლიურად აღემატება 1.5 მილიონ ზლოტს (დაახლ. 500000 ევრო).

Klon/Jawor Association-ის კვლევის მონაცემებით (USAID 2017), საზოგადოებრივ სექტორსა და ბიზნესს შორის ინტერაქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა 2013-2015 წლებში. საზოგადოებრივი ორგანიზაციების 45% ამბობს, რომ აქვთ რეგულარული კონტაქტი ბიზნესებთან. იზრდება ასევე სექტორთაშორისი თანამშრომლობის მაგალითები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ფარგლებში. პოლონეთის ეკონომიკის სამინისტროს მიხედვით (National Reform Program 2017), CSR-ის დინამიკური განვითარება პოლონეთში უკავშირდება უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან შედინებას. ამასთან, 2009 წელს ვარშავის საფონდო ბირჟამ დააწესა პოლონეთში პირველი სოციალურად პასუხისმგებლიანი კომპანიების ინდექსი ადგილობრივი ბიზნესებისთვის[12].

ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა ევროპის ვენჩურული კაპიტალის ასოციაცია, პოლონური ორგანიზაცია Valores-ი და სხვები, ხელს უწყობენ ვენჩურული ფილანტროპიის განვითარებას. სხვებთან ერთად პოლონეთში ვენჩურული ფილანტროპიის წარმატებული მაგალითია – საზოგადოებრივი ორგანიზაცია Siedlisko, რო-

12 ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, საკითხის პოპულარიზაციის მიზნით, პრემიერ მინისტრის ოფისში შექმნილია CSR-ის საკითხთა ჯგუფი.

მელიც მართავს მოხუცთა თავშესაფარს ხანდაზმულთა და ქრონიკულად დაავადებულ ადამიანთა სადღეღამისო მოვლის უზრუნველსაყოფად. ვენჩურული კაპიტალის დახმარებით, ორგანიზაციამ აამუშავა კვების ბიზნესი (catering) და სამრეცხაო, რაშიც (ტრენინგის შემდგომ) ასაქმებს მაღალი რისკის ჯგუფის ახალგაზრდებს, ხანგრძლივად დაუსაქმებელ ადამიანებს და ემსახურება ადგილობრივ კომპანიებს.

### ინდივიდუალური გაცემა და კონტრიბუციები

2015 წლის World Giving Index-ის მონაცემით, პოლონეთში გამოკითხულთა 29% ამბობს, რომ განახორციელა საქველმოქმედო დონაცია. ეს მონაცემი 2014 წელთან შედარებით 8%-ით გაიზარდა (USAID 2017). ამასთან, 2014 წელს 12.5 მილიონმა ფიზიკურმა პირმა, საპროცენტო მექანიზმის საშუალებით, 557 მილიონი ზლოტი (დაახლოებით 129.5 მილიონი ევრო) მიმართა 8 001 ორგანიზაციის სასარგებლოდ. ეს თანხა 50 მილიონი ზლოტით აღემატება წინა ფისკალურ წელს გამოყოფილ თანხას (USAID 2017, USAID 2015).

ასოციაციების უმეტესობა (60%) აგროვებს საწევრო გადასახადს, თუმცა ეს გადასახადი მწირია და დიდ ზეგავლენას ვერ ახდენს ორგანიზაციის შემოსავალზე. 2014 წლის მონაცემით, საწევრო გადასახადებმა შეადგინა სექტორის შემოსავლის 3%.

ექსპერტები აღნიშნავენ პოლონეთში ქრაუდსორსინგის ძირითადად ინტერნეტ პლატფორმების საშუალებით პოპულარიზაციის ზრდას. მაგალითად, 2016 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ Helsinki Foundation for Human Rights-მა ამ ფორმით შეაგროვა ე.წ. „ვისელბლოვერების“ დასაცავი სახელმძღვანელოს გამოსაცემი ხარჯები. ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციები მეტად მიმართავენ ფანდრაიზინგს საკუთარი ხარჯების დასაფარად. Klon/Jawor Association-ის მიხედვით (Adamiak et al. 2016, ციტ. USAID 2017), ამას აკეთებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების 11% (ეს მონაცემი სამი წლის განმავლობაში 3%-ით გაიზარდა). ფანდრაიზინგის შედეგად მიღებული დონაციების შემოსავალი შეადგენს სექტორის საერთო შემოსავლის დაახლოებით 4%-ს (Adamiak et al. 2016, ციტ. USAID 2017). მაგალითად, ორგანიზაცია Citizens Network Watchdog Poland-მა თავისი საქმიანობისთვის 2015 წელს შეაგროვა 13,625 ევრო, ხოლო 2016 წელს – 57, 500 ევრო. ამასთან, 2015 წლიდან 2016 წლამდე გაიზარდა ორგანიზაციის როგორც რეგულარულ დონორთა რიცხვი (14-დან 100-მდე), ისე 1% მექანიზმის შედეგად მიღებული შემოსავალი (5,750 ევროდან 37,500 ევრომდე) (Siec Obywatelska Watchdog n/d).

## სლოვაკეთი

### საზოგადოებრივი სექტორი

სლოვაკეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის მონაცემით, სლოვაკეთში რეგისტრირებულია 48,079 საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ეს მონაცემი წინა წელთან შედარებით თითქმის 3000-ით მეტია. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის 45,310 სამოქალაქო ასოციაციაა, 465 – ფონდი, 536 – არასაინვესტიციო

ფონდი, 1,647 საზოგადოებრივი სარგებლიანობის მომსახურების არამომგებიანი ორგანიზაცია და 121 – საერთაშორისო კომპონენტის მქონე ორგანიზაცია.

ორგანიზაციათა თანამშრომლების მხოლოდ მცირე რაოდენობა მუშაობს სრულ განაკვეთზე ან კონტრაქტის საფუძველზე. სექტორში მომუშავე მრავალი ადამიანი ჩართულია ორგანიზაციის საქმიანობაში, როგორც სავაჭრო რეესტრში დარეგისტრირებული პირი, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი არიან კონსულტანტები (მიუხედავად ორგანიზაციაში მათი დაკავებული თანამდებობისა და სამუშაო აღწერილობისა, რაც შეიძლება ასევე მოიცავდეს მმართველ ფუნქციებს). ორგანიზაციები მცირე ანაზღაურების ნაცვლად ქირაობენ ბუღალტერებს, IT ადმინისტრატორებს და გრაფიკულ დიზაინერებს, თუმცა, ამგვარი საქმიანობა მეტწილად უსასყიდლოა. 2016 World Giving Index-ის მიხედვით, სლოვაკეთის რესპონდენტთა 11% ამბობს, რომ უმუშავია მოხალისედ (USAID 2017).

### საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსი

ასოციაციების შესახებ კანონის მიხედვით, ასოციაცია ( “združenie”) წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია მოქალაქეების მიერ საერთო მიზნების მისაღწევად. ასოციაცია ფუძნდება სამი წევრის მიერ, გაწევრიანებულები შეიძლება იყვნენ ასევე იურიდიული პირებიც. კანონი საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობასთან ერთად, კანონში უშვებს ასევე ასოციაციის წევრთათვის სასარგებლო საქმიანობას, თუმცა კრძალავს მთავრობის ან საჯარო ადმინისტრირების ფუნქციების თავზე აღებას[13].

სლოვაკეთში ფონდი (“nadácia”) წარმოადგენს ქონებაზე დაფუძნებულ ორგანიზაციას ერთი ან ერთზე მეტი საზოგადოების სასარგებლო მიზნის მისაღწევად. ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული ფონდი უნდა ფლობდეს შემოწირულობის სახით მიღებულ მინიმუმ 6,638 ევროს და დამფუძნებლებმა უნდა გააკეთონ შემოწირულობის სახით კონტრიბუცია მინიმუმ 663 ევროს ოდენობით. შემოწირულობის ან კონტრიბუციის აუცილებელი მინიმუმი უნდა იყოს ფულადი ან კერძო საკუთრების სახით. თუკი შემოწირულობის წილი აღემატება 6,638 ევროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი სხვა ფორმით, რასაც შესაძლებელია მიესადაგოს მონეტარული ღირებულება. ფონდის დაფუძნებისთვის გამოყენებული ქონების დონაცია, ბიზნესკომპანიისთვის გადაცემა, საბანკო გარანტიად ან სხვა პირის ქონების უზრუნველსაყოფად გამოყენება, აკრძალულია. ფონდს აქვს უფლება დააფუძნოს სატრასტო ფონდი (“nadačný fond-ი”), რაც გარკვეული ვადით იქნება გამიზნული (შეგროვებული ან შემოწირულობების შედეგად მიღებული მონეტარული რესურსებით) კონკრეტული ბენეფიციარების სარგებელისთვის.

არასაინვესტიციო ფონდი (“neinvestičný fond-ი”) თავს უყრის ქონებას საზოგადოებისთვის სასარგებლო მიზნებისთვის ან ჰუმანიტარული დახმარებისთვის. ამ ტიპის ფონდის წესდება უნდა განსაზღვრავდეს იმ ადამიანთა ტიპს (გეოგრაფიულ არეალს), რომელებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ დახმარება. ფონდის დაფუძ-

13 სლოვაკეთის კანონმდებლობის მიხედვით, ასოციაციების შესახებ კანონი არ ეხება პოლიტიკურ პარტიებს ან მოძრაობებს, ეკლესიასა და რელიგიურ ორგანიზაციებს, კომერციულ ასოციაციებს ან მოგებაზე ორიენტირებულ კომპანიებს, ასევე პროფესიულ კავშირებს.

ნებისთვის აუცილებელია 66 ევროს კონტრიბუცია. დაფუძნების უფლება აქვს ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

სლოვაკეთის კანონმდებლობის შესაბამისად, არამომგებიანი ორგანიზაცია (NPO) (საზოგადოებრივი სარგებლიანობისთვის) ("nezisková organizácia") წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციის სპეციალურ ფორმას, რომელიც შეიძლება იყოს დაფუძნებული ფიზიკური ან იურიდიული პირის, ან სამთავრობო სააგენტოს მიერ საზოგადოებისთვის სასარგებლო მომსახურების გასაწევად. NPO-ს არ აქვს უფლება გამოიყენოს მოგება დამფუძნებლების, წევრების, თანამშრომლების ან მმართველო ორგანოს სასარგებლოდ. ამ ტიპის ორგანიზაციას არ ჰყავს წევრები.

კანონმდებლობა ასოციაციებისგან არ მოითხოვს რაიმე ფორმით ჩაერთოს საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში. ფონდების, არასაინვესტიციო ფონდებისა და არამომგებიანი ორგანიზაციების დაფუძნება თავისთავად გულისხმობს საზოგადოებრივ სარგებელზე ორიენტირებას.

როგორც წესი, არასამთავრობო ორგანიზაცია არ შეიძლება იყოს დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, თუმცა მათ ამის უფლება წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მხარდასაჭერად (გარკვეული შეზღუდვებით, რასაც განაპირობებს სამართლებრივი ფორმა).

ფონდები, არასაინვესტიციო ფონდები და არამომგებიანი ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო მომსახურებას, ვალდებულნი არიან წარუდგინონ მთავრობას წლიური ანგარიში. ამასთან, საჯარო სტრუქტურებს აქვთ უფლება გააკეთონ საზოგადოებრივი ორგანიზაციის აუდიტი, რათა შეამოწმონ ფონდებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებით მიღებული 2%-იანი მექანიზმის  შედეგები.

### ფინანსური მდგომარეობა

ორგანიზაციების, Institute for Public Affairs-ის, Center for Philanthropy-ისა და Partners for Democratic Change Slovakia (PDCS)-ს 2016 ჩატარებული კვლევის – „სლოვაკეთის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების არსებული მდგომარეობა, ტენდენციები, საჭიროებები და შესაძლებლობები"-მიხედვით, სლოვაკეთის საზოგადოებრივი სექტორი მეტ-ნაკლებად თანაბრად ფინანსდება საჯარო და კერძო რესურსებიდან, სექტორის საკუთარი ეკონომიკური საქმიანობისა და საწევრო გადასახადის ჩათვლით (იხ. სურათი 3). 1996 წლიდან საკუთარი შემოსავალი წარმოადგენს სლოვაკეთის სამოქალაქო სექტორის მნიშვნელოვან ნაწილს (Woleková et al. 2000, ციტ. Vandor et al 2016), მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის შემოსავლის წილი საერთო შემოსავალში მცირდება, მისი აბსოლუტური რაოდენობა პრაქტიკულად უცვლელია. სექტორის კომერციონალიზაცია არაა დიდი მასშტაბის (Svidroňová et al 2016). საჯარო დაფინანსება იზრდება, რამაც, მაგალითად, 2012 წელს შეადგინა 226 მილიონი ევრო. საპროცენტო მექანიზმს იყენებს გადასახადის 1 მილიონზე მეტი გადამხდელი, რამაც, მაგალითად, 2012 წელს შეადგინა 46,7 მილიონი ევრო. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დონაციებსა და კერძო კონტრიბუციებს. 2013 წლის მონაცემით, მათი მეშვეობით, საზოგადოებრივი სექტორის შემოსავალმა შეადგინა 201 მილიონი ევრო (95 მილიონი ფიზიკური პირებისგან, 63 მილიონი კორპორაციებისგან და 43 მილიონი საზღვარგარეთიდან (Statistical Office of the Slovak Republic.ციტ Vandor et al 2016).




**(სურათი 3) სლოვაკეთი: არასამთავრობო ორგანიზაციების შემოსავლის განაწილება 2013 (წყარო Statistical Office of the Slovak Republic)**

## ეკონომიკური საქმიანობა

სლოვაკეთის ასოციაციები, ფონდები, არასაინვესტიციო ფონდები, არამომგებიანი და არასამთავრობო ორგანიზაციები განთავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადისგან, წესდებით გათვალისწინებული მათი საქმიანობის გამო (El-Sadani 2017).

არასამთავრობო ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება იბეგრება (ჩვეულებრივი ბიზნესის მსგავსად) 22%-ით. ასევე, ნებისმიერი კერძო საკუთრების გადაცემა იბეგრება ქონების ღირებულების 3%-ით.

როგორც ითქვა, სექტორის მნიშვნელოვანი კომერციონალიზაცია სლოვაკეთში არ მომხდარა. კოოპერატივების რაოდენობა სტაბილურად 1,500-ზე მეტია. სოციალურ მეწარმეობას, მეტწილად, განაპირობებენ ხელისუფლების მიერ (ევროპული დაფინანსების გამოყენებით) შეთავაზებული დაფინანსების ინსტრუმენტები. 2008 წლის ოფიციალური მონაცემით, სლოვაკეთში 96 სოციალური საწარმო (ნახევარი შპს და ნახევარი სამოქალაქო ორგანიზაცია) რეგისტრირებულია დასაქმების მომსახურების კანონის ფარგლებში, ხანგრძლივად დაუსაქმებელთა დასაქმებისთვის და სხვა შრომითი ინტეგრაციის პროცესებისთვის (Vandor et al 2016). კანონი მკაცრად განსაზღვრავს ამ ტიპის საქმიანობის პირობებს (დასაქმებულთა პროცენტს, რაც კლასიფიცირებულია სამუშაოს მაძიებლებ მოწყვლად ჯგუფებად) და ასევე მოთხოვნას, რომ ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის 30% უნდა იქნას რეინვესტირებული.

## გაცემის ხელშემწყობი ფაქტორები

სლოვაკეთის კანონმდებლობის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დონაციებითა და მემკვიდრეობით მიღებული შემოსავალი არ იბეგრება. ეს ასევე მოიცავს შემოსავალს, რომელიც მომდინარეობს ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ განხორციელებული საპროცენტო მექანიზმის გამოყენებიდან, რაც სლოვაკეთის შემთხვევაში 2%-ა (იხ. ქვემოთ). ამასთან, ნებაყოფლობითი საწევრო გადასახადი, რომელსაც იხდიან ასოციაციის წევრები (არ უნდა აღემატებოდეს საგადასახადო ბაზის 5%-ს ან 66,388 ევროს, რაც უფრო ნაკლებია), განიხილება, როგორც დასაქვითი ხარჯი.

სლოვაკეთში საზოგადოებრივი სექტორის ორგანიზაციებს არ აქვთ საქველმოქმედო გაცემისთვის ან კონტრიბუციებისთვის არაპირდაპირი საგადასახადო შეღავათები, რადგან ისინი გაუქმდა საპროცენტო მექანიზმის შემოღებასთან ერთად. მიუხედავად ამისა, სლოვაკეთის „შემოსავლის დაბეგვრის შესახებ კანონი“ უზრუნველყოფს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის საგადასახადო ბაზის შემცირებას არასამთავრობო ორგანიზაციისათვის დონაციის გადაცემის შემთხვევაში. სპეციალური პროცედურის დაცვით, ფიზიკურ პირს აქვს უფლება თავისი შემოსავლის ნაწილის ასიგნება გააკეთოს ერთ ორგანიზაციაზე, ხოლო იურიდიულ პირს აქვს უფლება ასიგნება გააკეთოს არა ერთი, არამედ ორი და მეტი ორგანიზაციის სასარგებლოდ. ფიზიკური პირისთვის არასამთავრობო ორგანიზაციის ასიგნაცია შესაძლებელია შეადგენდეს გადახდილი გადასახადის 2%-მდე. ეს თანხა შეიძლება გაიზარდოს 3%-მდე, თუკი ფიზიკურ პირს შეუძლია დაამტკიცოს, რომ მინიმუმ 40 საათი ეწეოდა მოხალისეობრივ საქმიანობას წინა საგადასახადო პერიოდში. 2013 წლის მონაცემით, 3%-იანი ასიგნაცირების მექანიზმით ისარგებლა 5000 ფიზიკურმა პირმა[14]. ამასთან, იურიდიულ პირს შეუძლია დონაციაზე მიმართოს მოგების გადასახადის 1.5%-მდე. ამ თანხის 2%-მდე გაზრდა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუკი ორგანიზაცია დაამტკიცებს, რომ მან მოცემულ საგადასახადო პერიოდში გაუკეთა დონაცია არასამთავრობო ორგანიზაციებს გარკვეული ოდენობით, რაც უდრის ან აღემატება მოგების გადასახადიდან კონკრეტულ არასამთავრობო ორგანიზაციაზე მიმართული თანხის 0.5%-ს.

პოტენციური მიმღები ორგანიზაციების სია მოიცავს ასოციაციებს, ფონდებს, არასაინვესტიციო ფონდებს, არამომგებიან ორგანიზაციებს, ეკლესიებს და ეკლესიის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებს, სლოვაკეთის წითელ ჯვარს, კვლევისა და განვითარების ორგანიზაციებს და სლოვაკეთის ტრენინგისა და განათლების განვითარების ფონდს. გამოყოფილი თანხებისა და დონაციების ბენეფიციარები ვალდებულნი არიან ფული დახარჯონ შემდეგი მიზნებისთვის: ა) ჯანდაცვა (განსაკუთრებით სამედიცინო პრევენცია და ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანთა რეაბილიტაცია); ბ) ფიზიკური კულტურის განვითარება; გ) სოციალური მომსახურების უზრუნველყოფა; დ) კულტურული ღირებულებების შენარჩუნება;

14 მექანიზმი შემოღებისას (2002)საასიგნაციო პროცენტი იყო 1% და მექანიზმი ეხებოდა მხოლოდ ფიზიკურ პირებს, 2003 წელს პროცენტი 2-მდე გაიზარდა. 2004 წლიდან მექანიზმი შეეხება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს. 2016 წლის მონაცემით, ასიგნების მექანიზმით სარგებლობს, დაახლოებით, გადასახადის 1 მილიონი გადამხდელი (Blaščák 2016).

ე) განათლება; ვ) ადამიანის უფლებების დაცვა; ზ) გარემოს დაცვა; თ) კვლევისა და მეცნიერების მხარდაჭერა; ი) მოხალისეობრივი საქმიანობის ორგანიზაცია ან მისი შუამავალობა. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ უფლება მიიღონ დონაცია, უნდა აღირიცხებოდნენ ინტერნეტით ხელმისაწვდომ საჯარო სიაში და ფინანსურ ოფისს წარუდგინონ დოკუმენტები ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესახებ.

სტანდარტული დამატებითი ღირებულების გადასახადი სლოვაკეთში შეადგენს 21%-ს. არასამთავრობო ორგანიზაცია, ნებისმიერი სხვა სამართლებრივი პირის მსგავსად, ვალდებულია დარეგისტრირდეს, როგორც დღგ-ს გადამხდელი, თუკი მისი მთლიანი ბრუნვა ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში აღემატება 49,790 ევროს. იურიდიული პირები, რომლებიც ვერ აღწევენ ამ ზღვარს, სურვილის შემთხვევაში, მიმართავენ ფინანსურ ადმინისტრაციას და უერთდებიან დღგ-ს სისტემას, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა დაიბრუნონ დღგ (El-Sadani 2017). ამასთან, სპეციფიკურ საქონელზე გათვალიწინებულია 10%-ანი შემცირება. მოხალისეობრივი საქმიანობისთვის უსასყიდლოდ გაწეული მომსახურება განთავისუფლებულია დღგ-საგან. გადასახადისგან. ამასთან, გათავისუფლება ეხება აგრეთვე ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებას, საგანმანათლებლო მომსახურებას, საწევრო გადასახადის ნაცვლად გაწეულ მომსახურებას ასოციაციის წევრებისათვის, პოლიტიკური პარტიებისათვის, სავაჭრო კავშირებისათვის, პროფესიული პალატებისათვის და სხვ.

## გაცემის პრაქტიკა და სოციალური ინოვაციები

### საერთაშორისო დონორები

1990-2000 წლებში უცხოელ დონორებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ სლოვაკეთის საზოგადოებრივი სექტორის განვითარებაში. დონორები არა მარტო აფინანსებდნენ სექტორს, არამედ აკავშირებდნენ მათ ევროპის სხვა ინიციატივების განმახორციელებლებთან. ევროკავშირში გაწევრებასთან ერთად უცხოური დონორების როლი შემცირდა. კერძო ფონდების ქვეყნიდან გასვლის შემდეგ მეტი მნიშვნელობა შეიძინა ევროკავშირის სხვადასხვა ფონდმა. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის ფონდების (მათ შორის სტრუქტურული) დახმარება სლოვაკეთის საზოგადოებრივი სექტორის მიერ შეფასებულია, როგორც ზედმეტად ბიუროკრატიული და ხელმისაწვდომი მხოლოდ დიდი ორგანიზაციებისთვის (Vandor et al 2016). USAID-ს კვლევის მიხედვით (2017), საზოგადოებრივი სექტორის ხელმისაწვდომობა ევროპის სტრუქტურული ფონდებისადმი დღემდე ლიმიტირებულია სახელმწიფოს მიერ დაყენებული ადმინისტრაციული ბარიერების გამო.

ბოლო წლებში ფუნქციონირებდა EEA/Norway ფინანსური მექანიზმი, რომლის მეშვეობით 7,4 მილიონი ევრო გაიცა სლოვაკეთის სამოქალაქო სექტორზე. ეს მექანიზმი დასრულდა 2015 წელს. ახალი რაუნდის დაწყება, ბიუროკრატიული პროცედურების გათვალისწინებით, ნავარაუდევია 2017 წლის ბოლოს.

**კორპორაციული გაცემა და კონტრიბუციები**

ექსპერტების შეფასებით, სლოვაკეთში დინამიკურად მატულობს *კორპორაციული ფონდების*[15] რაოდენობა. მათი აზრით, ეს მნიშვნელოვნად განაპირობა 2002 წელს შემოღებულმა საპროცენტო მექანიზმმა, რომელმაც არა მარტო გაზარდა ფონდების რაოდენობა, არამედ საგრანტო საქმიანობაც. 1990-2001 წლებში დაფუძნებული იყო მხოლოდ 23 კორპორაციული ფონდი, ხოლო 2002-2007 წლებში ფონდების რაოდენობა 81-მდე გაიზარდა. ფონდების აბსოლუტური უმრავლესობა დამოკიდებული იყო დამფუძნებელი კორპორაციის სუბსიდირებაზე (Strečanský 2015, ცით. Vandor et al 2016).

გრანტის გამცემი ისეთი დამოუკიდებელი ფონდები, როგორებიცაა Ekopolis Foundation-ი, Pontis Foundation-ი, Children of Slovakia Foundation-ი, Carpathian Foundation-ი და სხვა, ცდილობენ შექმნან რესურსების ბაზა სხვადასხვა (ძირითადად კორპორაციული) წყაროდან. ეს ფონდები მეტად ხელმისაწვდომია მცირე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის. მაგალითად, 2016 წელს ფონდმა Tesco Foundation-მა პროგრამების, You Decide-სა და We Help-ის, ფარგლებში დააფინანსა 27 სათემო პროგრამა. ასევე ფონდმა VUB Foundation-მა გამოაცხადა სათემო გრანტების პროგრამა „80,000 ევრო თემს – იქ, სადაც ცხოვრობს“ (EUR 80,000 for the Community where It Lives) (USAID 2017). 2004-2015 წლებში კორპორაციული ასიგნაციებიდან საზოგადოებრივი სექტორის შემოსავალმა შეადგინა 300 მილიონი ევრო.

ფონდების რეესტრში 2015 წლის მონაცემით რეგისტრირებულია 429 ფონდი, საიდანაც 11 სათემო ფონდია. სათემო ფონდების ძირითად სამუშაო ძალას მოხალისეები წარმოადგენენ (75-100%). ადგილობრივ მოსახლეებთან კომუნიკაციისთვის სათემო ფონდები ძირითადად იყენებენ მარკეტინგის საშუალებებს. სათემო ფონდების დაფინანსების ძირითადი წყაროა საპროცენტო მექანიზმის შედეგად მიღებული შემოსავალი, რაც სათემო ფონდების საერთო შემოსავლის 25-95%-ს შეადგენს. სათემო ფონდების დაფინანსების წყაროებია, ასევე, მუნიციპალური ბიუჯეტი, დონაციები ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, გრანტები ფონდებიდან და სუბსიდიები ხელისუფლებისგან. ზოგიერთი სათემო ფონდის შემოსავალი მომდინარეობს საწესდებო კაპიტალიდან. ჩვეულებრივ, სლოვაკეთის სათემო ფონდების ადმინისტრაციული ხარჯები საერთო ხარჯების 10-20%-ს შეადგენს (Poliak 2015). ექსპერტების აზრით, ისეთი სათემო ფონდები, როგორებიცაა Banska Bystrica, Trenčín-ი, Nitra, Bardejov-ი, Pezinok, Liptov-ი და Sabinov-ი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თემებში, სადაც ოპერირებენ ფილანტროპიის ადგილობრივი ცენტრები და ადგილობრივი სამოქალაქო აქტივიზმის მოქნილი დამფინანსებლები (Vandor et al 2016).

სლოვაკეთის ფინანსთა სამინისტროს მონაცემით (USAID 2017), 2016 წელს, საგადასახადო ასიგნაციის სახით კომპანიებმა საზოგადოებრივ სექტორზე მიმართეს 59.4 მილიონი ევრო. ეს მონაცემი 2014 წელს შეადგენდა 52.2 მილიონ ევროს, ხოლო 2015 წელს – 56.9 მილიონ ევროს.

15 ტერმინი „კორპორატიული ფონდი“ არაა ტექნიკური-სამართლებრივი ტერმინი და არაა განსაზღვრული სლოვაკეთის კანონმდებლობით. სლოვაკეთის კორპორატიული ფონდების აბსოლუტური უმრავლესობა ფონდის დასახელებად იყენებს დამფუძნებელი კორპორაციის სახელს.

პირველი ვენჩურული ფილანტროპიის მაგალითი სლოვაკეთში გაჩნდა 2010 წელს, როცა ორგანიზაცია Pontis Foundation-მა, რამდენიმე პარტნიორთან ერთად (Pro Vida Foundation, Dell კომპანიის სლოვაკეთის ფილიალი, ფინანსური კონსულტაციის ფირმა ProRate) გადაწყვიტეს შეემცირებინათ სლოვაკეთის თავშესაფრებში ბავშვთა დიდი რაოდენობა. პარტნიორების მიერ შექმნილი ვენჩურული ფილანტროპიის ფონდი მიზნად ისახავს ბავშვების თავშესაფარში დატოვების პრევენციას და, ასევე, თავშესაფრის ბავშვებისთვის ოჯახების მოძიებას. ვენჩურული ორგანიზაცია მოქმედებს სამოქალაქო ასოციაციის Návrat-ის მეშვეობით, რომელშიც ჩადებულია ინვესტიცია, როგორც ფულადი, ასევე დასაქმებულთა დროისა და ტექნიკური დახმარების სახით (Liptakova 2010, 2015). Spectator-ის თქმით, დღევანდელ დღეს მრავალი კორპორაცია, როგორებიცაა IT კომპანიები, ბანკები, სავაჭრო ქსელები და სატელეფონო ოპერატორები, ჩართულები არიან ვენჩურულ ფილანტროპიაში განათლების, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების, შშმ პირების ხელშეწყობისა და სხვა სექტორებში (The Slovak Spectator n/d-ი).

### ინდივიდუალური გაცემა და კონტრიბუციები

ექსპერტების აზრით, კერძო გაცემის მაგალითები სლოვაკეთში მნიშვნელოვნად იზრდება. სხვადასხვა საჯარო კამპანიებისა და ახალი კერძო ინიციატივების საშუალებით შეგროვებული თანხები მატულობს (Svidroňová, Merickova, Nemec 2016). იზრდება ასევე ქრაუდსორსინგის პლატფორმების რიცხვი (მაგ. საზოგადოებრივი კეთილდღეობის პლატფორმები: Dobrakrajina.sk-ი, Dakujeme.sk-ი, Ludialudom.sk-ი და startlab.sk-ი, ან კრეატიული საქმიანობის პლატფორმა marmelada.sk). 2016 წ-ს World Giving Index-ის მიხედვით, სლოვაკეთის რესპონდენტთა 23% ამბობს, რომ 2015 წელს გააკეთეს საქველმოქმედო დონაცია.

კვლევები ადასტურებენ, რომ დიდი და პატარა კომპანიები მეტად იყენებენ მოხალისეობისა და კორპორაციული მოხალისეობის მექანიზმებს (USAID 2017). მაგალითად, ორგანიზაცია Pontis Foundation ახორციელებს სლოვაკეთსა და ცენტრალურ ევროპაში ყველაზე დიდ კორპორაციული მოხალისეობის ღონისძიებას სახელწოდებით „ჩვენი ქალაქი“ (Our City). ამ ღონისძიებების ფარგლებში მოხალისეები მონაწილეობენ მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა პროექტში საკუთარი ქალაქების გასალამაზებლად. 2016 წელს ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 10,000-ზე მეტმა მოხალისემ, რომელთაგან ნახევარი კორპორაციული მოხალისე იყო (USAID 2017).

## ესტონეთი

### საზოგადოებრივი სექტორი

2016 წლის დეკემბრის ოფოციალური მონაცემით, ესტონეთში რეგისტრირებულია 32,763 სამოქალაქო ორგანიზაცია (31,974 ასოციაცია და 789 ფონდი) (USAID 2017). ესტონეთის კანონმდებლობა, ასევე ცნობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მესამე ფორმას – სამოქალაქო სამართლის პარტნიორობას, რაც წარმოადგენს არაფორმა-

ლურ, არარეგისტრირებულ ჯგუფებს. გარკვეულ პირობებში ამ ორგანიზაციებს აქვთ უფლება მიიღონ მცირე გრანტები პატარა პროექტებისთვის. საერთო რაოდენობიდან 15,000-ზე მეტი რეგისტრირებული ორგანიზაცია აქტიურად ფუნქციონირებს და აქვეყნებს სავალდებულო წლიურ ანგარიშს (Prezi n/d). ასოციაციების 1/3 საბინაო ამხანაგობაა, ხოლო დანარჩენი 2/3-დან დაახლოებით 2,200 აღიარებულია საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლედ[16] და შეყვანილია შესაბამის სამთავრობო სიაში.

ზოგადად, ესტონეთის არამომგებიანი სექტორი ხასიათდება ორგანიზაციების მრავალრიცხოვნებით. ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელია წევრების სიმცირე და ლიმიტირებული დაფინანსება (ICNL 2008). დაახლოებით 28,000 ადამიანი (ან ესტონეთის სამუშაო ძალის 4-5% დასაქმებულია არამომგებიან სექტორში, რომელშიც საშუალო ხელფასო 414 ევროა (2013) (Hea Kodanik n/d). ამასთან, მხოლოდ ორგანიზაციათა 21%-ს ჰყავს ანაზღაურებადი თანამშრომლები (USAID 2017) და უმეტესობა დამოკიდებულია მოხალისეებზე[17]. მიუხედავად ამისა, USAID-ის არასამთავრობო ორგანიზაციის მდგრადობის ინდექსის მიხედვით, ესტონეთის არამომგებიანი სექტორი ყველაზე მდგრადია რეგიონში (2017).

ესტონეთში შექმნილია საზოგადოებრივი სარგებლის ორგანიზაციების ქოლგა-სტრუქტურა – ესტონეთის არამომგებიანი ორგანიზაციების ქსელი (Network of Estonian Nonprofit Organizations-NENO). ქვეყნის ეს ყველაზე დიდმასშტაბიანი არამომგებიანი ორგანიზაციების გამაერთიანებელი ერთეული შეიქმნა 1919 წელს, ესტონეთის 26 კერძო ფონდის სამოქალაქო ინიციატივის შედეგად[18]. ამჟამად NENO-ში 100-ზე მეტი აქტიური წევრია ყველა შესაძლო ქვესექტორიდან, ეროვნული დიდი ასოციაციებისა და მცირე სათემო ორგანიზაციების ჩათვლით. ამასთან, NENO-ს საინფორმაციო ქსელი მოიცავს 2000-ზე მეტ ორგანიზაციას. NENO-ს თაოსნობით 1998 წელს მომზადდა ესტონეთის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კონცეფცია (EKAK), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი სექტორების ურთიერთსარგებლის პრინციპებსა და მექანიზმებს. პოლიტიკის დოკუმენტი მიღებული იქნა პარლამენტის მიერ 2002 წელს. უფრო მცირე მასშტაბის ქოლგა-სტრუქტურები შექმნილია სექტორში თემატური მიმართულებების გათვალისწინებით.

### საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსი

საზოგადოებრივი სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა – „აქტი ფონდების შესახებ“ და „აქტი არამომგებიანი ასოციაციების შესახებ“ მიღებული იქნა 1996 წელს და მას შემდეგ, პრაქტიკულად, არ შეცვლილა. ორივე ტიპის ორგანიზაციების დაფუძნების წესი განისაზღვრება ამ კანონებით, თუმცა ფუნქციონირებაზე ასევე ზეგავლენას ახდენენ ისეთი კანონები, როგორებიცაა საგადასახადო კანონმდებლობა, „აქტი სავაჭრო კავშირების შესახებ“, „აქტი საბინაო ამხანაგობის შესახებ“, „აქტი ეკლესიების შესახებ“ და სხვა.

16 შინაარსობრივად იგივეა, რაც PBO სტატუსი

17 2014 წლის მონაცემით, მოხალისეობრივ საქმიანობას ეწევა ესტონეთის მოსახლეობის 31% (Prezi n/d)

18 თავდაპირველადიგი იყო ესტონეთის ფონდების ცენტრი (Estonian Foundations Center) (Hadzi-Miceva 2007)

არამომგებიანი ასოციაცია წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ ფორმას, რომელშიც მინიმუმ 2 წევრია გაერთიანებული[19]. ამასთან, კანონმდებლობა არ მოითხოვს დამატებით განსაზღვრებას დამფუძნებლის უფლებამოსილების შესახებ. ასოციაციის მიზნები და საქმიანობა კანონმდებლობით არ იზღუდება. ასოციაციის ძირითადი საქმიანობა ან მიზანი არ უნდა იყოს ეკონომიკური საქმიანობის შედეგად შემოსავლის მიღება. ამასთან, შემოსავალი უნდა იქნას გამოყენებული წესდებით გათვალისწინებული მიზნებისთვის.

*ფონდი* ესტონეთში წარმოადგენს არაწევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციულ ფორმას, რომელიც შეიძლება დააარსოს ერთმა ადამიანმა პირველადი კაპიტალური შენატანის გარეშე. კანონმდებლობის მიხედვით, არ არის რაიმე განსაკუთრებული შეზღუდვა, გარდა იმისა შეზღუდვებისა, რაც მომდინარეობს ფონდის არამომგებიანი სტატუსიდან. ფონდი შეიძლება იყოს გრანტის გამცემი, ასევე ოპერაციული, რომლისათვისაც ნებადართულია როგორც საზოგადოებრივი სარგებლიანობის, ასევე კერძო მიზნებისთვის საქმიანობა.

ესტონეთის კანონმდებლობის მიხედვით, *სამოქალაქო სამართლის პარტნიორობა* ორგანიზაციული ფორმაა, რომელიც არ მოითხოვს რეგისტრაციას ან სამართლებრივ იდენტობას. სექტორის ეს ნაწილი იმართება სამართლებრივ ვალდებულებათა კანონით. ეს ფორმა, ჩვეულებრივ, გამოიყენება, ადგილობრივი ან „ჰობი“ ჯგუფების იდენტიფიცირებისთვის. გარკვეულ პირობებში, ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება გრანტის სახით.

ასოციაცია ან ფონდი შეიძლება იყოს დაფუძნებული როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის მიერ.

ესტონეთის კანონმდებლობა ცალკე არ განსაზღვრავს *საზოგადოებრივი სარგებლიანობის სტატუსს,* თუმცა არსებობს საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლე სტატუსი, რომელიც ფუნქციურად საზოგადოებრივი სარგებლიანობის სტატუსის ეკვივალენტია. მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომლებიც აღირიცხებიან სამთავრობო სიაში, ექვემდებარებიან საგადასახადო შეღავათებს. აქტი საშემოსავლო გადასახადების თაობაზე ადგენს კრიტერიუმებს, რაც გამოიყენება სიაში ორგანიზაციების შესაყვანად. 2008 წლის მონაცემით, საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე სიაში 1600 ორგანიზაცია იყო (Hadzi-Miceva 2007), ხოლო 2016 წლისთვის ეს მონაცემი 2,200-მდე გაიზარდა (USAID 2017). სიაში მოხვედრის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება გადასახადებისა და საბაჟო საბჭოს მიერ. მიუხედავად ამისა, კანონი მოითხოვს ექსპერტთა კომიტეტის შექმნას, რომელიც განიხილავს ყველა აპლიკაციას და რეკომენდაციას უწევს საგადასახადო საბჭოს. ექსპერტთა კომიტეტი შედგება არასამთავრობო სექტორის 9 წარმომადგენლისგან[20] .

19 ასოციაციის რეგისტრაციისთვის საკმარისია, მობილური ტელეფონით კომპანიების რეგისტრაციის პორტალზე იდენტიფიცირება და ბაჟის გადახდა ინტერნეტბანკის მეშვეობით. გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერები (Hadzi-Miceva 2007).

20 სიში აკრძალულია პოლიტიკური პარტიების, ბიზნესასოციაციებისა და პროფესიული ორგანიზაციების შეყვანა USAID 2017.

### ფინანსური მდგომარეობა

კვლევების მიხედვით, სექტორის ფინანსური მდგომარეობა წლების განმავლობაში უცვლელია და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმეტესობა იყენებს დაფინანსების განსხვავებულ საშუალებას. ორგანიზაციების დაფინანსების დიდი წილი მოპოვებულია ადგილობრივი წყაროებიდან ან საჯარო დაფინანსების, კორპორაციული და ინდივიდუალური ფილანტროპიის, საკუთარი შემოსავლის ჩათვლით (USAID 2017).

2007 წლის მონაცემით, თითქმის 3,000-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო 700 მილიონი ესტონური კრონა (44,3 მილიონი ევრო) სახელმწიფო ბიუჯეტიდან[21]. ამასთან, საგადასახადო და საბაჟო საბჭოში წარდგენილი ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს 17 მილიონი ევრო მიღებული იქნა კერძო დონაციების სახით. საწევრო გადასახადი, მიუხედავად სიმწირისა, სექტორის ნახევარზე მეტი ორგანიზაციის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. NENO-ს მიხედვით, მართებული სტატისტიკა სხვა შემოსავლის წყაროების შესახებ არაა ხელმისაწვდომი.

კანონმდებლობის შესაბამისად, დაფინანსების პოტენციური წყაროებია: სახელმწიფო დაფინანსება (ეროვნული და ადგილობრივი); დონაციები ადგილობრივი და უცხოური ფიზიკური და იურიდიული პირებისგან; შემოსავალი სახელმწიფო ლატარიადან; საქველმოქმედო ღონისძიებები; საწევრო გადასახადი; დაფინანსება კორპორაციული ან საქველმოქმედო ფონდებიდან; შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან; საერთაშორისო და ევროკავშირის დაფინანსების მექანიზმებიდან; შემოსავალი ფასიანი მომსახურებიდან, მემკვიდრეობიდან (Rosenzweigová 2016).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ესტონეთის საზოგადოებრივი სექტორი ინსტიტუციურად აქცენტს აკეთებს ხელისუფლებასთან თანამშრომლობასა და ბიუჯეტიდან სახსრების მიღებაზე (როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე), ვიდრე კორპორაციულ ფონდებზე. ამას ადასტურებს სახელმწიფოსა და სექტორის მრავალმხრივი თანამშრომლობა, სტრატეგიული პარტნიორული შეთანხმებები სახელმწიფო პოლიტიკის განსახორციელებლად, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული ფონდიდან და სამინისტროების საგრანტო პროგრამებიდან მიღებული დაფინანსება, საზოგადოებრივი სექტორის ტრენინგები და მხარდაჭერა რეგიონული ცენტრების საშუალებით და სხვა.

### ეკონომიკური საქმიანობა

ესტონეთის სამოქალაქო სექტორს აქვს უფლება უშუალოდ ჩაერთოს ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელიც განსაზღვრულია, როგორც „რეგულარულად წარმოებული ვაჭრობა ან საქონლისა და მომსახურების გაყიდვის ბიზნესი“. შემოსავალი დონაციებიდან, საჩუქრებიდან, პასიური ინვესტიციებიდან, დროებითი საქმიანობიდან (რასაც მოაქვს შემოსავალი, მაგ. ფანდრაიზინგი) არ ხვდება ეკონომიკური საქმიანობის დეფინიციაში, შესაბამისად, განთავისუფლებულია კორპორაციული საშემოსავლო გადასახადისგან.

21 2012 წელს, შინაგან სამინისტროს მონაცემის მიხედვით, 109,9 მილიონი ევრო.

ეკონომიკური საქმიანობის შემთხვევაში, ესტონეთის არასამთავრობო ორგანიზაციები იბეგრებიან ისევე, როგორც ბიზნესორგანიზაციები, თუკი არ აღირიცხებიან სპეციალურ სამთავრობო სიაში. ოფიციალურ სიაში აღრიცხვა (და შესაბამისი განთავისუფლება გადასახადისგან სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალზე) ხდება, თუკი ორგანიზაცია 1) ოპერირებს ხალხის ინტერესისთვის; 2) საქველმოქმედოა – მიზნობრივ ჯგუფს უსასყიდლოდ სთავაზობს საქონელს ან მომსახურებას, ან მატერიალურად ეხმარება მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს; 3) არ ანაწილებს ქონებას ან შემოსავალს დამფუძნებლებს, წევრებს ან მმართველი ორგანოს წარმომადგენლებს შორის, ასევე იმ პირებს შორის, რომლებმაც გაუკეთეს დონაცია, და მათთან დაკავშირებულ ორგანიზაციებსა და პირებს შორის, 4) დაშლის შემთხვევაში, ქონება გადაეცემა ოფოციალურ სიაში არსებულ სხვა ორგანიზაციას; 5) ადმინისტრაციული ხარჯები უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის წესდებას, 6) ანაზღაურებადი თანამშრომლების ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს ბიზნესსექტორში მსგავსი სამუშაოსთვის ანაზღაურებას (Hadzi-Miceva 2007).

ნებისმიერი ორგანიზაცია ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად, თუკი მისი წლიური ბრუნვა (დღგ-სგან არ არის განთავისუფლებული საქონლისა და მომსახურების მიწოდების შედეგად) აღემატება 16,000 ევროს. დღგ-სგან განთავისუფლებულია საწევრო გადასახადი და ასევე არამომგებიანი ასოციაციის მიერ თავის წევრებზე გაწეული უსასყიდლო მომსახურება.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ესტონეთის კანონმდებლობა არ ანიჭებს სოციალურ საწარმოს რაიმე ფორმალურ ან სამართლებრივ სტატუსს. NENO-ს საინფორმაციო ბიულეტენის მიხედვით, სოციალური მეწარმეობის კონცეფცია ნელი ტემპით ვითარდება. ასოციაციები და ფონდები წარმოადგენენ სოციალური საწარმოს ძირითად მოდელს, თუმცა ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა ჰიბრიდული მოდელი, რომლის მიხედვითაც სოციალური საწარმო ორი სამართლებრივი ფორმით არსებობს, კერძოდ, ასოციაცია/ფონდი სოციალური საქმიანობისთვის და კერძო შპს სამეწარმეო საქმიანობისთვის (EC 2014). ამასთან, ესტონეთის კანონმდებლობის მიხედვით, კოოპერატივი განიხილება მომგებიან ორგანიზაციებად.

2014 წლის მონაცემით, ესტონეთში დაახლოებით 300-დან 450-მდე სოციალური საწარმოა (EC 2014). 2014 წელს ესტონეთის არამომგებიანი ორგანიზაციები ქსელის – Statistics Estonia-ს და ესტონეთის სოციალურ საწარმოთა ქსელის მიერ ჩატარებული კვლევის – „სოციალური საწარმო ესტონეთში“ – მიხედვით, ესტონეთის სოციალური საწარმოები წარმოადგენენ მიკროკომპანიებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. დასაქმების თვალსაზრისით, არსებობენ მცირემასშტაბიანი ორგანიზაციები, რომელთაც არ ჰყავთ სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლები, თუმცა არსებობენ ორგანიზაციები, რომელთა თანამშრომელთა რიცხვი 40-50-ია. ჩვეულებრივ, მიკროსაწარმო ქირაობს 1-9 თანამშრომელს, თუმცა მოხალისეების რესურსი მეტად გამოიყენება.

სოციალური საწარმოების შემოსავლის 66% მომდინარეობს ბიზნესსაქმიანობიდან. მრავალი სოციალური საწარმო მოიხმარს ეროვნულსა და ევროკავშირის გრანტებს პროექტებისთვის. ზოგიერთი აგროვებს დონაციებს, თუმცა კომპანიების 1/3-ს არ მიუღია რაიმე ტიპის ფინანსური დახმარება ან დონაცია (Gurvits et al 2015). სოციალურ საწარმოთა 1/3 სთავაზობს მომსახურებას. ამ ორგანიზაციების

დიდ ნაწილს აქვთ კარგად აწყობილი თანამშრომლობა სახელმწიფო ინსტიტუციებთან (EC 2014). არსებობენ სოციალური საწარმოები, რომელთა სამეწარმეო საქმიანობა პირდაპირ არაა დაკავშირებული სოციალურ მისიასთან (მაგ. საწარმო იღებს შემოსავალს ქონების გაქირავებიდან, რაც ხმარდება სოციალურ მიზნებს). საერთო შემოსავლის სტატისტიკა არ გროვდება, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აღემატება 16,000 ევროს წელიწადში[22] (EC 2014). საქმიანობათა დარგები მოიცავს საჯარო მომსახურებას (დასაქმების უზრუნველყოფის ჩათვლით), ესენია: ხანდაზმულთა მოვლა, საბავშვო ბაღები, ოჯახების დახმარება, სახანძრო დახმარებს, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის და შშმ პირების მხარდაჭერა, გარემოს დაცვა, კულტურა, სპორტი და სხვა.

### გაცემაზე ზემოქმედი ფაქტორები

*საქველმოქმედო გაცემას* ესტონეთში არეგულირებს 2003 წელს მიღებული „საშემოსავლო გადასახადის აქტი“. კანონის შესაბამისად, გაუქმდა მოგების გადასახადი იურიდიული პირებისათვისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. ორგანიზაციები იხდიან არა მოგების გადასახადს, არამედ გადასახადს მოგების დისტრიბუციების – გარკვეულ კატეგორიებზე (Hadzi-Miceva 2007). სისტემიდან გამომდინარე, იურიდიული პირები იხდიან გადასახადს ისეთ დისტრიბუციებზე, როგორებიცაა: ფიზიკური პირის ხელფასი და დამატებითი სარგებელი, საჩუქარი და საქველმოქმედო კონტრიბუცია, დივიდენდი, მოგების და სხვა, ასევე „არასამეწარმეო ხარჯები“. ეს გადასახადები ეხება არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, რომლებიც ექვემდებარებიან იმავე წესებს, რასაც გადასახადისგან განთავისუფლებულ ორგანიზაციათა ოფიციალურ სიაში არარეგისტრირებული ორგანიზაციები. ოფიციალურ სიაში რეგისტრირებული ორგანიზაციისადმი გაკეთებული გარკვეული დისტრიბუციები (დონაციები) განაპირობებს გადასახადისგან განთავისუფლებას გამცემი ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის (Hadzi-Miceva 2007). ამასთან, საგადასახადო შეღავათები ვრცელდება მხოლოდ იმ დონაციებზე, რომლებიც გაკეთდა ოფიციალურ სიაში აღრიცხული არასამთავრობო ორგანიზაციების სასარგებლოდ. ოფიციალურ სიაში რეგისტრირებული ორგანიზაციების მიერ გაკეთებული დონაცია იმავე სიაში რეგისტრირებულ ნებისმიერ სხვა ინსტიტუციაზე, ასევე განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან.

ზემოხსენებულიდან ჩანს, რომ ესტონეთის საგადასახადო სისტემა გამოყოფს არა ორგანიზაციას, არამედ დონაციის აქტს, რომელიც გაკეთებულია ქველმოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის სასარგებლოდ საზოგადოებრივი სარგებლიანობისთვის.

იურიდიული პირების (საწარმოების ჩათვლით) საგადასახადო ბაზა მცირდება დონაციის ღირებულების ოდენობით, რაც არ აღემატება კონტრიბუტორის წინა კალენდარული წლის მოგების 10%-ს ან მიმდინარე კალენდარულ წელს გაცემული ხელფასების (და მსგავსი ხარჯების) 3%-ს.

22 კანონი ავალდებულებს საგადასახადო რეგისტრაციას, თუკი ორგანიზაციის შემოსავალი აღემატება წელიწადში 16,000 ევროს (EC 2014).

არამონეტარულსა და მონეტარულ დონაციებთან მიმართებით პოლიტიკა ერთნაირია. გადასახადი გამომდინარეობს არამონეტარული დონაციის საბაზრო ღირებულებიდან. კორპორაციული საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლებულია, ასევე საავადმყოფოს მფლობელის სასარგებლოდ გაკეთებული დონაცია, ეროვნული ან ადგილობრივი მთავრობის სასარგებლოდ გაკეთებული დონაცია, სამეცნიერო, კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტის, სასჯელაღსრულების ან სოციალური კეთილდღეობის ინსტიტუციების სასარგებლოდ გაკეთებული დონაცია, კონფესიების[23], დაცული ტერიტორიების მმართველის სასარგებლოდ გაკეთებული დონაცია. ყველა დონაცია ავტომატურად აღირიცხება კონტრიბუტორის კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის დაბრუნების ფორმაში (Praxis Center for Policy Studies n/d).

როგორც ითქვა, *ინდივიდუალური დონაცია* ასევე წახალისებულია. ფიზიკურ პირს შეუძლია დონაციის ოდენობით შეამციროს საგადასახადო ბაზა, არაუმეტეს შემოსავლის 5%-ის (ან 1920 ევროს) ოდენობით იმ საგადასახადო პერიოდში, რა დროსაც გაკეთებულია საჩუქარი ან საქველმოქმედო კონტრიბუცია. ეს 5% (მაგრამ არა უმეტესი 1,200 ევროსა[24]) ასევე მოიცავს საგადასახადო შეღავათებს ტრენინგის ღირებულებიდან, იპოთეკის პროცენტიდან და სხვ[25].

## გაცემის პრაქტიკა და სოციალური ინოვაციები

### საერთაშორისო დონორები

1991 წლიდან ესტონეთის საზოგადოებრივი სექტორი ვითარდებოდა 1000-მდე საერთაშორისო დონორის (სკანდინავიის ქვეყნები, გერმანია, ევროკავშირი, შეერთებული შტატები) განვითარების პროგრამების დახმარებით. ესტონეთი წარმოადგენს პირველ პოსტსაბჭოთა ქვეყანას, რომელიც ჯერ კიდევ 1996 წელს შეერთებული შტატების განვითარების სააგენტომ გამოაცხადა „ცენტრალურ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის პირველ ქვეყნად, რომელიც ხელმეორედ შეუერთდა გლობალურ ეკონომიკას“, ამით დაასრულა დახმარების პროგრამები და აშშ-ესტონეთის ურთიერთობა გადაიყვანა „ვაჭრობისა და საინვესტიციო პარტნიორობის ახალ ეტაპზე“ (USAID 1996).

დღესდღეობით ესტონეთის საზოგადოებრივი სექტორისთვის ხელმისაწვდომია ევროკავშირის სტრუქტურული ფონდები, თუმცა მრავალი ღია საგრანტო პროგრამა ჩანაცვლდა შესყიდვების მექანიზმით (USAID 2017). EEA/Norway საგრანტო პროგრამა ტრადიციულად აფინანსებდა საზოგადოებრივი სექტორის მრავალ ინიციატივას, თუმცა 2016 წელს ამ მექანიზმის ფარგლებში არ დაფინანსებულა

23 ისევე, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემთხვევაში, არსებობს „საეკლესიო რეესტრი“, რომელშიც აღრიცხულია რელიგიური ორგანიზაციები. მხოლოდ ამ სიაში შეტანილ რელიგიურ ორგანიზაციებს ეხებათ საგადასახადო შეღავათები და კანონით გათვალისწინებული სხვა უპირატესობები.

24 2016 წელს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შესთავაზეს ხელისუფლებას 1,200 -ევროიანი ლიმიტის აწევა ან გაუქმება. მოლაპარაკების შედეგები ჯერჯერობით არაა ცნობილი.

25 როგორც იურიდიული პირის შემთხვევაში, ამჯერადაც დონაცია არ განიხილება ცალკე კატეგორიად, არამედ გადის საგადასახადო შეღავათებს სხვა ერთეულებთან ერთად.

არც ერთი ორგანიზაცია (გაგრძელება დაგეგმილი იყო 2017 წლის ბოლოს). დაფინანსებაში, ამ წყვეტის გამო 2016 წელს მრავალმა ესტონურმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მიმართა სამოქალაქო საზოგადოების ეროვნულ ფონდს[26].

### კორპორაციული გაცემა და კონტრიბუციები

როგორც *კორპორაციული ფილანტროპიის* ასევე *კორპორაციული ფონდების* ინსტიტუტი ესტონეთში სუსტადაა განვითარებული (USAID 2015,2016, 2017). გარკვეულწილად, კორპორაციული ფონდების ნიშას იკავებენ ე.წ. „ქვეფონდები" (allfondid), რომლებიც დაფუძნებულია ესტონეთის ეროვნული კულტურის ფონდის ან ესტონეთის განათლების ეროვნული ფონდის ქვეშ. ქვეფონდები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ სამართლებრივ ერთეულებს, თუმცა ჰყავთ დამოუკიდებელი გამგეობა და ადმინისტრირებას უწევენ გრანტებს, რომლებიც დონაციის სახითაა მიღებული სხვადასხვა კერძო და კორპორაციული დონორებისგან (Lagerspetz 2003).

საზოგადოებრივი სექტორისა და ბიზნესის ხანგრძლივი სტრატეგიული ურთიერთობა მწირია, თუმცა მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია წარმატებით აგროვებს თანხებს ერთჯერადი საქველმოქმედო პროექტებისთვის. მაგალითად, 2016 წელს ორგანიზაციამ Human Rights Center-მა სხვადასხვა ბიზნესებისგან მოაგროვა თანხა იურიდიული მომსახურებისთვის კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფის სასამართლოში უფლებების დასაცავად (USAID 2017).

ექსპერტების მიხედვით, მეწარმეებისა და სტარტაპების ახალ თაობას აქვთ როგორც ინტერესი, ასევე რესურსები საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის კონტრიბუციის გასაკეთებლად. მათთან ერთად წინა თაობის მეწარმეებმაც დაიწყეს მხარდაჭერის ველების ძიება. აღნიშნავენ კიდეც, რომ ამ მიმართულებით სექტორის განსავითარებლად საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლებმა უკეთ უნდა ისწავლონ ბიზნესთან კომუნიკაცია და სოციალური ზეგავლენის დემონსტრირება (NENO 2008, USAID 2015, 2016, 2017). აღნიშნულს ამტკიცებს 2014 წელს ორგანიზაციების: Good Deed Foundation-ის, Social Enterprise Network-ისა და Praxis Centre for Policy Studies-ის მიერ წამოწყებული პროექტი ესტონეთში პირველი „სოციალური ზეგავლენის ობლიგაციები" მოდელის შესაქმნელად. პროექტის პირველ ეტაპზე შესწავლილი იქნა ქვეყნის შიგნით აღებული შესაძლებლობები, რაც მოიცავდა ესტონეთის საჯარო სექტორის, ინვესტორების და არამომგებიანი ორგანიზაციების მზაობის შეფასებას და ფინანსური მოდელის ზეგავლენის, ფინანსური და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას. კვლევა განხორციელდა, თუმცა საპილოტე პროგრამის რეალურ დაწყებას ესაჭიროება შემდგომი მომზადება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (Good Deed Foundation, n/d).

### ინდივიდუალური გაცემა და კონტრიბუციები

ოფიციალური სტატისტიკით, საქველმოქმედო დონაცია ესტონეთში პროგრესირებს. 2005 წელს გადასახადის გადამხდელთა 3,7%-მა გააკეთა დონაცია, 2009 წელს -5,4%-მა, 2010 წელს – 12%-მა, 2013 წელს- 16%-მა, 2014 წელს – 21%,

26 ეროვნული ფონდი დაფუძნდა 2008 წელს და მისი ბიუჯეტი შეადგენს 2.5 მილიონ ევროს. 2016 წელს 115 -მა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მიიღო დახმარება ეროვნული ფონდიდან.

ხოლო 2015 წელს გადასახადის გადამხდელთა 20%-მა (World Giving Index 2005-2015, ციტ. USAID 2015-2017). საგადასახადო საბჭოს მონაცემით, 2015 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დონაციებმა შეადგინა 31 მილიონი ევრო. ექსპერტები ასევე აღნიშნავენ არამატერიალური დონაციების მატებას, რაც ძირითადად ადგილობრივი საწარმოებიდან pro-bono მომსახურებასა და საქონლის მიწოდებას მოიცავს.

ესტონეთში, ასევე მატულობს მოხალისეთა მოზიდვა და ჩართულობა (მათ შორის საჯარო ინსტიტუციებისა და ბიზნესების მხარდაჭერით[27]). 2016 წლის World Giving Index-ის მიხედვით რესპონდენტთა 13% ამბობდა, რომ მიიღო მონაწილეობა მოხალისეობრივ საქმიანობაში, ხოლო 2015 წელს ეს რაოდენობა 19%-მდე გაიზარდა (USAID 2017).

საზოგადოებრივი სექტორის ქრაუდფანდინგი ხორციელდება, როგორც ელექტრონული პლატფორმების, ასევე სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით. მაგალითად, Hooandja პორტალის მეშვეობით 2016 წელს 11,693 პირმა გააკეთა 390,000 ევროს კონტრიბუცია სამოქალაქო საზოგადოების პროექტების განსახორციელებლად (Freedom House 2016). ამ პორტალით ასევე ხდება მოხალისეებისა და არამონეტარული კონტრიბუციების მოზიდვა.

## გერმანია

### საზოგადოებრივი სექტორი

გერმანიის არამომგებიანი ორგანიზაციების სექტორი შედგება *ასოციაციებისგან* (Vereine), *ქოლგაორგანიზაციებისგან* (Verbände) და ფონდებისგან (Stiftungen) (Zimmer et al 2014). 2016 წლის მონაცემით, რეგისტრირებულია თითქმის 600,000 ასოციაცია, რომელთა უმრავლესობა საქმიანობს ადგილობრივ დონეზე (სპორტული კლუბები, კულტურული ცენტრები, დღის მომვლელის მომსახურების ცენტრები, სახანძრო დეპარტამენტები, რელიგიური კავშირები, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, პროფესიონალური ასოციაციები და სხვ.). ცოტაა ორგანიზაცია, რომელშიც დასაქმებულია 10-ოდე ადამიანი. ორგანიზაციების უმეტესობა საშუალო სიდიდისაა (10-100 აქტიური წევრი და მოხალისე). ამასთან, ორგანიზაციების დაახლოებით 30% ასაქმებს 100-ზე მეტ აქტიურ ადამიანს. გერმანიის ფონდების ასოციაციის 2016 წლის მონაცემით, ქვეყანაში დაახლოებით 21,000 კერძო ფონდია (რაც ნიშნავს, რომ საშუალოდ 26 ფონდია ყოველ 100,000 მოსახლეზე). ეს ორგანიზაციები ერთად ასაქმებენ აქტიური მოსახლეობის 3,6%-ს (მოხალისეების ჩათვლით 6,6%-ს) (OSCE 2010, Bertelsmann Stiftung, n/d).

არამომგებიანი ორგანიზაციის კიდევ ერთი ფორმაა გადასახადისგან განთავისუფლებული კორპორაციული საწარმო (*კოოპერატივი ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო – Gmbh*). კოოპერატივები პოპულარული გახდა მას

27 მოხალისეობრივი ღონისძიებები ხშირადაა ორგანიზებული საჯარო ინსტიტუციების მიერ, ხოლო ბიზნესის მხრიდან გახშირდა შემთხვევები, როცა საწარმო აძლევს თანამშრომელს ანაზღაურებულ შვებულებას მოხალისეობრივ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

შემდეგ, რაც ევროკავშირმა წამოაყენა კოოპერატივების ამოქმედების მოთხოვნა. კოოპერატივების საერთო რაოდენობა დაახლოებით 5000-ა. მათში გაერთიანებულია 20 მილიონამდე წევრი (Zimmer et al 2016, ციტ. EU-Russia CSF 2016, OSCE 2010). კოოპერატივების საქმიანობის არეალი დიდია: საბანკო, ფერმერული, რეწვის, საცალო ვაჭრობის, განახლებული ენერგიის, განსახლების და მრავალი სხვა). არა-მომგებიანი ორგანიზაციების დამფუძნებლები მიმართავენ GmbH ფორმას, თუკი დამფუძნებლების ამოცანაა ანაზღაურების გარეშე მომსახურების მიწოდება.

EU-Russia CSF 2016-ის კვლევის მიხედვით, 100-მდე გამოკითხულ გერმანულ არამომგებიან ორგანიზაციათა 57% მოღვაწეობს ქვეყნის დონეზე, ხოლო 67% – საერთაშორისო დონეზე, 29% – შტატის (Land), 35%- რეგიონულ და 28% ადგილობრივ დონეებზე. ამათგან 8% საქმიანობს მხოლოდ ქალაქის, 6% კი – მხოლოდ დედაქალაქის დონეზე[28].

გერმანიის სამოქალაქო სექტორი სარგებლობს მნიშვნელოვანი სახელმწიფო მხარდაჭერით. ურთიერთობისთვის დამახასიათებელია ფინანსური მხარდაჭერის დუალურობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის შედარებით მაღალი დონე (ავტონომია). მთავრობას აღებული აქვს ვალდებულება მხარი დაუჭიროს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ეხმარებიან სამთავრობო პოლიტიკის აღსრულებაში (სოციალური მომსახურება, გარემოს დაცვა ან საერთაშორისო განვითარება). ამასთან, საზოგადოებრივი სექტორი განიხილება ავტონომიურ სეგმენტად, რომელსაც სახელმწიფომ არ უნდა უკარნახოს საქმიანობის მიმართულებები (OSCE 2010, EU-Russia CSF 2016, GHK n/d).

ე.წ. „სუბსიდირების პრინციპზე“ დაყრდნობით, გერმანიის სამოქალაქო სექტორი საბაზისო სოციალური მომსახურების უზრუნველყოფის ძირითადი მიმწოდებელია. გერმანიის „ფედერალური სოციალური დახმარების აქტის“ შესაბამისად, სამთავრობო სააგენტოს ეკრძალება სოციალური მომსახურების მიმწოდებლის საკუთარი ერთეულის დაფუძნება, თუკი ადგილობრივ დონეზე არსებობს ან შეიძლება შეიქმნას შესაბამისი ასოციაცია (OSCE 2010).

ამ გარემოებამ გამოიწვია გერმანიის არამომგებიანი სექტორის „დუალობა“ რომლის ერთი ნაწილი, შეიძლება ითქვას, მეტად „სამოქალაქოა“ და ორიენტირებულია კულტურაზე, სათემო ცხოვრებაზე, გარემოზე, ახალგაზრდებზე და სხვა, ხოლო მეორე ნაწილი უზრუნველყოფს ჯანდაცვას, სოციალურ მომსახურებას და წარმოადგენს „სოციალური სახელმწიფოს“ განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმრავლესობა მუშაობს მომსახურების მიწოდების განხრით (სოც. მომსახურება – 38%, ჯანდაცვა – 30.6% და განათლება- 11.7%) (Zimmer ed., 1995, ციტ. OSCE 2010). მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები ერთიანდებიან სამოქალაქო საზოგადოების ექვს ძირითად ფედერაციაში („სამოქალაქო საზოგადოების კავშირები“), რომლებიც იცავენ წევრთა ინტერესებს[29]. ეს ფედერაციები ყოველწლიურად მართავენ მოლაპარაკებებს ხელისუფლებასთან

28 ავტორის მიხედვით, კვლევა არაა წარმომადგენლობითი, თუმცა კარგად ასახავს სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის მრავალფეროვნებასა და განაწილებას ქვეყნის ტერიტორიაზე.

29 5 აერთიანებს ძირითადი რელიგიების წარმომადგენლებს, ხოლო მეექვსე – ყველა სეკულარულ ორგანიზაციას.

მომსახურების მიწოდების დაფინანსებაზე (კანონით დადგენილი სავალდებულო დაფინანსების მიღმა).

**საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსი**

გერმანია ფედერალური სამოქალაქო კანონის ქვეყანაა, სადაც არასამთავრობო, არამომგებიანი ორგანიზაციების სამი ძირითადი ფორმაა: ფორმალური და არაფორმალური ასოციაციები (Verein), ფორმალური და არაფორმალური ფონდები (Stiftung) და (გარკვეულ შემთხვევაში) კორპორაციული საწარმოები (კოოპერატივი ან GmbH). ფორმალურ ასოციაციებს, ფორმალურ ფონდებსა და ბიზნეს-კომპანიებს აქვთ სამართლებრივი სტატუსი. არაფორმალურ ასოციაციებს გააჩნიათ სამართლებრივი იდენტობის გარკვეული ასპექტები, ხოლო არაფორმალური ფონდები დაფუძნებულია „სასაჩუქრო კონტრაქტზე“ ან „ნდობის კონტრაქტზე“ (El-Sadani 2017).

გერმანული არამომგებიანი სექტორი და ფონდები ხელმძღვანელობენ ფედერალური და, ნაწილობრივ, სამხარეო კანონებით. ფედერალური კანონის მიხედვით განისაზღვრება ორგანიზაციაზე საგადასახადო შეღავათების გავრცელება, თუმცა გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი საგადასახადო ოფისი.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ასოციაცია წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციას. დაშვებულია როგორც საზოგადოებრივი, ასევე ურთიერთსარგებლის ასოციაციების არსებობა. ამის გათვალისწინებით, სტატუსი “e.V“-(eingetragener Verein-ი – რეგისტრირებული ასოციაცია)- არ ასახავს არც საზოგადოებრივ სარგებლიანობას და არც საგადასახადო სტატუსს. ასოციაცია ფუძნდება ნოტარიუსის მიერ. არაეკონომიკური ასოციაციის (nichtwirtschaftliche Vereine / Idealvereine) უპირველესი მიზანი არ უნდა იყოს შემოსავლის ზრდა. სამართლებრივ სტატუსს (იდენტობას) არაეკონომიკურ ასოციაციებს ანიჭებს სასამართლო. რეგისტრაციისთვის ასოციაციას უნდა ჰყავდეს მინიმუმ 7 წევრი. რეგისტრაციის შემდეგ წევრთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს, მაგრამ არ უნდა გახდეს 3-ზე ნაკლები. გარკვეულ (შეზღუდულ) პირობებში გერმანიის მხარეს (Land) შეუძლია სამართლებრივი სტატუსი მიანიჭოს ასოციაციას, რომლის პირველადი საქმიანობა ბიზნესია (Wirtschaftlicher Verein- ეკონომიკური ასოციაცია), თუმცა ბოლო წლებში ეს არ მომხდარა (El-Sadani 2017).

*ფონდი* (Stiftungen bürgerlichen Rechts-ი – სამოქალაქო სამართლის ფონდი) წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომლის შემოსავლები გამოიყენება დამფუძნებლის მიერ დასახული სპეციფიკური მიზნებისთვის. ფონდს აქვს სამართლებრივი სტატუსი, რომელსაც იძენს იმ მხარის (Land) უფლებამოსილი პირისგან, სადაც განთავსდება ფონდის სათავო ოფისი. ფონდის დაფუძნება შეუძლია როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. ფონდის დაფუძნებისთვის კანონი არ მოითხოვს რაიმე საწყის კაპიტალს, თუმცა მოითხოვს, რომ სახეზე იყოს ფონდის მიზნების მისაღწევად მუდმივი და მდგრადი უზრუნველყოფის საშუალებები. ამ უკანასკნელისთვის ადგილობრივი უფლებამოსილი პირები სხვადასხვა მინიმუმს აწესებენ (ჩვეულებრივ, სულ მცირე 50,000 ევრო). კანონის შესაბამისად, ფონდი შეიძლება დაფუძნდეს გარკვეული ვადით, რაც არ უნდა იყოს 10 წელიწადზე ნაკლები. ფონ-

დები ვალდებულნი არიან წარადგინონ წლიური ანგარიშები შესაბამის სახელმწიფო უფლებამოსილ პირებთან. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სიტყვა „ფონდი“ (“*Stiftung*”) არ შემოიფარგლება სამართლებრივი სტატუსის მქონე ფონდებით. სხვა სამართლებრივი სტატუსის ორგანიზაციებსაც (ასოციაცია, სააქციო საზოგადოება, შპს) აქვთ უფლება ჰქონდეთ დამატებითი სახელწოდება „ფონდი“. შესაბამისად, სახელწოდებაში არსებული სიტყვა „ფონდი“ სამართლებრივი თვალსაზრისით არ იძლევა გარანტიას, რომ არამომგებიანი ორგანიზაცია ფონდია. მაგალითად, გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფონდის – the Robert Bosch Stiftung-ის – სამართლებრივი ფორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა (GmbH).

როგორც ითქვა, არამომგებიანი ორგანიზაცია შესაძლებელია ფუნქციონირებდეს კორპორაციული საწარმოს (ა) კოოპერატივის ან (ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს (GmbH) ფორმით, რაც რეგისტრირდება და რეგულირდება სპეციალური კანონებით.

GmbH კორპორაციული ფორმის კომერციული კომპანიაა, რომელიც ატარებს სამართლებრივ სტატუსს, ჰყავს აქციონერები და ფლობს აქციებს; ხოლო კოოპერატივები ექვემდებარებიან იმავე რეგულაციებს, რასაც სხვა საწარმოები და, შესაბამისად, კონკურენციას უწევენ როგორც მათ, ასევე ერთმანეთს (DGRV n/d).

გერმანიაში არ არსებობს სპეციალური საზოგადოებრივი სარგებლიანობის არამოგებიანი ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა. მუხედავად ამისა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საგადასახადო შეღავათებით, რისთვისაც გერმანიის ფისკალური კოდექსი (*Abgabenordnung*, ან *AO*) განსაზღვრავს „საზოგადოებრივ სარგებელს“ და აყალიბებს საშეღავათო მიზნებს[30].

ფისკალური კოდექსის მიხედვით, საგადასახადო პრივილეგიით სარგებლობს სამი ტიპის საქმიანობა, რომლის მიზანია: საზოგადოებრივი სარგებელი, ქველმოქმედება და ეკლესიასთან დაკავშირებული თემები. ორგანიზაცია ახორციელებს საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობას, თუკი „მისი საქმიანობა მიზნად ისახავს სრულიად საზოგადოების მატერიალურ, ინტელექტუალურ ან მორალურ მხარდაჭერას“. პირველი პირობის დაცვით, მხარდასაჭერი სფეროებია: მეცნიერება, რელიგია, ჯანდაცვა, ახალგაზრდობისა და ხანდაზმულების საკითხები, ხელოვნება და კულტურა, ისტორიული მემკვიდრეობა, განათლება, გარემოს დაცვა და მრავალი სხვა, ტოლერანტობის, ცხოველთა დაცვისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩათვლით. ქველმოქმედება მოიცავს გაჭირვებულ ადამიანთა დახმარებას მათი ეკონომიკური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სულიერი მდგომარეობის გამო, ხოლო ეკლესიასთან დაკავშირებით კი – რელიგიური თემების მხარდაჭერას. ამასთან, გადასახადისგან განთავისუფლებულ ორგანიზაციას ეკრძალება წევრებზე (და სხვა არაბენეფიციარებზე) ქონების განაწილება ადეკვატური კომპენსაციის გარეშე. ამასთან, AO ითხოვს, რომ ორგანიზაციამ თავისი საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლე საქმიანობა განახორციელოს *ექსკლუზიურად, უშუალოდ და არამიკერძოებულად.* ლიკვიდაციის

30 საშემოსავლო გადასახადი, კორპორატიული შემოსავლის გადასახადი, კომერციული გადასახადი, დღგ და მემკვიდრეობისა და საჩუქრის გადასახადი განისაზღვრება სხვადასხვა საგადასახადო კოდექსით.

შედეგად, ქონება გადაეცემა სხვა, გადასახადებისგან განთავისუფლებულ, ორგანიზაციას (El-Sadani 2017).

გერმანიაში საგადასახადო შეღავათები ასევე ვრცელდება გერმანიის საზღვრებს გარეთ განხორციელებულ საზოგადოებრივი სარგებლის საქმიანობაზე (Bird & Bird 2014).

### ფინანსური მდგომარეობა

გერმანიის საზოგადოებრივი სექტორის შემოსავალი მომდინარეობს განსხვავებული წყაროებიდან. მიუხედავად ამისა, სექტორის ზემოხსენებული „დუალობიდან" გამომდინარე, ორგანიზაციების ერთი ნაწილი თანამშრომლობს გერმანიის სოციალურ სისტემასთან და დაფინანსებას იღებს სახელმწიფო წყაროებიდან, ხოლო ორგანიზაციების მეორე ნაწილი დამოკიდებულია საწევრო გადასახადსა და კერძო დონაციებზე. Household Budget-ის კვლევის მონაცემით, 2005 წელს საწევრო გადასახადების სახით გადახდილი იყო 6,7 მილიარდი ევრო (ციტ. OSCE 2010), ხოლო დონაციებით- 1.5-ჯერ ნაკლები. The Global Civil Society Report –ის მიხედვით, საზოგადოებრივი სექტორის შემოსავალი (მოხალისეების გარდა) არის: 64.3% სახელმწიფოდან, 3.4% – ფილანტროპიიდან, 32.3% – ეკონომიკური საქმიანობიდან (საწევრო გადასახადის ჩათვლით). იმავე ანგარიშის მიხედვით, თუკი ამ მონაცემებს დაემატება შესაბამისი მოხალისეობრივი საქმიანობა, მაჩვენებლები ასე გადანაწილდება: 42.5% – სახელმწიფოდან, 36.2% – მოხალისეობა/ფილანტროპიიდან და 21.3% – ეკონომიკური საქმიანობიდან (საწევრო გადასახადის ჩათვლით). საზოგადოებრივი სექტორის მთლიანი შიდა პროდუქტის წილი 4%-ა (OSCE 2010).

### ეკონომიკური საქმიანობა

საზოგადოებრივ სექტორთან მიმართებით გერმანიის საგადასახადო სისტემა სრულადაა მიბმული საზოგადოებრივ სარგებელზე. მხოლოდ ის არამომგებიანი ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ ეწევიან საზოგადოებრივ სარგებლიანობას, საქველმოქმედო ან ეკლესიასთან დაკავშირებულ საქმიანობას, განთავისუფლებულნი არიან კორპორაციული საშემოსავლო გადასახადისაგან (Körperschaftsteuer), კომერციული გადასახადისაგან (Gewerbesteuer) და საჩუქრისა და მემკვიდრეობის გადასახადისაგან (Erbschaft-und Schenkungsteuer).

გერმანიის არამომგებიან სექტორს აქვს უფლება ჩაერთოს ეკონომიკურ საქმიანობაში. თუკი ეკონომიკური საქმიანობა აუცილებელია ორგანიზაციის საწესდებო მიზნების აღსასრულებლად და იგი ნაკლებად უწევს კონკურენციას მომგებიან ორგანიზაციებს, ასეთი შემოსავალი არ იბეგრება. საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობის ისეთი დარგები, როგორებიცაა: ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, მეცნიერება და სხვ. განთავისუფლებულია დღგ-სგან. გარდა ამისა, თუკი საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლე ორგანიზაცია ახორციელებს საწესდებო საქმიანობას, რომელსაც ეკუთვნის დღგ, ამ გადასახადის განაკვეთი მცირდება

19%-დან 7%-მდე[31]. თუკი არამომგებიანი ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტი გაცემულია დღგ-ს დაქვემდებარებული მომსახურებისთვის – შესაძლებელია მოხდეს პროექტის ხარჯებში შეყვანილი დღგ-ს დაბრუნება.

საქმიანობა, რომელიც არაა აუცილებელი ორგანიზაციის საწესდებო მიზნების განხორციელებისთვის, იბეგრება სტანდარტული განაკვეთით, თუკი არასაწესდებო კომერციული საქმიანობიდან მიღებული წლიური მთლიანი შემოსავალი აღემატება 35,000 ევროს.

არამომგებიანი სექტორის მიერ შემოსავლის გენერირება და ეკონომიკური აქტიურობა ისტორიულად გერმანიის მესამე სექტორის განუყოფელი ნაწილია. როგორც ეროვნული ფედერაციები, ასევე ადგილობრივი კოოპერატივები და განსახლებისა და სხვა ურთიერთსარგებლობის ასოციაციები წარმოადგენენ მესამე სექტორის მნიშვნელოვან ნაწილს (კოოპერატიული ეკონომიკა-*Gemeinwirtschaft).* ამასთან, საყოველთაოდაა მიღებული, რომ საზოგადოებრივი სექტორის სტაბილურობა განპირობებულია მათი „გამომუშავებული“ შემოსავლით. შესაბამისად, მომხმარებლები მზად არიან გადაუხადონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მომსახურების საფასური სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საბაზისო მომსახურების მიღმა.

გერმანიაში არ არსებობს სოციალური საწარმოსათვის სპეციალური კანონმდებლობა ან ამ კონცეფციის ფორმალური დეფინიცია. როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები, ასევე კოოპერატივები, კომერციულად აქტიური ფონდები და ასოციაციები, ასევე თვითდახმარების ჯგუფები და კომერციულ საქმიანობაში ჩართული სოციალური მისიის მქონე ორგანიზაციები – ყველა ის, რომელიც მთლიანად არაა დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტზე, გრანტებზე ან დონაციებზე – შესაძლებელია განხილული იყოს სოციალურ საწარმოდ (EC 2014).

2014 წელს SEFORÏS მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში[32] გამოიკითხა 107 გერმანული სოციალური საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საერთო რიცხვი 7,500 ადამიანი იყო და საერთო შემოსავალი – 2 მილიონ ევროზე მეტი. გამოკითხულ ორგანიზაციათა 45% წარმოადგენდა რეგისტრირებულ ასოციაციებს, 32% – GmbH-ს, ხოლო 23% – კოოპერატივს. სოციალურ საწარმოთა პირველადი მიზანი სათემო განვითარება, დასაქმება და ტრენინგია (25%), ასევე განათლება და კვლევა (22%) და ჯანდაცვა (15%). სოციალურ საწარმოთა 36% უკვე 20 წელზე მეტია საქმიანობს. გამოკითხულ სოციალურ საწარმოთა შემოსავლის ძირითადი წყაროა საბაზრო გაყიდვები და სახელმწიფო მომსახურების ანაზღაურება (43%).

31 გერმანია იცავს ევროკავშირის წესებს დღგ-ს შესაბამისობის შესახებ. 2017 6 იანვრიდან ევროკავშირის მინიმალური სტანდარტული დღგ-ს განაკვეთი 15%-ა. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აქვთ უფლება დააწესონ საკუთარი სტანდარტული დღგ-ს განაკვეთი, რომელიც უნდა აღემატებოდეს 15%-ს. ევროკავშირი ასევე აძლევს უფლებას, მაქსიმუმ, რაიმე ორ დასახელებაზე შემცირებული დღგ-ს დაწესებისა, რომელთაგან ყველაზე დაბალი არ უნდა იყოს 5%-ზე ნაკლები (www.vatlive.com, n/d)

32 „სოციალური მეწარმეობის, როგორც მეტად ინკლუზიური და ინოვაციური საზოგადოების მამოძრავებელი ძალა“(Social Entrepreneurship as a Force for more Inclusive and Innovative Societies-SEFORÏS) წარმოადგენს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ მულტიდისციპლინარულ კვლევით პროგრამას, რომელიც იკვლევს სოციალური საწარმოს პოტენციალს ევროკავშირის ქვეყნებში და მათ მიღმა (http://www.seforis.eu/).

დანარჩენი მომდინარეობს გრანტებიდან (29%) და დონაციებიდან (10,5%). ინვესტიციებიდან მოგება აღნიშნა მხოლოდ 6,5% ორგანიზაციამ. განსხვავებულია ორგანიზაციების საერთო მოგება, მაგ. 2014 წელს ორგანიზაციების 41%-მა აჩვენა 1 მილიონ ევროზე მეტი მოგება, ხოლო 27%-მა – 80,000 ევროზე ნაკლები[33].

### გაცემაზე ზემოქმედი ფაქტორები

გერმანიის კანონმდებლობა საშუალებას აძლევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს გაქვითონ გადასახადისგან განთავისუფლებულ ორგანიზაციებზე გაცემული კონტრიბუციები შესაბამისი დასაბეგრი შემოსავლის 20%-მდე. (იგულისმება კორპორაციული, მუნიციპალური და კომერციული გადასახადები). კორპორაციებისათვის გაქვითვების გამოთვლის ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს ბრუნვისა და ხელფასების თანხის მაქსიმუმ 0.4% -ით შემცირება. დონაციები, რაც აღემატება გაქვითვის ლიმიტს, შეიძლება გადატანილი იქნას შემდგომ ფისკალურ წლებში.

ამასთან, ინდივიდუალურ დონორს აქვს უფლება გაქვითოს 1 მილიონამდე ევრო ფონდის საქველმოქმედო ბიუჯეტში გაკეთებული დონაციისთვის[34]. გაქვითვა შეიძლება განხორციელდეს დონაციის წელს ან გადანაწილდეს მომდევნო 9 წელიწადზე (OSCE 2010, El-Sadani 2017).

## გაცემის პრაქტიკა და სოციალური ინოვაციები

### საერთაშორისო დონორები

ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები ხელმისაწვდომია გერმანიის საზოგადოებრივი სექტორისთვის, რომელიც საქმიანობს ევროკავშირის პოლიტიკის დარგში.

### კორპორაციული გაცემა და კონტრიბუციები

კორპორაციული გაცემა გერმანიაში, მეტწილად, კლასიკურ საქველმოქმედო ხასიათს ატარებს და პირდაპირ არაა დაკავშირებული ბიზნესინტერესებთან. გერმანული კორპორაციები მრავალმხრივ არიან ჩართულნი ფილანტროპულ საქმიანობაში – სათემო გრანტებიდან ან არამონეტარული დონაციებიდან დაწყებული და კორპორაციული მოხალისეობრივი პროგრამითა და საზოგადოებრივი სექტორის ტექნიკური დახმარებით დამთავრებული.

ამასთან, კორპორაციები აფუძნებენ როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი სარგებლიანობის კორპორაციულ ფონდებს. თუკი 1996 წელს გერმანიაში რეგისტრირებული იყო 441 ფონდი, 2008 წელს მათმა რაოდენობამ 16,406 შეადგინა. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, გერმანიაში ყოველწლიურად რეგისტრირდება სა-

33 ცნობილი არაა, რამდენად შესაძლებელია წარმოდგენილი კვლევის განზოგადება, თუმცა მონაცემები გვაძლევენ საშუალებას წარმოვიდგინოთ გერმანიის სოციალურ საწარმოთა ხასიათი და შინაარსი.

34 საზოგადოებრივი სარგებლიანობის მიზნებისთვის, რაც განსაზღვრულია კანონმდებლობით.

შუალოდ 1,000 კერძო ფონდი (OSCE 2010). ქვეყანაში ასევე ფუნქციონირებენ ე.წ. პოლიტიკური ფონდები (ასოციაციის სამართლებრივი სტატუსით), რომელნიც იდეოლოგიურად აფილირებულნი არიან რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან. ეს ფონდები ყოველწლიურად ფინანსდებიან შესაბამისი პოლიტიკური პარტიის მიერ, პოლიტიკური პროგრამების ამომრჩეველთათვის გასაცნობად[35]. ეს უკანასკნელები მუშაობენ ასევე საზღვარგარეთ მოღვაწე პარტიებთან აფილირებულ ფონდებთან, სავაჭრო კავშირებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ყველა ფონდის ერთობლივი ქონება შეადგენს დაახლოებით 70 მილიარდ ევროს, საიდანაც საშუალოდ 17 მილიარდი იხარჯება საქველმოქმედო მიზნებისთვის, სოციალური საკითხების (28%), განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დასაფინანსებლად. 2007 წლის მონაცემით, გერმანიის კორპორაციების მცირე ბიზნესმა (29.1%) გააკეთა დონაცია 5,000 ევრომდე, მცირე და საშუალო საწარმოებმა (30.5%) 10,000-დან – 50,000 ევრომდე, დიდმა კორპორაციებმა (42.1%) 50,000-დან – 100,000-ზე მეტი ევროს ოდენობით (OSCE 2010). საქველმოქმედო მიზნებისთვის დონაციების ყველაზე დიდ ოდენობას გასცემენ Volkswagen Foundation-ი, Robert Bosch Stiftung-ი, Bertelsmann Stiftung-ი, Hans Böckler Foundation-ი და WWF Deutschland-ი (Facts About Germany n/d).

ამასთან, გაჩნდა ახალი ტალღა სათემო ფონდებისა. 2010 წლის მონაცემით, ქვეყნის მასშტაბით საქმიანობდა დაახლოებით 230 სათემო (OSCE 2010), ხოლო გერმანული ფონდების ასოციაციის მიერ 2015 წელს აღიარებული იქნა 275 სათემო ფონდი.

საერთო ჯამში, *სოციალური ინოვაციების* საჭიროების გააზრება და დანერგვა გერმანიაში თანმიმდევრულად მიმდინარეობს (Ngo & Kunz 2016) როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის მხრიდან. მაგალითად, 2015 წელს გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტრომ გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც ასახავს სოციალური საწარმოს დაფინანსების გამოწვევებს: უნივერსიტეტები სთავაზობენ სოციალური ინოვაციებისა და სოციალური მეწარმეობის სასწავლო კურსებს; ანალიტიკური ორგანიზაციები და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ცენტრები მეტ ყურადღებას უთმობენ სოციალური ინოვაციების კვლევას. ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა: Ashoka ან Social Impact-ი (ორივე GmbH) მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სოციალური ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარებაში: აფინანსებენ მკვლევრებს, მატერიალურ და ტექნიკურ დახმარებას უწევენ სოციალურ საწარმოებს მათი დაფუძნების საწყის ეტაპზე და სხვა. ამასთან, ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა BonVenture[36] ან Social Venture Fund-ი, იყენებენ სოციალური ვენჩურული კაპიტალის მოდელს და გრძელვადიანი ფინანსური რესურსებითა და პროფესიული მხარდაჭერით ხელს უწყობენ სოციალური საწარმოების განვითარებას.

35 კანონმდებლობა აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს პოლიტიკურ საქმიანობაზე. მაგ. ორგანიზაციამ, რომელიც სარგებლობს საგადასახადო პრივილეგიებით არ უნდა დახარჯოს საკუთარი ქონება პოლიტიკური პარტიის პირდაპირი ან არაპირდაპირი სარგებლისათვის (მაგ. კამპანია). მიუხედავად ამისა, ზოგიერთი აქტივობა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი აზრის შექმნასთან, საერთო პოლიტიკურ განათლებასთან და დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობასთან- დასაშვებია.

36 Bon Venture პირველი სოციალური ინვესტიციის კომპანიაა გერმანიაში, რომელიც დაფიძნდა 2003 წელს. მინიმალური საინვესტიციო თანხა შეადგენს 300,000 ევროს.

### ინდივიდუალური გაცემა და კონტრიბუციები

გამომდინარე სახელმწიფოს სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკიდან კერძო საქველმოქმედო გაცემა გერმანიაში იმდენად არაა გავრცელებული, რამდენადაც სხვა ქვეყნებში (მაგ. აშშ ან დიდი ბრიტანეთი – 1.67% და 0.73% ; 2006 წლის მონაცემებით). მიუხედავად ამისა, ინდივიდუალური გაცემის მთლიანი შიდა პროდუქტის წილი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებს შორის. მაგალითად, 2006 წლის Charities Aid Foundation-ის მონაცემით, კერძო გაცემამ გერმანიის მშპ-ს 0.22% შეადგინა (0,14% – საფრანგეთში, 0.45% – ნიდერლანდებში) (ციტ. OSCE 2010). ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში მშპ 0,12%-ია, ხოლო დასავლეთ გერმანიაში – 0.26%.

2001-2003 წლებში გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირთა 35%-მა გააკეთა დონაციების დეკლარირება (Borgloh 2008). ეს მონაცემი არ შეიცავს საეკლესიო გადასახადს (რომელიც ნებაყოფლობითია და ნაგულისხმევია, რომ გადამხდელი იხდის გადასახადს – სანამ მას ეს სურს). 2008 წელს მესამე სექტორმა დონაციის სახით ფიზიკური პირებისგან მიიღო 2.8 მილიარდი ევრო.

გერმანიაში რამდენიმე ასეული საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომლებიც წარმოადგენენ ფანდრაიზინგის პროფესიულ ორგანიზაციებს, მაგალითად, German Central Institute for Social Issues-ი (DZI) ასრულებს მედიატორის ფუნქციას „შეჭირვებულსა“ და „გამცემს“ შორის. მისი ბიუჯეტი მომდინარეობს როგორც სახელმწიფო სუბსიდიებიდან (45%), ასევე საკუთარი შემოსავლებიდან (55%). სხვა მედიატორულ საქმიანობასთან ერთად[37], ორგანიზაცია გასცემს ფანდრაიზინგის ნებაყოფლობით სერტიფიკატს სამოქალაქო საზოგადობის ორგანიზაციებზე. 2008 წელს DZI -მ გასცა სერტიფიკატი 236 ორგანიზაციაზე, რომლებმაც ერთად შეაგროვეს 1.4 მილიარდი ევრო.

დაახლოებით 23 მილიონი გერმანელი თავისუფალ დროს ჩაბმულია მოხალისეობრივ საქმიანობაში. ყოველწლიურად სამოქალაქო ვალდებულების დაახლოებითი გაანგარიშება 4.6 მილიარდი საათია (Facts About Germany n/d).

## ნიდერლანდები

### საზოგადოებრივი სექტორი

ისტორიული პირობებიდან გამომდინარე, ნიდერლანდების სამოქალაქო საზოგადოება დიდი, მრავალფეროვანი და საკმაოდ კომპლექსურია. საუკუნეების განმავლობაში ღარიბისა და ავადმყოფის დახმარება, ასევე კულტურული ცხოვრება სრულად იყო დაფარული კერძო (მათ შორის რელიგიური) დახმარებით. 1950-იანი წლებიდან, „სოციალური სახელმწიფოს“ ჩამოყალიბებასთან ერთად, ხელისუფლებამ შემოიღო სუბსიდიებისა და სარგებლიანობის სისტემა და საკუთარ თავზე

37 ინფორმაცია ჩატარებული ფანდრაიზინგისა და გამოყენებული ფულის თაობაზე (შეგროვება და დონორებისათვის გაცნობა), დონორის ინფორმაციული მხარდაჭერა და კვლევა, ბიბლიოთეკა, გამომცემლობა და სხვა (www.dzi.de)

თითქმის მთლიანად აიღო სოციალური საჭიროების დაფინანსება. მრავალი კერძო ორგანიზაცია იღებდა სახელმწიფო სუბსიდიებს და, პრაქტიკულად, გარდაიქმნა ნახევრად სამთავრობო ინსტიტუციად (Hoolwerf et al. 2015). ამასთან, კერძო ინიციატივები ორგანიზებული იყო სხვადასხვა სოციალური და რელიგიური ჯგუფების ე.წ. „სვეტების“ (pillars) მიერ. ნიდერლანდების საზოგადოებისათვის დამახასიათებელი რთული სოციალური სტრუქტურის გამო, რაც დაფუძნებულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ფუნქციონირებაზე (pillar-structure)- ხელისუფლება იძულებული იყო თანაბრად დაეფინანსებინა ყველა ფონდი განსხვავებული „სვეტებიდან“. შედეგად, ამან მოიტანა ძალიან დიდი არამომგებიანი სექტორის შექმნა და ითვლება, რომ იგი ყველაზე დიდია მსოფლიოში (Salomon et al. 2004, ციტ. EUFORI 2015).

სექტორის ყველაზე ფართო და უძველესი განმასხვავებელი ტერმინია „particulier initiatief-ი“ („კერძო (არასამთავრობო) ინიციატივა“, ან PI), რაც აღნიშნავს მოქალაქეთა ჯგუფის გაერთიანებას მოხალისეობრივ ასოციაციაში საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად. ამასთან, მეორე ტერმინი – „maatschappelijk middenveld-ი“ („საზოგადოებრივი შუამავალი“) გულისხმობს ყველა ტიპის ორგანიზაციას მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის, თუმცა დღესდღეობით გამოიყენება გარკვეული ინტერესთა ჯგუფებისა და ადვოკატირების გამწევი ორგანიზაციების აღსანიშნავად და ფოკუსირებას ახდენს „ვერტიკალურ“ მედიაციაზე სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ჯგუფებს შორის. კიდევ ერთი ტერმინი „gesubsidieerde en gepremieerde sector-ი“ („სუბსიდირებული და დაფინანსებული სექტორი“, ან „g&g-sector“) გულისხმობს ორგანიზაციებს, რომლებიც იღებენ სამთავრობო სუბსიდიებს ან ფინანსდებიან სავალდებულო ეროვნული სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამებიდან. ტერმინი ასევე მოიცავს არამომგებიანი სექტორის დიდ ნაწილს, რადგანაც ბევრი ასეთი ორგანიზაცია რაიმე ფორმით სუბსიდირებული ან დაფინანსებულია სახელმწიფოს სოციალური ან ჯანდაცვის ფონდებიდან. „ადგილობრივ ტერმინებთან“ ერთად გამოიყენება „იმპორტირებული“ ტერმინიაც – „არასამთავრობო ორგანიზაცია“, რაც აღნიშნავს არამომგებიანი საერთაშორისი თანამშრომლობისა და განვითარების დახმარების ორგანიზაციას.

ნიდერლანდების არამომგებიანი სექტორი შედგება ფონდებისა და ასოციაციებისგან. ფონდები, თავის მხრივ, საკმაოდ ფართო შინაარსს ატარებენ. ფონდების უმრავლესობა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, გადასახადებიდან და სოციალური დაზღვევიდან და მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ „სოციალური სახელმწიფოს“ მომსახურებაში. მაგალითად, მოხუცთა სახლების ბინადრების 97%, საბავშვო ბაღებისა და დაწყებითი სკოლების მოსწავლეების 75% და მუზეუმების ვიზიტორების 41% სარგებლობენ ამ ტიპის არამომგებიანი ფონდების მომსახურებით. ფონდების მეორე კატეგორია მეტად ესადაგება ფონდების საერთაშორისო განმარტებას, რაც გულისხმობს კერძო წყაროებიდან მიღებულ ფულის საზოგადოებრივი მიზნებისთვის განაწილებას (Burger et al. 2001; Gouwenberg et al. 2007, ციტ EUFORI 2015).

დღეს ნიდერლანდების საზოგადოებრივი სექტორი შედგება 35,000 სხვადასხვა საერთო ინტერესზე დაფუძნებული ორგანიზაციისგან და 250,000 სპორტის, ხელოვნების, ცხოველთა დაცვის, რეკრეაციის, ისტორიული, მებაღეობისა და სხვა კლუბებისაგან (The European Magazine 2015). ამ მიმართულებებით აქტიურია 5

მილიონზე მეტი მოხალისე, რაც ზრდასრული მოსახლეობის 55%-ს წარმოადგენს. ასევე მაღალია არასამთავრობო ორგანიზაციების წევრობის მაჩვენებელი. მაგალითად, გარემოს დამცველი ორგანიზაციების წევრების რაოდენობა 4 მილიონზე მეტია, სპორტული ფედერაციებისა კი – 5 მილიონზე მეტი[38].

ნიდერლანდების არამომგებიან სექტორში სრული განაკვეთით დასაქმებულია დაახლოებით 660,000 ადამიანი. სექტორის ხარჯები ყოველწლიურად შეადგენს დაახლოებით 45 მილიარდ ევროს. ამასთან, არამომგებიანი სექტორი გამოირჩევა დიდი მოხალისეობრივი ჩართულობით, რომელთა გაწეული ძალისხმევა 400,000 სრული განაკვეთის სამუშაო ადგილის ეკვივალენტია (ანაზღაურებული თანამშრომლების 7.5%). არამომგებიანი ორგანიზაციების ხარჯები მშპ-ის 15.5%-ს შეადგენს. ამასთან, სექტორი გამოიმუშავებს ეროვნული შემოსავლის არანაკლებ 10.2%-ს (Burger & Dekker 2001, Czutno 2010, EUFORI 2015).

World Giving Index- ის მიხედვით, ნიდერლანდები მრავალი წლის განმავლობაში შედის 10 საუკეთესო ქვეყანაში მოხალისეობისა და ქველმოქმედების მხრივ[39].

### სამოქალაქო ორგანიზაციების სტატუსი

ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, არამომგებიანი ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსია ასოციაცია და ფონდი.

ასოციაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომლის წევრთა მიზანი არ უნდა იყოს მატერიალური სარგებელი საკუთარი წევრებისთვის. ასოციაციას აქვს უფლება ჰქონდეს როგორც არამომგებიანი, ასევე მომგებიანი მიზნები, თუმცა მოგება არ უნდა განაწილდეს წევრებს შორის. დამახასიათებელია, რომ ნიდერლანდების ასოციაციას ჰყავს: ა) საკუთარი წევრები, ბ) ადამიანები, რომლებიც დაშვებულნი არიან ასოციაციაში და გ) რომლებსაც აქვთ სპეციალური არასაკონტრაქტო ურთიერთობა ასოციაციასთან.

არსებობს ორი ტიპის ასოციაცია: შეზღუდული სამართლებრივი უფლებამოსილების (არაფორმალური ასოციაცია – vereniging met beperkte rechtsbevoegdheid) და სრული სამართლებრივი უფლებამოსილების ასოციაცია (vereniging met volledigerechtsbevoegdheid). არაფორმალური ასოციაცია ფუძნდება მინიმუმ 2 (ფიზიკური ან იურიდიული) პირის მიერ გარკვეული მიზნებით (არაა აუცილებელი ფორმალური წესდება, მხოლოდ გარკვეული წესების შეთანხმება). დაფუძნების მომენტიდან არაფორმალური ასოციაცია იღებს იურიდიულ სტატუსს, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით (მაგ. ვერ მიიღებს კერძო საკუთრებას). არაფორმალური ასოციაციის დამახასითებელი ნორმაა, რომ ასოციაციისა და მმართველი საბჭოს წევრები პირადად არიან პასუხისმგებელნი ასოციაციის ვალებზე. ფორმალური ასოციაციის დაფუძნება ხდება სანოტარო აქტის საფუძველზე, რასაც თან უნდა ახლდეს დეტალური წესდება.

ასოციაციისგან განსხვავებით, ფონდს არ ჰყავს წევრები. სამოქალაქო კოდექსის მიერ ფონდი აღწერილია, როგორც სამართლებრივი აქტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს წევრები და წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს

38 ნიდერლანდების მოსახლეობა დაახლოებით 18 მილიონია (2017).
39 2016 წელს დაიკავა მე-12 ადგილი

აღწევს ამ მიზნებისთვის გამოყენებული აქტივების საშუალებით (Burger & Dekker 2001). ფონდის დაფუძნება შესაძლებელია ერთი ან მეტი პირის მიერ ნოტარიალური აქტის საფუძველზე. ფონდის დაფუძნების მიზეზი შესაძლებელია იყოს ხალხის ნება. ფონდის დაფუძნებისთვის აუცილებელი არაა აქტივების არსებობა. ფონდის მიზანი შეიძლება იყოს ნებისმიერი, გარდა დამფუძნებლების სარგებლისა, რაც (სხვა ინსტიტუციური მოწყობის დეტალებთან ერთად) განსაზღვრულია წესდებით.

იურიდიული პირები (არაფორმალური ასოციაციების გარდა) უნდა დადგნენ აღრიცხვაზე კომერციულ რეესტრში, რეგისტრაციის ადგილას, რათა შესაძლებელი იყოს საზოგადოებისთვის და კრედიტორებისთვის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ნიდერლანდების კანონმდებლობა არ ზღუდავს ასოციაციისა და ფონდის ეკონომიკურ საქმიანობას. ქველმოქმედების განსხვავებული ტიპების აღსანიშნად და განსხვავებული წესების მოსარგებად ნიდერლანდების კანონმდებლობა განიხილავს სამი ტიპის (სპეციფიკური მიზნების) საქველმოქმედო ორგანიზაციას: *საზოგადოებრივი სარგებლიანობის ორგანიზაცია (PBO) (Algemeen Nut Beogende Instelling (ANBI), სოციალური ინტერესების წარმომადგენელი ორგანიზაცია (ORSI) (Sociaal Belang Behartigende Instelling (SBBI) და სოციალური ინტერესების წარმომადგენელი ორგანიზაციის მხარდამჭერი ფონდი (Steunstichting (SBBI)(Russell 2016).*

PBO-ს საქმიანობა სრულად უნდა მიეძღვნას „საერთო სიკეთეს“ (თემები: კეთილდღეობა, კულტურა, განათლება, მეცნიერება და კვლევა, გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, საერთაშორისო განვითარება, რელიგია, იდეოლოგია, ახალგაზრდები, ხანდაზმულები, დემოკრატია და სამართლის უზენაესობა, სოციალური საცხოვრისი, ყველა ზემოხსენებულის კომბინაცია და PBO-ს ფინანსური ან სხვა დახმარება). განსაკუთრებული ტიპია კულტურული PBO *(Culturele ANBI),* რომელზეც ვრცელდება დამატებითი საგადასახადო შეღავათები. PBO სტატუსს ანიჭებს საგადასახადო ორგანო და ამის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად ორგანიზაციამ უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული პირობები. მათ შორის ორგანიზაცია არ უნდა იყოს კოოპერატივი ან კომპანია, რომლის კაპიტალი შედგება აქციებისგან; ორგანიზაციის ძალისხმევის მინიმუმ 90% უნდა მიეძღვნას საერთო სარგებელს; არ უნდა ჰქონდეს მეტი ქონება, ვიდრე საჭიროა მისიის აღსასრულებლად; დირექტორების ანაზღაურება უნდა იყოს მინიმალური; ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს პოლიტიკის მოქმედი გეგმა და სხვა. ამასთან, აუცილებელია PBO-ს საჯაროობა და ვებგვერდი, რომელიც სხვა ტექნიკურ ინფორმაციასთან ერთად, უნდა ასახავდეს ფინანსურ ინფორმაციას, ხელფასების ჩათვლით.

ORSI ფოკუსირებას ახდენს შერჩეული ჯგუფის (ჩვეულებრივ საკუთარი წევრების) სოციალურ ინტერესებზე. ამასთან, ORSI უნდა ჩაერთოს საზოგადოებრივ საქმიანობაში და ხელი შეუწყოს საკუთარი წევრების „ინდივიდუალურ განვითარებას, საზოგადოების სოციალურ ერთობას და საზოგადოებრივ სიჯანსაღეს“. ასეთი ტიპის ორგანიზაციებია, მაგალითად, ახალგაზრდული ასოციაციები, გუნდები, სპორტული ასოციაციები, მუსიკალური ჯგუფები და სხვ (Russell 2016). არსებულ სტატუსს ანიჭებს საგადასახადო ორგანო. ამის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად ორგანიზაციამ უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული პირობები. მათ შორის, ორგანიზაცია უნდა ემსახურებოდეს სოციალურ ინტერესებს და საქმიანობა უნდა

ასახავდეს ამოცანებს; თანამშრომელთა ხელფასი უნდა იყოს მინიმალური და სხვა. საქველმოქმედო ორგანიზაცია საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებს დონაციებს ან მემკვიდრეობას.

ORSI-ის მხარდამჭერი ფონდის ერთადერთი მიზანია უზრუნველყოს ORSI-ის დროებითი ფინანსური მხარდაჭერა საიუბილეო ღონისძიებების დროს. ამ ტიპის ორგანიზაცია მხოლოდ ფონდის სტატუსით არსებობს. იგი საქველმოქმედო სტატუსის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად უნდა მოღვაწეობდეს სპორტის ან მუსიკის დარგში, დაფუძნდეს მაქსიმუმ 1 წლით, ერთჯერადი ხარჯის გასაწევად ან ინვესტიციის ერთჯერადად გამოსაყენებლად.

### ფინანსური მდგომარეობა

წლების განმავლობაში სახელმწიფო ფონდების კონტრიბუცია არამომგებიანი ორგანიზაციების შემოსავლების ყველაზე დიდ წილს შეადგენს (დაახლოებით 55%-ს). 2008-2012 წლებიდან სახელმწიფო დაფინანსება 44%-მდე შემცირდა. სახელმწიფო შემოსავლებიდან ნახევარი მომდინარეობს უშუალოდ ხელისუფლებისაგან, ნახევარი კი მესამე პირებიდან. ეს თანხები გამოიყენება ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისთვის (საავადმყოფოებში, საოჯახო სახლებში, მოხუცთა თავშესაფრებში და სხვ.). ამასთან, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთარი შემოსავალი საერთო შემოსავლის 38%-ს შეადგენს. უმეტეს ორგანიზაციებში საკუთარი შემოსავლების ძირითადი ნაწილი მომდინარეობს საწევრო შენატანებიდან ან დამხმარე ეკონომიკური საქმიანობიდან[40]. საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემოსავლებში კერძო დონაციების წილი დაახლოებით 5%-ია. ანალიტიკოსების აზრით, სახელმწიფო დაფინანსების შემცირებასთან ერთად მეტი ყურადღება მიექცა შემოსავლის კომერციულ წყაროებს (Partnerships Resource Centre 2015).

### ეკონომიკური საქმიანობა

როგორც წესი, ფონდები და ასოციაციები განთავისუფლებული არიან საშემოსავლო და დღგ - საგან, თუკი არ აწარმოებენ ბიზნესს/ეკონომიკურ საქმიანობას. ამასთან. საქველმოქმედო ორგანიზაციების პროდუქტის/მომსახურების გაყიდვები, გარკვეულ შემთხვევაში, ასევე შესაძლებელია განთავისუფლებული იყოს დღგ-სგან.

კაპიტალური მოგების გადასახადის ნორმა ისევე ვრცელდება საქველმოქმედო, როგორც სხვა ტიპის ორგანიზაციაზე: 30%-იანი საგადასახადო განაკვეთი იცვლება წლიური კაპიტალის 4%-ის ფიქსირებული განაკვეთით.

ნიდერლანდების კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სოციალურ საწარმოს, შესაბამისად, სათემო საწარმოები, კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან სოციალურ მისიას და ასევე ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, ასოციაციის ან ფონდის სამართლებრივი სტატუსით ოპერირებენ.

2015 წლის მონაცემით, ნიდერლანდებში 5,000-ზე მეტი სოციალური საწარმოა, რომელთა ბრუნვამ 2011 წელს 1,4 მილიარდი ევრო, ხოლო 2015 წელს – 3,5 მი-

40 მაგალიად, თავშესაფარის შემთხვევაში, საკუთარი შემოსავლის 93% მომდინარეობს ქონების გაქირავებიდან

ლიარდი ევრო შეადგინა. სოციალური საწარმოები საშუალო მოცულობისაა, თუმცა მთლიანობაში ასაქმებენ 80,000-მდე ადამიანს (McKinsey 2016). საქმიანობა სხვადასხვა წყაროდან ფინანსდება და საკუთარ კაპიტალთან ერთად, იღებს სუბსიდიებს და დონაციებს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სტარტაპის შემთხვევაში. ორგანიზაციების დაახლოებით 60-70% დამოკიდებულია სუბსიდიებზე. სუბსიდიისა და დონაციისაგან „დამოუკიდებელი" საწარმოების ბრუნვა დაახლოებით 2,5-ჯერ მეტია, ვიდრე „დამოკიდებულების". ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ინვესტორები ითხოვენ კაპიტალის დაბრუნებას, სოციალურ საწარმოებში მეტად მოთხოვნადია სესხი და სააქციო ინვესტიცია.

სოციალურ საწარმოთა საქმიანობა ფართო სპექტრისაა: ბიოსისტემები (ბიოლოგიური ფერმერობა), cleantech (ენერგო ეფექტურობა), ეკონომიკური განვითარება (ვაჭრობა), სამოქალაქო ჩართულობა, ჯანდაცვა და კეთილდღეობა, განათლება და სხვა. ამათგან ერთი ნაწილი (სათემო საწარმოები) უფრო მეტად არის ორიენტირებული ადგილობრივ პრობლემებზე, ხოლო მეორე ნაწილი - საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე. აღნიშნული მეორე ნაწილი მეტად უწევს კონკურენციაას ბიზნესს. სოციალური საწარმოს სექტორის მთლიანი შემოსავალი ხუთ წელიწადში 2 მილიარდიდან (2010) 3,5 მილიარდ ევრომდე გაიზარდა (2015).

### გაცემის ხელშემწყობი ფაქტორები

ნიდერლანდების კანონმდებლობით საჩუქარი განიხილება ჩვეულებრივ ბიზნეს ხარჯად. საზოგადოებრივი სარგებლიანობის ან სოციალური სარგებლიანობის ორგანიზაციისთვის გაცემული კონტრიბუცია, რაც არ ჩაითვლება რეგულარულ ბიზნესხარჯად, იქვითება. ამასთან, წლიური გამოქვითვა არ უნდა აღემატებოდეს მოგების 50%-ს, ან 100,000 ევროს.

იმ შემთხვევაში თუ საქველმოქმედო ორგანიზაცია „აღიარებულია" ნიდერლანდების საგადასახადო ორგანოს მიერ, გამოიყენება რამდენიმე საგადასახადო გამოქვითვა. კერძოდ, როგორც PBO, ასევე ORSI არ იხდიან მემკვიდრეობისა და საჩუქრის გადასახადს, თუკი მიღებული მემკვიდრეობა ან საჩუქარი გამოიყენება საერთო სიკეთისთვის. ასევე, გარკვეულ პირობებში, მათ აქვთ უფლება დაიბრუნონ ენერგიის მოხმარებაზე დაკისრებული გადასახადის 50%. ORSI-ის მხარდამჭერი ფონდი არ სარგებლობს რაიმე სპეციფიკური საგადასახადო შეღავათით, თუმცა დონორის საჩუქარი ფონდისადმი ექვემდებარება გამოქვითვას დონორის კორპორაციული დასაბეგრი შემოსავლიდან.

საგადასახადო შეღავათები ხელმისაწვდომია როგორც კომპანიებისთვის, ისე ფიზიკური პირებისათვის, თუკი საგადასახადო ორგანო „აღიარებს" საქველმოქმედო ორგანიზაციის სასარგებლოდ გაკეთებული საჩუქარს ან დონაციას საშეღავათოდ. დონორის საგადასახადო შეღავათი დამოკიდებულია როგორც გაკეთებული საჩუქრის, ასევე ორგანიზაციის ტიპზე.

ნიდერლანდების კანონმდებლობის მიხედვით, საჩუქრები შემოიფარგლება ორი სპეციფიკური კატეგორიით – „პერიოდული საჩუქრები" და „სხვა საჩუქრები"(Russell 2016). „პერიოდული საჩუქრები" გულისხმობს ფიქსირებულ დონაციას მინიმუმ 5 წლის განმავლობაში და იგი სრულად იქვითება საშემოსავლო გადასახადის ბაზი-

დან. სხვა შემთხვევებში საჩუქარი განიხილება „სხვა საჩუქრად“, რაც ასევე გაქვითვადია საგადასახადო ბაზიდან, თუმცა დადგენილია მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები (მინიმუმ 60 ევრო ან საერთო შემოსავლის მინიმუმ 1% და მაქსიმუმ 10%). ამასთან, კულტურული ინსტიტუციებისათვის დონაციის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება შემოსავლის მაქსიმუმ 25%-ით (ან მაქს. 1,250 ევრო)(Netherlands Income Tax Act 2011).

PBO-სა და ORSI -ის სასარგებლოდ გაკეთებული საჩუქარი იქვითება დონორის დასაბეგრი საშემოსავლო ბაზიდან. ამასთან, კულტურის PBO-ს სასარგებლოდ გაკეთებულ დონორებზე ვრცელდება სპეციალური პირობები, რომელის მიხედვით საჩუქრის 150% იქვითება ფიზიკური პირის საგადასახადო ბაზიდან და 125% იურიდიული პირის საგადასახადო ბაზიდან. ORSI-ს მხარდამჭერი ფონდის დონორების საჩუქარი ასევე იქვითება საგადასახადო ბაზიდან, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ტიპის ფონდი მაქსიმუმ ერთი წლით ფუძნდება, მასზე ვრცელდება „სხვა საჩუქრის“ ნორმები.

ნიდერლანდებში *მოხალისეებს* აქვთ სამართლებრივი სტატუსი. მოხალისეობის ასპექტები ნაწილობრივ განიხილება გადასახადებისა და სოციალური სარგებლის რეგულაციებში. საგადასახადო წესების შესაბამისად, მოხალისეებს აქვთ უფლება ისარგებლონ გადასახადებისგან განთავისუფლებული „ჯიბის ფულით“, არა უმეტეს 1.500 ევროსი წელიწადში (მაქსიმუმ 150 ევრო თვეში). ამ თანხის ფარგლებში მოხალისეები არ აწარმოებენ ანგარიშს. აღნიშნული თანხების ზემოთ, რეალური მოხალისეობრივი ხარჯები (მაგ. სატელეფონო ზარები, სამოგზაურო ხარჯები, სხვა) ჩვეულებრივ კომპენსირებულია გადასახადების გარეშე, თუმცა საგადასახადო დეპარტამენტი ითხოვს ხარჯების დეტალურ დასაბუთებას. დასაბუთების არარსებობის შემთხვევაში ანაზღაურება განიხილება შემოსავლად და ექვემდებარება გადასახადს. იმ შემთხვევაში, თუკი მოხალისეობრივ ორგანიზაციას არ აქვს საშულება გასწიოს მოხალისის ხარჯები – მოხალისეს შეუძლია თავის წლიურ დეკლარაციაში ასახოს გაწეული ხარჯი და (გარკვეული პირობების გათვალისწინებით) ისარგებლოს გადასახადის შემცირებით ფისკალური წლის ბოლოს.

ნიდერლანდებში ლატარიის ბილეთების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი განიხილება საზოგადოებრივ ფულად. მფლობელები ვალდებულნი არიან საკუთარი შემოსავლების 20%-50% პროცენტამდე გასცენ საზოგადოებრივ სარგებელზე.

## გაცემის პრაქტიკა და სოციალური ინოვაციები

### საერთაშორისო დონორები

ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები ხელმისაწვდომია ნიდერლანდების საზოგადოებრივი სექტორის ორგანიზაციებისთვის, რომლებიც საქმიანობენ ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებით. დაფინანსება შესაძლებელია როგორც უშუალოდ ევროკომისიიდან, ასევე სტრუქტურული ფონდების მეშვეობით. ყოველწლიურად ევროკომისია გამოყოფს 1 მილიარდზე მეტს განვითარების კოოპერირებისათვის, ადამიანის უფლებების პროგრამებსა და ჰუმანიტარულ

დახმარებაზე (400 მილიონი ევრო). სხვა მნიშვნელოვან დარგებთან ერთად, ევროკავშირის შიგნით, სოციალური დახმარებისთვის გამოიყოფა 70 მილიონი ევრო და განათლებისთვის 50 მილიონი ევრო.

**კორპორაციული გაცემა და კონტრიბუციები**

ევროკავშირის ქვეყნებს შორის ნიდერლანდები ერთ-ერთ პირველ ადგილზეა არა-მომგებიანი ორგანიზაციების სასარგებლოდ დონაციების გაცემით (Bekkers 2012). ყოველწლიურად საქველმოქმედოდ გაიცემა 6 მილიარდი ევრო (აქედან 1,5 მილიარდი მომდინარეობს სახელმწიფო გრანტებიდან და 4,4 მილიარდი – ოჯახებიდან, კომპანიებიდან და ფონდებიდან), რაც ნიდერლანდების მშპ-ის 1%-ს შეადგენს. საზოგადოებრივი სექტორის სასარგებლოდ გაკეთებული დონაციების საერთო რაოდენობის 75% გაიცემა კერძო ფონდებიდან. (Salmon 2003, ციტ. Czutno 2010; Bekkers et al 2015).

კერძო ფონდებში ასევე შედიან ე.წ. ფანდრაიზინგის ფონდები. ფანდრაიზინგის ცენტრალური ბიუროს (Central Bureau of Fundraising (CBF) მონაცემით, 2013 წელს სულ 516 ფანდრაიზინგის ფონდმა გააკეთა 3,097 მილიონის კონტრიბუცია საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ. ეს ინფორმაცია არაა სრული, რადგან მრავალი საქველმოქმედო ფონდი ნიდერლანდებში ანონიმურად საქმიანობს.

საქველმოქმედო დონაციებთან/გრანტებთან ერთად ნიდერლანდებში ოპერირებს მრავალი განსხვავებული მიზნისა და მიდგომის ორგანიზაცია და საინიციატივო ჯგუფი, რომლებიც მხარს უჭერენ ეკონომიკურად აქტიური საზოგადოებრივი ორგანიზაციის განვითარებას. მაგალითად, ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა ACE Amsterdam-ი, Oranje Fonds Groeiprogramma, GreenWish, Kirkman Company, Knowmads-ი და სხვ. საკუთარი რესურსების გამოყენებით ტექნიკურ დახმარებას უწევენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მაგალითად, ეროვნული წევრობის ორგანო Social Enterprise NL-ი წარმოადგენს, აკავშირებს და მხარს უჭერს ნიდერლანდების სოციალურ საწარმოებს. 2012 წელს, სოციალურ ვენჩურულ მოდელებზე მომუშავე ორი ადამიანის მიერ დაფუძნებული ფონდის ქსელი 16 ბიზნესმიმართულების 300-ზე მეტ სოციალურ საწარმოს მოიცავს (სარესტორნო მომსახურება, IT ტექნოლოგიები, გადამამუშავებელი წარმოება, ჯანდაცვა და სხვ.[41]. ფონდის დამფუძნებლების პარტნიორები არიან ისეთი კორპორაციები და ფონდები, როგორებიცაა: PwC, ABN Amro, CMS, Stichting DOEN და Anton Jurgens Fonds (www.social-enterprise.nl n/d).

ტრადიციულ ფილანტროპიასთან ერთად ფილანტროპიული ფონდები და ტრადიციული ფინანსური ინსტიტუციები, როგორებიცაა: Rabobank-ი, ABN AMRO ან Triodos Bank-ი მეტად დაინტერესდნენ ზეგავლენის/შედეგზე ორიენტირებული ინვესტიციით, რაც აერთიანებს სოციალურ ზეგავლენას ფინანსურ მოგებასთან (GIIN 2016, ციტ. McKinsey & Co. 2016). Partnerships Resource

41 Social Enterprise NL სოციალური საწარმოს კვალიფიკაციას აძლევს მხოლოდ იმ საწარმოს, რომელიც ფინანსურად მინიმუმ 50%-ით დამოკიდებულია ვაჭრობაზე, ან სუბსიდიაზე. ან სასაქონლო გაცვლის სხვა ფორმაზე, რომელიც არაა დონაცია .

Centre-ის მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა სექტორთაშორის პარტნიორულ სქემებში 2008 წლიდან 2012 წლამდე თითქმის გაორმაგდა. სექტორთაშორისი თანამშრომლობაში ჩართულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორი მესამედი. პარტნიორობის 43% წარმოადგენს ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციის პარტნიორობას და ორიენტირებულია ჯანდაცვაზე, სიღარიბის შემცირებასა და განათლებაზე.

კორპორაციებისა და ფონდების მიერ გავრცელებულ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით, შედეგებზე ორიენტირებული ინვესტირების მოცულობა 2010 წლიდან 2015 წლამდე სამჯერ გაიზარდა (McKinsey & Co. 2016). ისეთი ფონდები, როგორებიცაა SI2 და Social Impact Ventures-ი ფოკუსირებას ახდენენ ზეგავლენის ფართო არეალზე, თუმცა არსებობენ სპეციალიზირებული ფონდებიც (მაგ., SHIFT Invest-ი და Triodos Organic Growth-ი), რომელთა სოციალური ინვესტიცია ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო და cleantech სქემებში. მაგალითად, 2013 წელს „სოციალური ობლიგაციის“ (social impact bond-ის) ინიციატივის ფარგლებში ორგანიზაციებმა: ABN-მა, AMRO-მ და Start Foundation-მა განახორციელეს 680,000 ევროს ინვესტიცია როტერდამის „ბიზნესკლაბ ინიციატივაში“, რაც მიზნად ისახავდა ქალაქში ახალგაზრდების დასაქმების დონის ამაღლებას (17-დან 27 წლამდე ახალგაზრდის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან შრომის ბაზარზე დაბრუნება/შესვლა). 2016 წლის დასაწყისისთვის პროგრამის მონაწილეთა ნახევარზე მეტს დაუფიქსირდა შემოსავალი და აღარ იყენებდნენ სახელმწიფო დახმარებას (დაიწყეს სამსახური სხვის ბიზნესში, დაბრუნდნენ სკოლაში ან გახსნეს საკუთარი ბიზნესი). ახალგაზრდების წარმატებას პირდაპირი კავშირი აქვს ინვესტორის წარმატებასთან, რადგან როტერდამის მუნიციპალიტეტთან არსებული შეთანხმების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უხდის ინვესტორს პროგრამის მიერ დაზოგილი ხარჯების სანაცვლოდ (შემცირებული დაუსაქმებლობის სარგებელი, გაზრდილი სოციალური გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი). მოგება ყოველწლიურად 12%-ს აღწევს.

საქველმოქმედო მიზნებს ემსახურება ასევე ექვსი მუდმივი და ნახევრად მუდმივი აზარტული თამაშებისა და ლატარიის ლიცენზიის მფლობელები (ძირითადად ფონდის სამართლებრივი სტატუსით). ბოლო 50 წლის განმავლობაში დაფუძნებული Postcode Lottery, Friends Lottery, BankGiro Lottery და სხვები ნიდერლანდების ყველაზე დიდ ფანდრაიზერებს წარმოადგენენ და მათი კონტრიბუციები არამომგებიან სექტორში მთლიანი კონტრიბუციის საშუალოდ 11%-ია. 2014 წელს ლატარიის მეშვეობით შეაგროვეს 424 მილიონი ევრო საქველმოქმედო მიზნებისათვის (312 მილიონი ბუნების, გარემოსა და საერთაშორისო დახმარების, 62.5 მილიონი ევრო კულტურული მემკვიდრეობისა და 50.7 მილიონი ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის მიმართულებით). ლატარიის ფონდები ხშირად საქმიანობენ ადგილობრივი ფილიალებისა და პროექტების მეშვეობით, სლოგანით „ქველმოქმედება ყოველთვის გამარჯვებულია!“ (The European Magazine 2015).

### ინდივიდუალური გაცემა და კონტრიბუციები

2013 წლის მონაცემით, ნიდერლანდების ინდივიდუალურმა კონტრიბუციებმა შეადგინა 1,994 მილიონი ევრო (რაც იმ წლის საერთო დონაციებისა და კონტრიბუციების 45%-ა წარმოადგენს). იმავე წელს ფანდრაიზინგის ფონდებმა შეაგროვეს 106 მილიონი ევრო (საერთო დონაციებისა და კონტრიბუციების 2%), შემოწირულობების ფონდებმა 184 მილიონი ევრო (4%) და საჩუქრების სახით 265 მილიონი ევრო (6%) (Bekkers et al 2013). ფანდრაიზინგის ცენტრალური ბიუროს (CBF) მიხედვით, 584 რეგისტრირებული ფანდრაიზინგის ფონდიდან 196 იტყობინება მიღებული საჩუქრის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ ბიუროში მიღებული კონტრიბუციების შესახებ ფინანსური ანგარიშის წარდგენა ნებაყოფლობითია, სავარაუდოა, რომ საჩუქრების ღირებულება გაცილებით მეტია, რადგან ყველა ორგანიზაციას ანგარიში წარდგენილი არ ექნება. (მაგ. არამომგებიანი საავადმყოფოები, მუზეუმები და საგანმანათლებლო ინსტიტუციები).

ინდივიდუალური კონტრიბუციების რაოდენობას ასევე მნიშვნელოვნად გაზრდიდა ინფორმაცია ქრაუდსორსინგის პლატფორმების შესახებ, რადგან ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი 510 ქრაუდსორსინგის პლატფორმიდან 58 ნიდერლანდებში ოპერირებს[42].

ნიდერლანდების მოსახლეობის დაახლოებით 30-40% ამბობს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში მოხალისედ მუშაობდა რასამთავრობო ორგანიზაციაში. მოხალისეთა ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავს სპორტულ და რელიგიურ ორგანიზაციებს. მოხალისეობრივ საქმიანობაზე იხარჯება საშუალოდ 18 საათი თვეში, საიდანაც მენეჯერულ მოვალეობებს ასრულებს 26%, სხვადასხვა დავალებას – 20%, ოფისისა და ადმინისტრაციულ საქმეებშია ჩართული – 18%, ატარებს კონსულტაციებს და ტრენინგებს – 17%, და უზრუნველყოფს ტრანსპორტით – 14% (Bekkers et al 2013). კვლევების მიხედვით, ნიდერლანდებში შეიმჩნევა მოხალისეებად ზრდასრული მოსახლეობისა და განათლებული ადამიანების აყვანა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოხალისეობა სულ უფრო მეტად მხარდაჭერილი და წახალისებულია. ბიზნესკომპანიები მზად არიან უზრუნველყონ შესაბამისი პირობები მოხალისეებისათვის და ხელი შეუწყონ საკუთარ თანამშრომლებს მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩასართველად, როგორც თავისუფალ დროს, ისე სამუშაო საათებში.

42 2015 წლის მონაცემი

# დასკვნა და რეკომენდაციები

დაარსების დღიდან დღემდე ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ნაწილი დიდადაა დამოკიდებული საერთაშორისო დახმარების ფარგლებში მიღებულ გრანტებზე. ამ დაფინანსებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამოქალაქო სექტორის განვითარების პირველ ეტაპზე. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ ამ ტიპის დახმარება უსასრულოდ ვერ გაგრძელდება და, როგორც სექტორის, ასევე მის მიერ გაწეული მნიშვნელოვანი დახმარების მდგრადობა მომავალში განპირობებული იქნება ქართველი ხალხისა და ხელისუფლების მიერ სექტორის მნიშვნელობის აღიარებითა და ხელშეწყობით. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია ქვეყანაში იმ მექანიზმების დანერგვა და განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ სექტორის ფინანსურ ალტერნატივას. მნიშვნელოვანია, რომ დანერგილი მექანიზმები ასახავდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საჭიროებებს და კულტურული და ფისკალური გარემოს რეალურ შესაძლებლობებს.

სტრატეგიული და სისტემური მიდგომის ასამოქმედებლად მნიშვნელოვანია ხელისუფლების, საერთაშორისო დონორებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა, რაშიც თანმიმდევრულად ჩაერთვებიან ადგილობრივი კორპორაციები.

## სახელმწიფო პოლიტიკა ინდივიდუალური და კორპორაციული გაცემის წასახალისებლად

მიუხედავად იმისა, რომ არსებული კვლევა ეხება საზოგადოებრივი სექტორის არა-სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო პოლიტიკას გადამწყვეტი ადგილი უჭირავს არასახელმწიფო მექანიზმების დანერგვასა და განვითარებაში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებისათვის. არაპირდაპირი წამახალისებელი მექანიზმები – შეღავათები დონაციებსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე, დამოუკიდებელი გრანტის გამცემი ფონდების შექმნის მხარდაჭერა და სხვა – მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი სექტორის არასახელმწიფო მექანიზმების განსავითარებლად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაცემის პოლიტიკის წამახალისებელ მექანიზმებთან ერთად როგორც დასავლეთის, ისე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სახელმწიფოს მიერ დეტალურად და მკაცრად ფასდება და რეგულირდება ბენეფიციარი (საზოგადოებრივი სარგებლიანობის) ორგანიზაციები და საზოგადოებრივი სარგებლის საქმიანობა, ფინანსური შეფასების ჩათვლით.

ზემოთქმულზე დაყრდნობით, საქართველოს კონტექსტში მნიშვნელოვანი იქნება შემდეგი ღონისძიებების გატარება:

### საქველმოქმედო სტატუსი vs საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობა

საქართველოში ა(ა)იპ სტატუსთან ერთად მოქმედებს „ქველმოქმედის“ სტატუსი, რომელიც PBO სტატუსის ეკვივალენტურია. სტატუსი იძლევა საშუალებას გააფართოვოს სამოქალაქო ორგანიზაციების ფინანსური ალტერნატივა, თუმცა მოითხოვს ანგარიშვალდებულების გაზრდას სახელმწიფოს წინაშე. სახელმწიფოსა და ბიზნესის მხრიდან საზოგადოებრივი სექტორის მხარდაჭერის ნაკლებობის გამო საქველმოქმედო სტატუსი ნაკლებად პოპულარულია სექტორის წარმომადგენელთა შორის. ამ მექანიზმის ასამოქმედებლად და გასააქტიურებლად მნიშვნელოვანია: ა) გაცემის წამახალისებელი საგადასახადო შეღავათების პოლიტიკის დახვეწა; ბ) არასაზოგადოებრივი ორგანიზაციის „საზოგადოებრივი სარგებლის“ და „საშეღავათო მიზნების“ განსაზღვრა[43] (საზოგადოებისთვის სარგებლის შექმნის პროცესში[44] საშეღავათო საგადასახადო პირობებით უნდა სარგებლობდეს, როგორც დონორი, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაცია). აუცილებელია საზოგადოებრივი სექტორის მეტი გამჭვირვალობა და საზოგადოებრივი და ბიზნესსექტორის გათანაბრება როგორც ფინანსური ანგარიშვალდებულების, ისე საგადასახადო შეღავათების მხრივ, რაც საგადასახადო შეღავათების პოლიტიკის სრულყოფის გარეშე ვერ იქნება ეფექტური[45].

### საპროცენტო მექანიზმი

1990-იანი წლების ბოლოს საპროცენტო მექანიზმი შესწავლილი იყო და უარყოფილი საქართველოში. ეს პროცესი მრავალი წლის წინ მიმდინარეობდა, ამიტომ საჭიროა სახელმწიფომ დონორთა დახმარებით გამოძებნოს შესაბამისი რესურსები და (მაგალითად, ესტონეთის მაგალითზე) საპროცენტო მექანიზმი ხელახლა შეისწავლოს ქვეყნის ეკონომიკური პერსპექტივის გათვალისწინებით. აუცილებელია შევისწავლოთ: ა) ინდივიდუალური და კორპორაციული დესიგნაციის მოდე-

43 „გამარტივებული“ გერმანული მოდელი;

44 საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, ისეთი საქონლის ან მომსახურების გაყიდვას, რაც წარმოებულია ან უზრუნველყოფილია თავად უშუალო ბენეფიციარების მიერ (მაგ., შშმ პირის მიერ დამზადებული საქონელი), ან ხალხის სასარგებლოდ საქველმოქმედოდ გადაცემული საქონლის გაყიდვა. ასევე მეწარმეებს ექნებათ შესაძლებლობა საგადასახადო შემცირების კლასიფიკაცია გაუკეთონ იმ ხარჯებს, რომლებიც გამომდინარეობს, მაგალითად, საზოგადოებრივი ორგანიზაციისთვის გადაცემული (საქველმოქმედო მიზნებისთვის) გადაცემული საკვები პროდუქტის წარმოება/შესყიდვა. სხვასთან ერთად ისეთი გადასახადი, როგორიცაა სასამართლო ბაჟი, არ გავრცელდება საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე, თუკი სარჩელი ემსახურება საზოგადოებრივ სარგებელს.

45 მაგალითად, პოლონეთში თუკი არამომგებიანი ორგანიზაცია არ კვალიფიცირდება როგორც ასოციაცია, ფონდი ან PBO, ან არ მოღვაწეობს რომელიმე კანონით განსაზღვრულ დარგში, იგი ვალდებულია გადაიხადოს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი, მათ შორის გრანტების საშუალებით მიღებულ შემოსავალზე. შესაბამისად, გრანტების დაბეგვრა-არდაბეგვრის საკითხი განპირობებული იქნება იმით, თუ რაზე იხარჯება. ამასთან, ვერც ერთი საქმიანობა (უსასყიდლოს ჩათვლით) ვერ იქნება კვალიფიცირებული, როგორც საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობა, თუკი შემსრულებელი თანამშრომლის ანაზღაურება სამჯერ აღემატება ბიზნესსექტორში მომუშავე ადამიანის საშუალო ხელფასს (ცენტრალური სტატისტიკური ოფისის წინა კალენდარული წლის ინფორმაციაზე დაყრდნობით).

ლები; ბ) ეროვნული და რეგიონული კონტექსტი; გ) საპროცენტო შესაძლებლობები ერთიან კონტექსტში და სხვ. პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ კულტურული მემკვიდრეობის, სოციალური და ჯანდაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები, რომლებიც დღესდღეობით ფინანსდებიან კვაზიფონდების საშუალებით.

**საგადასახადო შეღავათები**

ა) გაცემის კულტურის წასახალისებლად მნიშვნელოვანია საგადასახადო შეღავათები ვრცელდებოდეს როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებზე;

ბ) გაცემის წასახალისებლად მნიშვნელოვანია არა მარტო შემოწირულობის შედეგად მიღებული გადასახადის შემცირება შემოწირულობის / ქველმოქმედების შედეგად მიღებული საგადასახადო შემცირების  არა მარტო საპროცენტო განაკვეთის გაზრდა (ამჟამად 8%),  არამედ გაკეთებული დონაციებისა (და შესაბამისი შეღავათების) დიფერენცირება ერთჯერად და მრავალჯერად (სტრატეგიულ) დახმარებად (უნგრეთის მაგალითზე[46]), რაც წაახალისებს სტრატეგიულ ფილანტროპიას;

გ) კორპორაციული და სათემო ფონდების შექმნის წასახალისებლად ამ ფონდების მიერ განხორციელებული ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში, აქციებსა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში (გარკვეული პირობების დათქმით) უნდა იყოს განთავისუფლებული მოგების გადასახადისგან (პოლონეთის მაგალითი), ხოლო თავად ინვესტიცია განხილული უნდა იქნას საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობად;

დ) „ანაზღაურებადი საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობის“ (payable public benefit activities-ი) განსაზღვრა, რათა საზოგადოების სარგებელზე ან შემოსავლის გენერირებაზე მიმართული საქმიანობა არ იქნეს განხილული ეკონომიკურ საქმიანობად (პოლონეთის მაგალითი).

**სხვა სახელმწიფო მექანიზმები**

ა) მოხალისეობის ხელშესაწყობად აუცილებელია სახელმწიფომ გააგრძელოს საკანონმდებლო გარემოს დახვეწა, რათა მოხალისეობრივი ძალისხმევა შესაბამისად შეფასდეს საგადასახადო სისტემის მიერ (როგორც საზოგადოებრივი, ისე ბიზნესორგანიზაციებისთვის);

ბ) საქართველოს უნივერსიტეტებში დაინერგოს სოციალური ინოვაციებისა და სოციალური მეწარმეობის სასწავლო კურსები.

---

46 უნგრეთში დასაბეგრი შემოსავალი მცირდება: 1) დონაციის 20%-ით, თუკი დონაცია გაცემულია საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქმიანობაზე ან საზოგადოებრივი სარგებლიანობის ორგანიზაციაზე; 2) დონაციის 40%-ით, თუკი მიმართულია PBO-ზე დახმარების გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე (მაგ.,PBO-სა და დონორს შორის შეთანხმების საფუძველზე გაცემული ფულადი კონტრიბუცია, რომლის თანახმადაც დონორი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს დახმარება მიმდინარე წელს და მინიმუმ წელიწადში ერთხელ მინიმუმ სამი მომდევნო წლის განმავლობაში, იმავე ან მეტი ოდენობით, უპირობოდ; 3) 50%-ით, თუკი დონაცია განხორციელებულია Hungarian Relief Fund-ის , National Cultural Fund-ის, ან Damage Mitigation Fund-ის სასარგებლოდ; 4) 50%-ით, თუკი დონაცია განხორციელებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასარგებლოდ საგრანტო შეთანხმების ფარგლებში.

## საერთაშორისო პარტნიორებისა და საზოგადოებრივი სექტორის როლი

ა) განვითარების პროგრამებში მეტად იყოს მხარდაჭერილი კერძო ფონდებთან და ინვესტორებთან პარტნიორული ურთიერთობა, სოციალური დაფინანსების ასამოქმედებლად საერთაშორისო დონორის პირდაპირი და არაპირდაპირი სქემების საშუალებით:

პირდაპირი სქემა გულისხმობს განვითარების პროგრამის განმახორციელებლისა და ქართული კორპორაციის (ან ფონდის) პარტნიორობას საზოგადოებრივი სექტორთან. ბიზნესმა, როგორც განვითარების პროგრამის თანაავტორმა, საკუთარ თავზე უნდა აიღოს სოციალური ინოვაციების თანადაფინანსება (სოციალური ინვესტიცია, სესხი და სხვ.). არაპირდაპირი სქემა შეიძლება გულისხმობდეს დონორის მიერ „შუამავალი" ფონდების შექმნას სოციალური ინვესტიციისა და ობლიგაციის სქემებისათვის;

არაპირდაპირი სქემა გულისხმობს უცხოური დონორის მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაფინანსებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უკანასკნელი პროექტის თანადამფინანსებლად მოიძიებს ადგილობრივ ბიზნესს. ამით წახალისდება სათემო ფონდების ჩამოყალიბება;

ბ) მრავალწლიანი განვითარების პროგრამებში საერთაშორისო დონორებმა შემოიყვანონ უცხოური ფილანტროპული ორგანიზაციები/ფონდები, რომლებიც უფრო მეტად იყენებენ არა საგრანტო, არამედ საინვესტიციო ან სასესხო სისტემებს;

გ) იმისათვის, რომ საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სქემები (არსებობის ან განვითარების შემთხვევაში) მხოლოდ დონორთა გრანტების ჩასანაცვლებლად არ იქნას გამოყენებული, ამ თემის შესახებ უნდა ჩატარდეს ტრენინგები და კვლევები. წარიმართოს თემატური საუბრები ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ბიზნესთან;

დ) საზოგადოებრივმა სექტორმა ინვესტორებისათვის სასურველი პირობების შესაქმნელად მაქსიმალურად აამაღლოს საკუთარი ფინანსური ექსპერტიზა, რისკების მართვისა და გრძელვადიანი ფინანსური დაგეგმვის ჩათვლით.

ე) მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი და ბიზნესსექტორების მენტორული პარტნიორობის წახალისება-განვითარება სექტორის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, როგორც დამწყებ, ასევე გამოცდილ ორგანიზაციებში ბიზნესმოდელების ასამოქმედებლად;

ვ) არსებულმა სოციალურმა საწარმოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ საკუთარი ზეგავლენიანი საქმიანობის წარმატებული მაგალითების დემონსტრირებას, ახალი და ინოვაციური გზების მოძიებას, რათა ეს სექტორი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს როგორც ინვესტორებისათვის, აისე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

# გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია


Ainsalu A. (2014) Financing of CSOs, Estonian Ministry of the Interior, ხელმისაწვდომია: http://www.cbgi.ba/images/dokumenti/1_Civil_Society_Estonija_Estonian_Ministry_Interior_Martin_Maury.pdf

Backhaus-Maul H, (2004) *Corporate Citizenship in the German Social State*, Politics and Contemporary History, Supplement to the weekly newspaper 'Das Parlament', Vol. 14, pp. 23-30

Balbo L, Hehenberger L., Mortelland D., Oostlander P. (November 2010) Establishing a Venture Philanthropy Organization in Europe, EVPA, ხელმისაწვდომია: https://avpn.asia/wp-content/uploads/2014/12/Establishing-a-Venture-Philanthropy-Organisation.pdf

Bauer T. (February 2004) The Origins and Implications of Percentage Laws, Hungary's 1% Law-Why? ხელმისაწვდომია: http://szazalekosadomany.honlaphat.hu/files/sharedUploads/1229/onepercent.hu/onepercent.hu_study/Chapter_1_Bauer_Hu.pdf

Bekkers R., Schuyt P., Gouwenberg B.M. (Eds.) (2015) Giving in the Netherlands: Donations, Bequests, Sponsoring and Volunteering. Amsterdam: Reed Business. ISBN 978 90 352 4818 2, ხელმისაწვდომია: http://test.giving.nl/wp-content/uploads/2015/04/GIN2015_summary.pdf

Bertelsmann Stiftung web site: https://www.bertelsmann-stiftung.de

Bird &Bird (November 2014) Germany: Non-profit tax aspects, ხელმისაწვდომია: https://www.twobirds.com/en/news/articles/2014/global/tax/oct-14/germany-and-tax-exemption-rules-for-nonprofit-entities

Blaščák F. (2015) Tax percentage system Country report: Slovakia; ხელმისაწვდომია: http://taxdesignation.org/wp-content/uploads/2015/09/Country-report-Slovakia-FINAL.pdf

Blommesteijn M. (2015) European Social Policy network (ESPN) Thematic Report on Social Investment Netherlands, ხელმისაწვდომია: www.ec.europe.eu

Borgloh S. (December 2008) What Drives Giving in Extensive Welfare States? The Case of Germany, Centre for European Economic Research, ხელმისაწვდომია: http://ftp.zew.de/pub/zew-docs/dp/dp08123.pdf

Brighidin A. (2013) The Percentage designation based on the Hungarian Model: can it make a difference in Moldova? European Center for Not-for-Profit Law, ხელმისაწვდომია: http://ecnl.org/dindocuments/429_study_percentage-designation-AB-final%20report.pdf

Bullain H. (September 2004) Explaining Percentage Philanthropy: Legal Nature, Rationales, Impacts, The International Journal of Not-for-Profit Law (ICNL), Vol. 7, Issue 1, ხელმისაწვდომია: www.icnl.org/research/library/files/Transnational/eurregexplainingpercentagephilanthropy.pdf

Burger A., Dekker P. (April 2001) The Nonprofit Sector in the Netherlands, Sociaal en Cultureel Planbureau Den Haag

Cause Capitalism Good for Profit web site (n/d) 5 Social Venture Capital Firms That You Should Know About, ხელმისაწვდომია: www.causecapitalism.com/15-social-venture-capital-firms-that-you-should-know-about

Central Statistical Office of Poland, Local Data Bank (BDL) (n/d) ხელმისაწვდომია: https://bdl.stat.gov.pl/BDL/start?p_name=indeks

Charities Aid Foundation web site: www.cafonline.org

Charities Aid Foundation, World Giving Index reports, ხელმისაწვდომია: www.cafonline.org

Copestake J., O'Riordan M., Telford M. (2016) Justifying development financing of small NGOs: impact evidence, political expedience and the case of the UK Civil Society Challenge Fund, Journal of Development Effectiveness Vol. 8 , Iss. 2

Czutno P. (2010) Civil Society in the Netherlands and Poland, ხელმისაწვდომია: cejsh.icm.edu.pl

Delivorias A. (January 2017) Crowdfunding in Europe Introduction and state of play, European Parliamentary Research Service (EPRS), ხელმისაწვდომია: www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2017/595882/EPRS_BRI(2017)595882_EN.pdf,

DemNet Foundation web site:http://www.demnet.hu/en

ECNL, 2016, Conditions for registration and operation of CSOs in Czech Republic, Estonia, Lithuania, Poland, Russia, Slovakia, Sweden and Ukraine, 2016, ხელმისაწვდომია: www.ecnl.org.

Economic Portal Poland: www.ekonomiaspoleczna.pl

Ekiert G. & Kubik J. (2009) Civil Society in Poland, Case study, Prepared for international conference "The Logic of Civil Society in New Democracies: East Asia and East Europe Taipei, June 5-7, 2009: ხელმისაწვდომია: http://www.cbos.pl/PL/wydarzenia/04_konferencja/Civil%20society%20in%20Poland.pdf

El-Sadany M. (2017) Country reports, Council on Foundations, ხელმისაწვდომია: www.cof.org

Estonia Private Equity and Venture Capital Association web site: http://www.estvca.ee

European Commission (2014) A Map of Social Enterprises and Their Eco-Systems in Europe, Country Report-Estonia

European Commission (2014) Study on Volunteering in the European Union, Country Report Estonia, ხელმისაწვდომია: http://ec.europa.eu/citizenship/pdf/national_report_ee_en.pdf

European Commission (2014) A map of social enterprises and their eco-systems in Europe, Country Report: Germany

European Venture Philanthropy Association (November 2016) The State of Venture Philanthropy and Social Investment (VP/SI) in Europe, ხელმისაწვდომია: http://fa-se.de/wp-content/uploads/2016/11/EVPA-The-State-of-SE-and-VP-in-Europe-2016.pdf

EU-Russia Civil Society Forum (2016) Report on the State of Civil Society in the EU and Russia 2016, ხელმისაწვდომია: http://eu-russia-csf.org/fileadmin/State_of_Civil_Society_Report/18_05_2017_RU-EU_Report_spaudai_Hyperlink_Spread.pdf

Facts About Germany website: https://www.tatsachen-ueber-deutschland.de/en/categories/society/committed-civil-society

Freedom House Reports , ხელმისაწვდომია: www. reedomhouse.org/reports

Gasior-Niemiec A., Glinski P., 2006 Europeanization of civil society in Poland, ხელმისაწვდომია: http://hrcak.srce.hr

German Cooperative and Raiffeisen Confederation (DGRV) (n/d), The German Cooperatives in Europe, ხელმისაწვდომია: www.dgrv.de

GHK, Educational, Audiovisual & Culture Executive Agency (EAC-EA), Directorate General Education and Culture (DG EAC) (17 February 2010) Volunteering in the European Union, ხელმისაწვდომია: http://ec.europa.eu/citizenship/pdf/doc1018_en.pdf

Global Impact Investing Network (GIIN) web site: https://thegiin.org

Good Deed Foundation n/d, Social Impact Bond, ხელმისაწვდომია: www.heategu.ee

Good Finance web site, n/d Types of Social Investment, ხელმისაწვდომია: www.goodfinance.org.uk/understanding-social-investment/types-social-investment

Gurvits N., Nikitina-Kalamae M., Sidorova I. (2015) Social Enterprise in Estonia: Present Situation and the Perspectives of Future Development, Survey of Estonian Opinion, 20th International Scientific Conference Economics and Management – 2015 (ICEM-2015), ხელმისაწვდომია: www.sciencedirect.com

Habraken R., Meijs L., Schulpen L., Temmink Cr. (October 2013) Dutch civil society at crossroads, Development in Practice, 23:5-6, 742-754, ხელმისაწვდომია: http://dx.doi.org/10.1080/09614524.2013.801398,

Hadzi-Miceva K. (August 2007) Legal and Institutional Mechanisms for NGO-Government Cooperation in Croatia, Estonia, and Hungary; The International Journal of Not-for-Profit Law (ICNL), Volume 11, Issue 4, ხელმისაწვდომია: http://www.icnl.org/research/journal/vol10iss4/art_1.htm

Hea Kodanik n/d., Civil Society in Estonia, ხელმისაწვდომია: http://heakodanik.ee/en/estonian-civil-society/

Hea Kodanik web site: www.heakodanik.ee

Hertie M. (April 2014) The State of Social Entrepreneurship in Germany SEFORÏS Country Report, ხელმისაწვდომია: https://static1.squarespace.com/static/56d2eebbb654f9329ddbd20e/t/5773e6699f7456f692f91e87/1467213419285/Country_Report_Germany.pdf

Hoolwerf B., Ali D. K., Gouwenberg B. (2015) The Netherlands Country Report, EUFORI Study, European Foundations for Research and Innovation, ხელმისაწვდომია: http://euforistudy.eu/wp-content/uploads/2015/07/The-Netherlands.pdf

Hungarian Central Statistical Office (KSH), Statistical Reflections (Jan 6, 2017) ხელმისაწვდომია: www.ksh.hu

International Labour Organization web site: http://www.ilo.org/global/topics/cooperatives/lang--en/index.htm

Jaksa B. (2011) Financing Social Innovation in Hungary, ხელმისაწვდომია: www.siceurope.eu/sic-themes/finance/financing-social-innovation-hungary

Kantceva A. (2016) The Main Hinderers of Corporate Social Responsibility Activities within Estonian Companies, Ministry of Economic Affairs and Communications of Estonia, ხელმისაწვდომია: www.csr.ee/wp-content/uploads/2016/03/The-Main-Hinderers-of-Corporate-Social-Responsibility-Activities-within-Estonian-Companies.pdf

Klimczuk A. (2015) Social Innovation in Poland, Research Report Social Innovation Europe: Country Summary: Poland

Kopcheva M. (August 2001) Comparative study of the laws affecting Volunteering and Voluntarism, ხელმისაწვდომია: www.icnl.org/research/library/files/Transnational/compstudyoflawsaffectingvolunteering.pdf

Lagerspetz M. & Rikmann E. (2003) Roles and Visions of Foundations in Estonia:Country Report, Centre for Civil Society at the London School of Economics and Political Science

Les E., Ciepielewska-Kowalik A. (August 2011) Social Enterprises in Poland: Competitive Advantages, Challenges, Obstacles and Innovative Ways Forward. A case of Early Childhood Education and Care Services, ხელმისაწვდომია: http://www-sre.wu.ac.at/ersa/ersaconfs/ersa14/e140826aFinal01740.pdf

Liptakova J. (December 2010) First venture philanthropy projects take off in Slovakia, The Slovak Spectator, https://spectator.sme.sk

Liptakova J. (December 2015) Pontis hands out Via Bona awards, The Slovak Spectator, https://spectator.sme.sk

Majdańska A. (2011) Taxation of non-profit organizations: Poland, ხელმისაწვდომია: http://eatlp.org/uploads/public/Reports%20Rotterdam/National%20Report%20Poland.pdf

Mänd K., Noor K., Uudelepp A., Uus M. (2011) Charitable giving: analysis and recommendations for Estonia, ხელმისაწვდომია: http://www.praxis.ee/wp-content/uploads/2014/03/2011-Charitable-giving-in-estonia.pdf

McKinsey & Co (2016) Scaling the impact of the social enterprise sector, ხელმისაწვდომია: www.mckinsey.com/industries/social-sector/our-insights/scaling-the-impact-of-the-social-enterprise-sector

McKinsey & Co. (2011) Opportunities for the Dutch Social Enterprise Sector, ხელმისაწვდომია: www.triodos.nl/downloads/private-banking/1034602/opportunities-for-the-dutch-social-enterprise-sector.pdf

Ministry of Family, Labor, and Social Policy n/d, ხელმისაწვდომია: www.mpips.gov.pl

Ministry of Foreign Affairs of Netherlands (2013) National Action Plan on Business and Human Rights, ხელმისაწვდომია: https://business-humanrights.org/sites/default/files/documents/netherlands-national-action-plan.pdf

Moore D, Hadzi-Miceva K, Bullain N. (2008) A Comparative Overview of Public Benefit Status in Europe, The International Journal of Not-for-Profit Law (ICNL), Vol. 11, Issue 1, ხელმისაწვდომია:www.icnl.org/research/journal/vol7iss3/special_2.htm

Murray R., Caulier-Grice J., Mulgan G. (2010) The Open Book of Social Innovation, Social Innovation Series: Ways to Design, develop and grow social innovation, The Young Foundation, ხელმისაწვდომია: https://youngfoundation.org/wp-content/uploads/2012/10/The-Open-Book-of-Social-Innovationg.pdf

National Reform Program- Poland (2017/2018) Europe 2020, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/info/files/poland-national-reform-program_en

National Venture Capital Association (NVCA) web site, ხელმისაწვდომია: www.nvca.org

Neno 2009, Civil Society in Estonia https://issuu.com/emsl/docs/civil_society_in_estonia_2009

Nesst Poland web site: http://www.nesst.org/poland/venture-philantrophy-for-social-development/

NGO Poland web site: www.ngo.pl

Ngo T., Kunz R. (2016) Social Innovations in Germany, ხელმისაწვდომია: https://www.siceurope.eu/sites/default/files/uploads/documents/social_innovation_in_germany_2016.pdf

Now How Non Profit web site: https://knowhownonprofit.org/funding/social-investment-1/investment-types

OECD web site: www.oecd.org

OSCE (2010) International Practice of Funding Civil Society Organizations, Research, OSCE PCU Project, ხელმისაწვდომია: http://www.osce.org/ukraine/76889?download=true

Partnerships Resource Centre (2011) The State of Partnerships Report: NGOs, ISBN 978-90-817372-1-0, ხელმისაწვდომია: www.partnershipsresourcecenter.org

Phills J. A. Jr, Deiglmeier K, & Miller T. D. (2008) Rediscovering Social Innovation, Stanford Social Innovation Review, ხელმისაწვდომია: www.ssir.org/articles/entry/rediscovering_social_innovation

Poliak L., Šafárik P. (2014) The role of community foundations in local development – Slovak experience, Theoretical and Applied Economics Volume XXI (2014), No. 1(590), pp. 75-86,

Praxis Center for Policy Studies web site: www.praxis.ee

Quak E-J (March 2014) Different types of partnerships, Food & Business Knowledge Platform, ხელმისაწვდომია: www.knowledge4food.net/different-types-of-partnerships

Rand Europe web site: https://www.rand.org/randeurope.html

Revolvy.com n/d, Community Foundations, ხელმისაწვდომია: www.revolvy.com/main/index.php?s=Community%20foundation&item_type=topic

Rosenzweigová I. (March 2016) ECNL, Cooperation Between the State and Civil Society Organizations, Policy Paper, A Comparative Analysis, ხელმისაწვდომია: http://ecnl.org/wp-content/uploads/2016/10/Paper_on_cooperation_strategies_ENG_March-22-2016.pdf

Russell R. (2016) Charitable organizations in The Netherlands, Russell Advocaten, www.russell.nl

Rutzen D., Moore D.,Durham M. (n/d) The Legal Framework for Not-for-Profit Organizations in Central and Eastern Europe, ხელმისაწვდომია: http://www.icnl.org/research/resources/regional/CEE%20Overview_eng.pdf

Ryland N. (April 4, 2017) Social Business in Germany, ხელმისაწვდომია:https://www.tbd.community/en/a/social-business-germany

Salamon L. M, Anheier H. K, List R, Toepler S, Sokolowski S. (1999) Global Civil Society: Dimensions of the Nonprofit Sector, Civil Society in Comparative Perspective, John Hopkins Center for Civil Society Studies, ხელმისაწვდომია: http://ccss.jhu.edu/wp-content/uploads/downloads/2011/08/Global-Civil-Society-I.pdf.

Seforis web site: http://www.seforis.eu/

Siec Obywatelska Watchdog n/d, ხელმისაწვდომია: siecobywatelska.pl

Šimčík M, n/d, Community Foundations in Slovakia, 2% Tax Designation Instrument, ხელმისაწვდომია: http://www.musicologica.eu/wp-content/uploads/Simcik_Community_Foundations.pdf

Social economy in Poland (2012) ხელმისაწვდომია: www.ekonomiaspoleczna.pl 2012

Social Enterprise platform, Netherlands: https://www.social-enterprise.nl

Social Finance Limited (August 2014) Press Release, Peter borough Socila Impact Bond Reduces Reoffending By 8.4%; ხელმისაწვდომია:https://assets.rockefellerfoundation.org/app/uploads/20150316202925/Peterborough-Social-Impact-Bond-Reduces-Reoffending-by-8.4-percent.pdf

Netherlands Income Tax Act 2011, Stanford Edu web site,: https://stacks.stanford.edu/file/druid:bh082zh0439/Netherlands_Income%20Tax%20Act%202001_page6.pdf

Statistical Office of the Slovak Republic web site: http://ghdx.healthdata.org/organizations/statistical-office-slovak-republic

Svidroňová M., Merickova B., Nemec J. (January 2016) Social innovations in Slovakia: success versus failure, ხელმისაწვდომია: https://www.researchgate.net/publication/303541117_Social_innovations_in_Slovakia_success_versus_failure

The European (2015) ხელმისაწვდომია: http://www.theeuropean-magazine.com

The Johns Hopkins Center for Civil Society Studies (1999) Global Civil Society Dimensions of the Nonprofit Sector, Baltimore, MD

The Klon / Jawor Association data sources n/d, ხელმისაწვდომია: www.klon.org.pl და www.fakty.ngo.pl

The Klon / Jawor Association, n/d, Poland – general information – NGOs context, ხელმისაწვდომია: http://www.ffl.org.pl/files/Information_about_Poland_and_CFs_in_PL.pdf

The Slovak Spectator web site: spectator.sme.sk

UNDP n/d, Social and Development Impact Bonds, Financing Solutions for Sustainable Development, ხელმისაწვდომია: www.undp.org/content/sdfinance/en/home/solutions/social-development-impact-bonds.html.

USAID 2011-2017, CSO Sustainability Index, ხელმისაწვდომია: www.usaid.gov.

Van Tulder R, Seitanidi M. M, Crane A., Brammer S., 2016, Enhancing the Impact of Cross-Sector Partnerships, Four impact loops for channeling partnership studies; Editorial to special symposium issue, ხელმისაწვდომია: www.rsm.nl/fileadmin/Images_NEW/Faculty_Research/Partnership_Resource_Centre/Enhancing_the_impact_of_cross-sector_partnerships.pdf

Vandor P., Traxler N., Millner R., Meyer M. (eds) (2017) Civil Society in Central and Eastern Europe: Challenges and Opportunities Edited, ხელმისაწვდომია: http://www.erstestiftung.org/wp-content/uploads/2017/05/Civil_Society_Studie_Issuu_E1.pdf

Vennema B., Koekoek R. (2013) Social Impact Bonds opportunities and challenges for The Netherlands, ხელმისაწვდომია: https://insights.abnamro.nl/app/uploads/2013/10/Social-Impacts-Bonds-rapport.pdf

Vennema B., Koekoek R. (September 2013) Social Impact Bonds opportunities and challenges for The Netherlands, ხელმისაწვდომია: www.insights.abnamro.nl/app/uploads/2013/10/Social-Impacts-Bonds-rapport.pdf

Wings, Global Status Report on Community Foundations (2010), Executive Summary, ხელმისაწვდომია:www.wings-community-foundation-report.com/gsr_2010/gsr_about/2010_summary.cfm

Zimmer A., Archambault E., Priller E. (2014) European Civil Societies Compared: Typically German-Typically French?. Voluntas: International Journal of Voluntary and Nonprofit Organizations, Springer Verlag, 2014, 25 (2), pp.514-537; ხელმისაწვდომია: https://halshs.archives-ouvertes.fr/halshs-00797886/document.